

652/2
1990

ISSN 0134 3459



ພົມ ຊົມດາ



1990 2

ქართველი

ჭრის დროის მატურული - მხატვრული და საზოგადოებრივ-კოლექტიური უფროსი

საქართველოს მწერალთა პავილისა და აჭარის განაოფილების ორგანო

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მომავალი, ძვირფასი ბეჭიოთ...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

გ. ტაბაძე

2

1990

გარემო
აპრილი



გამოცემა

გ ი ნ ა რ ს ი

დავით თელორაძე — ლექსები	3
ფრიდონ ხალვაში — დაბრუნება თავისთავთან (რომანის ფრაგ- მენტები. გაგრძელება)	6
თინა შიოშვილი — ციკლიდან „გლოვის აპრილი“ (ლექსები)	15
რამაზ სურმანიძე — თავისუფ- ლების გზა (მოთხრობა)	19
ნანი ჯაში — ლექსები	33
ნელი ლაითაძე — მინდა ჩაგაწ- ნა... (ლექსი)	35
დონარა სურმანიძე — როცა გა- რეთ გაზაფხულია (მინიატურა)	36
ბორის მეტრეველი — სანახშო (პოემის ფრაგმენტი)	37
ალექსანდრე სამსონია — შეშინე- ბული კაცის ოჯახი (პიესა, პირველი მოქმედება)	42
ზაალ ებანოიძე — აჭარა (ლექსი)	58



გზები და ჟორანილებები

ალექსანდრე ჩხაიძე — ჩვენებურები (გაგრძელება) 60

ნარკვევი

ემენ დავითაძე—ცხოვრება კაცისა 72

მოგონებათა ფიგილან

იბრაიმ გორაძე — სადაურსა სად წაიყვან 81

ფერილები

ქეთევან ოქროპირიძე — პოეტის სულის ელვარება 87

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ჯემალ ჯაფელი — „იქნებ გახსოვართ“ 91

ელუზა

ზურაბ ჩხიკვაძე — მე, ავტოინსკეტორი და ალკოჰოლი 93

გასულ ორ თვეში 94

მთავარი რედაქტორი
გიგანტის აღმსინვანი

ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:

აზრი ახვდებიანი,
გიორგი გაჩეჩილაძე,
ზურაბ გორგილაძე,
მამია ვარშანიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
შოთა ჭობეგი,
დავით თელორაძე,
ჯემალ კათამაძე,
ალექსანდრე ჩხაიძე,
ფრიდონ ხალვაში,
დავით ხახუთაიშვილი,
ჯემალ ჯაფელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი,
ენგელსის ქ. № 24. ტელ. 3-33-71



გადაეცა წარმოებას 1.03.90, ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.03.90, საგამომცემლო თაბახი 4,8, შეკვეთის № 329, ემ 00684, ქალალდის ზომა $60 \times 90^1/1_6$, ტირაჟი 5000.



გარეკანის 1-ლ გვერდზე — აპრილი.
მხატვარი ნინო ნიუარაძე.

ურნალი გააფორმა ა. ლომაძემ.
გამომშვები შ. დარჩია.

საქართველოს სსრ გამომცემლობას, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აქარის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, გორჯის, 91.

Государственный комитет Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое производственное объединение Аджарской АССР
Батуми, ул. Горького, 91



9 აპრილი

სული დაიტბორა მწუხრით,
მტერს მოუნდა გადაგვთელოს...
გლოვობს,
ურჩიშულს ქედს არ უხრის
ღვთის წილხვედრი საქართველო!
სისხლის,
სისხლის ყივილია,
დარდმა გული გაამრთელოს,
გადმოხედავს ცით ილია
ცხრა აპრილის საქართველოს.
დღეს არც ცოტნე გვაკლია და
არც დავითი სასახელო,
გაუმარჯოს,
გაუმარჯოს,
თავისუფალ საქართველოს!

ვერდება

მზეო, ამობრწყინდი,
მზეო, ამობრწყინდი,
დილა მითენდება სანატრელი.
ვერც ვინ შემაშინებს
ღამით, ჩამობინდვით,
დიდი მწუხარების
მძიმე ანარეკლით.
მზეო, საქართველოს
სწრაფვა დაულოცე,
სული გაუღვიძე ამირანის,
ბევრი არაფერი,
ბევრი არაფერი,
მარად მსურველი ვართ
სამი რამის.
მზეო, ამობრწყინდი,
მზეო, ამობრწყინდი,

მზეო, საქართველოს ენატრები,
სურვილს მინათებენ,
სურვილს მინათებენ,
აღმაშენებელის კელაპტრები!

აღმაშენებელი

უკვდავებისთვის ეყოფა
ცხრა ერს დავითის მეფობა!
მეფე,
აფხაზთა,
ქართველთა,
კახთა,
სომეხთა,
რანთა,
სხვას,
სხვას ვის ყავდა
თუნდ მაშინ,
თუნდ სხვა დროს ქართველთ
გარდა!

დავითმა წმალი იშიშვლა,
მტერი გაფუჭდა შიშისგან!
გადაირბინა
ტაოსკარი
თურქის ლაშქარმა,
ვით ტურის ჯოგმა
ძუ ავაზის ღრენით დამფრთხალმა.
უკუქლეულმა სპარსმაც შარა
გაავერანა

და გაიშალა,
აღორძინდა ქართველთ ქვეყანა.
აგო ტაძრები,
ზანაგები,
გზები,
ჰიდები...

კაი დრო იყო,
საქართველოს სცნობდნენ
დიდებით.

უკვდავებისთვის ეყოფა
ცხრა ერს დავითის მეფობა!

მოძღვრად ვერ გამოაღვადი

როდესაც ემორჩილები
საყოველთაოდ მიღებულს –
საუზმეს,
სადილს,
ვახშამს და
ქალის მადლს – სიტკბოს
დიდებულს.

მოსაჩვენებლად
ზნეობის ნორმებში
ჩაწიკწიკებულს,
მოძღვრად ვერ გამოადგები
ერს – გალალებულს სიბრძნითა,
ჩვენ საქართველოს სიყვარულს
ჯვარცმული კაცი გვიჩსნიდა.

მთის კაცი

ალექს

მთაში,
მთის კაცი,
მთების ფონზე,
სულით მაღლდები,
ზშირად მგონია,
შემოგნატრის ლაღი ფრინველიც,
კი არ ბერდები,
წელთა ქროლვით გოლიათდები,
და სიყვარულშიც,
ნუ იდარდებ,
რჩები პირველი.

მეც ბარიდან
გეფერები, შერმადინო,
ლექსსაც გტყორცნი
შურდულივით ჩაგიქროლოს:
შე ხუმრობის სერვანტესო,
მწუხარების ბაირონო,
ღმერთმა ნუ ქნას, ეს ცხოვრება
სხვათა მსგავსად გაიოლო.

ვერც ვინ გამიგო

მე, სიყვარულით
მომსპარი და გაღმერთებული,
შენს სულში ვსახლობ,
სხვა სურვილი ჟამმა დაბელა.
მზე,
მზე უბეში ჩაგისვამს და
აღზევებული
სხვა საუფლოში
არც აპირებს თვალის გახელას.
კიდევ რას გეტყვი?!
მენატრები,
მეიმედები,
ამაოდ შრება ჩემი სისხლი
დაუდუღარ.

ტრფობის წალკოტში,
ტრფობით მკვდარი დავეხეტები,
ვერც ვინ გამიგო,
სულზე ტკბილო,
ეს საწუხარი.

არ აღრეულხარ

ვფიქრობ,
სულ ვფიქრობ,
სად იწყება,
სად,
სად მთავრდება
ჩემი ნანატრი საქართველო –

დარღიც, ხალისიც...

გაიმშეინვარებს
ხან საძრახი,
ხან სასახელო
ქართლის ცხოვრება
და დამზაფრავს უცებ კრწანისით.
განფენილია ქართლის სული
გაღმაც,
გამოლმაც,
შატბერდის მრევლი,
ტბეთის მრევლი
ითხოვს დამოძღვრას.
ფესვებლიერო და სვეძლიერო
ამერ-იმერო,
ენას იმშვენებ,
სისხლს იმშვენებ საბედნიეროდ!
არ აღრეულხარ,
არ გაცვლილხარ
მონღილ-თათარში,
მიკვირს,
სულ მიკვირს,
როგორ გაძელ,
როგორ გადარჩი.

აშ, ამ ბეჭობზე, უნდა დაიდგას

ლამაზი არის ზღვის სანაპირო,
მაგრამ უსაზღვროდ ტკბილი
გამოჩენდა მცხეთა, —
ვიგრძენი შვება, —
ვუაზლოვდები თბილისს,
მტკვარზე ჩამოწვა, ჩამოიკეცა
ვახტანგ გორგასლის ჩრდილი.
ო, მშობლიურო,
ქვეყნის სიკერპევ,
როგორ მიმშვენებ დრო-უამს...
აქ, ამ ბეჭობზე, უნდა დაიდგას
ძევლი ჩალისფერ დროშის!

და ვიცე გუშინ...

თქვითო! —
ნება დართულია, —
რაც გაწუხებთ, თქვითო! —
თქვეს და მრევლი გაერთო
ისტორიის ჭრით.
რიგს —
რიგი ცვლის,
ჯგუფს —
ჯგუფი და
ჯოგსაც —
კიდევ ჯოგი,
ნერვები მაქვს დაწყვეტილი
ლაყბობით და ბჭობით.
ერთნი ჭკუას მარიგებენ,
ცხენს მართმევენ ჯორში,
სხვები კიდევ გამოდიან
წამებულის როლში.
ზოგი ისევ
გუნდრუკს უკმევს
ტირანების ტორებს,
იმათ მცნებებს კვადრატებად
გულში იმეორებს.
და ვინც გუშინ უძრაობის
ლიდერს სცემდა პატივს,
დღეს ქალაქში უცოდველი
მოძღვარივით დადის.



დაბრუნება თავისიავთან

ერთ ცხენს სულ სხვანაირი ტვირთი ეკიდა. ორივე ცხენი, ნებაზე მიშვებული ნაბიჯით, უკან მიჰყვებოდა ფარას, უცნაურტვირთიან ცხენს მივუახლოვდი და გვერდით ავედევნე. ტომარაწაფენილი ტვირთი ჩემკვენ მობრუნდა. დავინახე აახე, თვალები, ცხვირი, ტუჩები, ნიკაპი, ყელიც. გოგონა იყო. კუპრივით შავ-შავი წარბები ნახშირით დახატული გეგონებოდა, თვალები კი, არ ვიცი, იმისთანა ლურჯი და იმხელვანი თვალები არსად მენახა. ისე გადმომხედა ცხენის ზურგზე მჯდარმა ციცამ, ერთი შემინება კიდეც შემეშინდა. მთელ ტანზე, ყედირ ეფენდის დარტყმულ წკეპლასავით, რაღაცა გადამკრეს თითქოს. ჯერ მეცხელა, მერე ამეწვა.

მე რომ შემხედა, გოგონამ თავზე წამოხურული გახუნებული ტომარა მხრებზე გადაიგდო. ტომარა მალე უკან ცხენის ზურგზე ჩაჩოჩდა. გოგომ ერთხელ კიდევ გადმომხედა, მგონი, დამალულად გაეღიმა კიდეც. ვულმკერდზე ფერად-ფერადი მძივებით მოქსოვილ-მონახატი ნაქარგები აუციმდა, ყელზეც მსხვილი მძივები აკიდოებად ეკიდა, ეტყობოდა, ტომარა, მზემ არ დამწვასო, იმისათვის გადაეფარებინა. გამოპრანჭული იჯდა ცხენზე, გადმომყურებდა მედიდურად. ვგრძნობდი, ჩემი დაჭიჭკული ფეხები, გამოსავათებული მუხლები, ჩემი დაღლილობა კიდეც სიამოვნებდა.

შემბალი ქალამნები გახურებულ-გაგანიერებულმა ფეხებმა მართლაც მალე დააგრძელეს, თასმები კი, ამჯერად თავიდანვე გენგიშად, — თავის ჭკუაზე დააყენეს, — ტუჩები გაუფართოეს, ოდნავ ფომფოდ, ანუ მოშვებულად, შევიკარი და... მაგრამ ნელ-ნელა მუხლები, კანჭები, წვივის ბულები და ბარძაყები ამტკიცდა. ფეხის გულებიც თანდათან ამტკიცდა.

მივყვებოდი გოგოს ცხენს და სუნი მცემდა ცხენის მძაგე ოფლისა; მაგრამ იგი თითქოს ერთგვარ სიჯანსაღეს აფრქვევდა. ამიტომ არ მძაგდა, პირიქით, კიდეც მსიამოვნებდა. გოგო კი ცხენიდან დიდრონი ცისფერი თვალებით მაჯალინებდა (მაღიზიანებდა), ზანაც ჩამომძახებდა მალულად:

— გინდა, შეგაჯინო?

— მინდა! — დავუქნევდი თავს. ის კი მაშინ თავშეკავებულად ჩაიკისკისებდა. მტვრის ბულში ჩვენ ზოგჯერ აღარც ვჩანდით. ფლახ-ფლუხ,

ფლახ-ფლუხ—მიაჩახუნებდა ხრეშიან გზაზე ფლოქვებს ცხენი და კისკისებდა ცხენზე მესხი გოგო. შუადღე გადადგომაზე იყო. მოძრაობისას რომ ჰაერი გვეხახუნებოდა, აი, ეგ იყო რა ნიავიც იყო, თორემ ნამდვილი ნიავის ქროლა აღარსად ჩანდა. უვერი ფოთოლიც არსად ირხეოდა. გეგონებოდა, ფოთლის მაგიერ ხეებს რკინაში მოჭრილი, გაშეშებული შაურიანები ეკიდათ.

მახუნცეთში რომ ჩავიარეთ, იქით, სადღაც წყლისპირის, ვაკეზე, ფარა ჩაუშვეს და ჩვენც ხის გრილოებში მიმოვეყარენით.

ერთი მატყლისქუდიანი მესხი, სულ გრძელი კომბალი რომ ეჭირა ხელში, მდინარეს მიუახლოვდა, ზედ წყლისპირთან ჩახოხდა, ფეხებზე წაღები წაიძრო, მკლავები დაიკოტავა და „ავდესის აღება“ (ლოცვისწინა განბანა) დაიწყო. პეშვით ხუთჯერ ამოღებული წყალი ხუთჯერ გამოივლო პირში, ხუთჯერ შეისხურა ცხვირში, ხუთჯერ — ყურებში და პირსახე მოიბანა, მკლავები წაისველა იდაყვებამდე, ბოლოს ფეხები ჩააწყო წყალში. როგორც თანასოფლელი ბერიკაცები, ისიც ამ ცერემონიის დროს სულ ტუჩებს აცმაცუნებდა, — რაღაც ლოცვებს ჩურჩულებდა. მერე აღგა, მწვანე მოლი მოარჩია, შებრუნდა სამხრეთისაკენ, ყიბლისკენ (მექა-მედინესკენ) და ეულა-ნამაზის შესრულებას შეუდგა.

კიდევ ორი ახალგაზრდა ჩანდა: იმათი ლოცვის უაში ჯერ არ დამდგარიყო აღბათ. მამაჩემი წელს ითრევდა, ეზარებოდა „ავდესის აღება“. დაღლილზე ხელ-ფეხის დაბანა, მერე იმდენი ჩოქვა-დვომა, ხლიბვა ხელ-ფეხისა და იმდენი ლოცვისთავის ჩაჩურჩულება არაბულად, ადვილი როდი იყო. მესხი კი, ვინაც უკვე ლოცვად იდგა, მამაჩემის ტოლი იყო, ამიტომ იუხერ-ხულა მამამ. ადგა და თავადაც ჩაჩორდა მდინარის პირას, წაიხადა ტყლაპ-წაგებული თავისი დაძველებული ქალამნები, უხალისოდ ამოჰკრა პეშვი სწრაფად მიმდინარე ქაფქაფა ზვირთს, შორიდანვე შეისხა ბუკზე (ცხვირ-პირზე), წაიგორვალა სახელოები მკლავებზე, თავადაც ხუთ-ხუთჯერ შეისხურა წყალი პირში, ცხვირში, ყურებში, სველი ხელი კაბალახის ქვეშაც შეიყო, თავზე მოისვა, ბოლოს ფეხებიც გაიბანა, დაიწრიტა, ისევ ჩაიცვა წინდა-ქალამნები, შეიკრა და ლოცვად მდგომ მესხს გვერდით გაუჩერდა.

მაშინ რა უნდა მეფიქრა, მაგრამ ახლა, ამდენი ხანის გასვლის შემდეგ, იმ სურათს და იმ დღეს რომ მოგონებაში დაუინახავ, დარდები დამჭვანევენ.

ღვას ორი ქართველი, მესხი და აჭარელი, შოთას, ტბელის და სხვა უკვდავთა ახლობელთა მიწათა შვილნი, ნათესავნი იმ სულმნათთა, ოპიზრის, ხანძთის, სხალთის, ტბეთის, შატბერდის აღმაშენებელნი, პირველ-ქმნილ მშობლიურ მადლიან სიტყვათა პირველი მთქმელნი, ვაზის ჯვრის პირველნაზიარებნი, ერთგულნი რწმენისა ერისა თვისისა, ათას ჭირში ნაჭედნი, გამძლავრებულნი, ბოლოს იმ ჭირთა მიერ იავარქმნილნი, მოუდრე-

კელნი, მაგრამ ულმობელ. გაუთავებელ, უსაშველი დაწოლით მაინც გაპხარულ-გატეხილნი, პირში, ხაჭაში დამპყრობლის რელიგიაჩარილი... დგას ორი ძველი ქართველი და თავის საკუთარ მშობლიურ ხელოცავზე ზურგშექცეული იმუხლება, უსაზღვრო, უმდაბლესი მორჩილების ფასტურად შუბლს მიწაზე დებს, სხვის ენაზე იღოცება და ფიცელობს. ხოლო აჭარისწყალი, — აჭარის მთათა ცრემლი, ისევ ისე მიედინება თავდაღმართებზე, რათა იქ, ქვემოთ, ჭორობს ჩაეხვიოს, თავის სახელიც იქვე მიატოვოს და თავადაც უკვე ჭოროხადქცეული, ძველ მიწაზე, ძველი გზით იაროს ურყევად. მეჩვენება. რომ მდინარე წუხს, რცხვენია; ადამიანებს შეაცვლევინეს რწმენა-სახელი, მაგრამ გული მაგრდება იმის შეგნებით, რომ ბუნებაში. აქ, არაფერს: არც მდინარეებს, არც მთებს, არც სოფლებს, არც ციხე-ტაძრებს, არც წყაროს და უბრალო ქედსაც კი თავისი სახელი არ შეუცვლია.

ის ერთი ბიჭი თავისი ბეწვება ქუდით ჩემზე კარგა უფროსი ჩანდა. იგი გვერდით მოწოლილ ძაღლს ეფერებოდა. მინდოდა მისულა, დალაპარაკება, მაგრამ, უტყობოდა, ბაღანად მოვლიდა და ჩემთან საუბარსაც არ კაღრულობდა. გულში ცოტა ვიწყინე. ნელ-ნელა თვითონ მივუჩიდი, თანაც ძაღლის მეშინოდა, გაგონილი მქონდა, მწყემსის ძაღლები ცხვართან მოსულ კაცს არ ერჩიან, ისინი ნადირს ერჩიან მხოლოდო. მივჩიდი, მივჩიდი, სულ ახლოს მივედი. ბიჭი კი სულაც არ მიყურებდა, ან, ვინ იცის, იქნება წყლის ჩურჩულში არც ესმოდა ფეხის წმა. ძაღლი ბიჭის გვერდით უაშოლტილი იწვა და თვალებს ლულავდა.

სანამ წმას გავიღებდი, ბიჭმაც მილულა თვალი. მე შევდექი და იქით გავიხედე. ფარაში იდგა გოგოს ცხენი. გოგო ისე იჯდა ცხენზე, გეგონებოდა, თანამშეზრდილიაო, — არც შესვენების ღროს აპირებდა ჩამოხტომას.

მოხუცი მესხი დამუხლული იჯდა, ლოცვა მოეთავებინა და ახლა ქარვის დიდლილებიან კრიალოსანს კაკლავდა. თანაც დასასვენებლად ჭალაზე შეფენილ ცხოვრებისაკენ იცქირებოდა. ცალი წელი ცხენოსან გოგოსკენ გაიშვირა, დაუქნია, აქეთ გამოიყვანე და ძირს ჩამოდიო. გოგომ კისერზე დაიხარა, ცალი მხრიდან მოუთათუნა წელი და ცხენი მობრუნდა, ჭიალში გამოვიდა. გოგო უზანგებზე ადგა, ძირს ჩამოიხედა, თანაც თითქოს ჩემკენ გამოაპარა მზერა. მეც არ დავაყოვნე, მივირბინე, წელი შევაშველე და ძირს ჩამოსვლაში დავეწმარე. წელს ვაშველებდი, იმან კი ფეხი პირდაპირ მხარზე დამაბიჯა, ჩამოხტომისხანს კისერზე კი ვიგრძენი მისი მკლავები. ;

მიწაზე ჩამომხტარი გოგო უცებ გამოიცვალა. ისეთი მაღალი აღარ მეჩვენა. მგონი, პაწაით მე მაღალი ვიყავი.

ცხენი კი იდგა და იცოხნებოდა, მაგრამ გოგომ ბეჭზე შემოჰკრა წელი,

წადი, მოძრავე ბალახით, შიაძაზა.

ჩუმ-ჩუმად მსარზე დავიხედავდი ხოლმე, იქ თითქოს გოგოს ფეხის
დანაბიჯები მეტყობოდა. რატომდაც არც ვიფერთხავდი.

სამოვალი
საბურთო

— ზერა მქვია, შენ?

— შუქრი!

— დაჯე. — მითხრა ზერამ. რიყის ქვებზე ჩამოვჯეჭით, იქით, მოშო-
რებულზე მდინარე მიწვიხვინებდა, თითქოს მე და ზერას დაგვცინოდა. კი,
კი, ასე გავიფიქრე წამით, მაგრამ მაშინ გულიდან ამოვიფხიკე ამნაირი
ეჭვი. ჩემი სიყვარული, ალბათ, ჩემს მდინარესაც უყვარს-მეთქი.

— რა ფიქრიანი ყოფილხარ, შუქრი. — თქვა ზერამ.

— მე და მდინარე ველაპარაკებით ერთიმეორეს. — სერიოზული ტონით
მოვაბსენე გოგოს.

— არ გამიმხელთ, რაზე ისაუბრეთ?

— შენი სიყვარული მეც მიყვარსო, მითხრა აჭარისწყალმა. — და თა-
ვადაც მომეწონა ჩემი ნათქვამი. ზერა დიდი ეშმაკი გოგო იყო. ჩაიკისკისა.

— ჩემი ბაბა და შენი ბაბა, ზომ?

მეც იქით გავიხედე, მოხუცები შევათვალიერე და ზერას უსიტყვოდ
თავი დავუქნიე. დედა სადა გყავს-მეთქი, მეკითხა მსურდა.

— მამაჩემს მემედი ჰქვია, მამაშენს?

— ალი! — ვუპასუხე ხალისით. ჩანდა, ჩემთან საუბარი უნდოდა გოგოს,
მაგრამ მე რატომდაც ვეღარ ვაფერებდი, არ გამომდიოდა. ახლოდან ძა-
ლიან მელამაზა ზერა და სილამაზის გამო ვიბნეოდი. იმათ კი, მამაჩვენებს,
ლოცვა მოეთავებინათ. ისხდნენ, მუსაიფობდნენ, ჩვენსკენ იცქირებოდნენ
და, მგონი, ქვეშ-ქვეშ კიდეც ეღიმებოდათ. ამან ერთგვარად გაბედულება
შემმატა. როგორც კი ფეხებზე, ბალანგაუფხეკ ქალამნებზე დავიხედე,
უმაღვე მოვიღუშე. გოგოს ტყავის წითელი წალები ეცვა, ზემოთ, წვივე-
ბზე. — ჭრელი პაიჭები შვენოდა, მაგრამ სიცხით შეწუხებულმა მალე
ფეხზე გაიხადა, რომ ცოტა ნიავის სიგრილე ეგრძნო.

— წუხელი მთაზე გავათიეთ. ციოდა ძალიან. — ამინსნა გოგომ. უც-
ნაური ზალხია ეს გოგოები. თანატოლ ბიჭებზე უფრო მეტი იციან ყოველთ-
ვის. გამოცდილნიც არიან და ფრთხილნიც. პაიჭები, წალები იქვე დაიწყო
და შემოიხედა. მე ქალამნებიანი ფეხები ქვეშ შემოვიკეცე და ზედ დავჯეჭი.

— ცხვარში რომ წავალ, ქალამნის ჩაცმა მიყვარს. — დამინსნა გაჭირ-
ვებიდან ზერამ. — ჩამოდი მესხეთში, ცხვარში ერთად წავიდეთ. ეჭ, თუმცა
საღადაა იმდენი ცხვარი, ბევრი კოლექტივმა წაიყვანა, ცოტაი კი აგერაა.

ამ დროს მამაჩვენებმა დაიძახეს, მოდით, ვიზარმელოთო. (სამხრობას
ზარმელი ჰქვია ჩვენში).

გულის ყველი პირველად ენახე. გულას ბალნიანი მსარე შიგნით ჰქონ-
და მოქცეული. შიგ მჭიდროდ გამოტენილი ყველი ჩანდა ჩარჩენილი. ცო-

ტა იყო დარჩენილი. ზერას მამამ სულ გამოაბრუნა გუდა, რაც იყო, ვარეთ
გამოყარა. იმათ პური ჰქონდათ, ჩვენ — ჭადი. ჩვენი პური ბაბამ არ ვამოგისა
ჩვენი იმჯერად. ყველმა ცხვრის სუნი დააყენა და თავი მივაბრუნე. იმათ
პურს წავატებე და ცარიელად დავიწყე ჭამა. ზერამ ყველს წატება და
გამომიწოდა, არ მინდოდა, მაგრამ გამოვართვი და პაწ-პაწაი წავაკვნიტე.
გულში კი ვამბობდი, ამ პურს მიჭმევა რაღად სჭირია-მეთქი. არ მინდოდა,
მაგრამ რა მექნა, ზერას ხათრით ცხვრისსუნიან ყველს სიამოვნებით მივი-
რთმევდი.

როცა წასასვლელად შარაგზაზე ავედით, ზერამ მამას თხოვა, მეორე
ცხენზე შუქრი შევსვათო, ხედავ, ბაღანას ქალამნები უჭერს, ცოდვააო.
მემედი ჩაფიქრდა. ზერას თვალებით გაუჯავრდა. მეც გულში გავჯავრდი.
ჯერ ერთი, არ მომეწონა, „ბაღანა“ რომ მიწოდა, მერე, არ მომეწონა, რომ
გოგო ბიჭს მიცოდებდა.

— არა, ბიძავ, არ მინდა ცხენზე... — მოვასწარი თქმა.

— ცხენზე შეჯდომის გეშინია? — ჩაიკისკისა და მთლად შემარცხვინა
ზერამ. რა გამიჭირა ამ ციცამ საქმე, რას ამეკიდა ამ ჭირის გზაზე? — ვფი-
ქრობდი ჩემთვის. კიდევ იმაზე ვფიქრობდი, — კაი და მართლაც დამითმეს
ცხენი, თუ ვერ დავიმორჩილე და გადმოვვარდი? ხომ მომეჭრება თავი.
კი, მახსოვს, ერთხელ ზეგნის საძოვარზე ბიჭებმა ვიღაცის თოხარივი მო-
ვიტყუეთ, თავ-კისერზე ბაწარი მოვაკოჭეთ და ერთი შეჯდომა მეც მომი-
წია, მაგრამ მაშინ ტიტველზე შევჯექი, თანაც არავისი მრცხვენოდა, —
ცხენმა რომ წიხლები ისროლა და უშინოთ გაჭენდა, უმალვე ჭისკუპე, გად-
მოვხტი, მართალია, ბარდებში ჩავვარდი, მართალია, დავისისხლე, მაგრამ
თანასოფლელ ბაღნებში არა უშავდა. ახლა?

— ე, მე მაგვერ კებიან ცხენზე არ ვჯდები, — ღირსებით და სიდინ-
ჯით ვუპასუხე ზერას, — მე უნაგირზე შევჯდები, თვარა...

არც ზერა შეჯდა, თავადაც ფეხით ამჯობინა სიარული. აი, მაშინ,
კი უფრო მომეწონა. შემიქანდა გული.

როცა მზე მთებს მიეფარა, გზაზე აგრილდა. ხეობაში ჩაწვა ჩრდილები,
მერე ის ჩრდილები ზევით-ზევით აიწიენ და ბოლოს მაღალი გორებიც გა-
აშავეს, — მზის წითელ-ყვითელი იაზმები აკრიფეს მთათა თავებიდან.
ცოტა ხანში ცაზე რომელიდაც ვარსკვლავი გამოვიდა. ვარსკვლავი, ბუზა-
რზე ჩამოკიდებულ ნავთის ლამპასავით, წითლად, მყუდროდ კიაფობდა.
ქვემოთ, ხეობის ფსკერზე გაწოლილ მდინარეში მოყვითალო ანარეკლი იკე-
ცებოდა. ცხვრების ფეხის ხმა, მდინარის შორი შარიშური, ძაღლების
კანტი-კუნტი შეყეფება, ბერიკაცების საუბარი, ჩემი ყოჩის ეჭვნის გაბზა-
რული კენტი ჟღარუნი, გაღმა-გამოღმა სოფლებიდან იშვიათი გადაძანი-
ლები ამშვიდებდა, ასულდგმულებდა, აცოცხლებდა არე-მარეს და ჩვენც
დაღლილობას თითქოს გვინელებდა. ბევრს ეხვეწება მემედი ზერას, ცხენ-

თანდათან შევეჩვიეთ ერთმანეთს, თანდათან დავიდაბლეთ ხმა, თანდათან
თან ვუმატეთ საუბრებს. რამდენიც ბინდდებოდა, მემედი სიარულისას სულ
უფრო ზერას უახლოვდებოდა, ცდილობდა, თავის გოგონასთან ახლო ყოფი-
ლიყო. ზერა გამუდმებით რაღაცას მეჩიჩინებოდა, მაგრამ მამამისის სიახ-
ლოვეს ხმიერად ვეღარ ვპასუხობდი. ამასობაში მთვარე ამოიწვერა და
ხეობები ყვითლად მოკალა.

მუხლები თითქოს ჩემი აღარ იყო. რამხელა ყოფილა ეს ქვეყანაო, —
ვფიქრობდი, — მთელი დღეა მოვდივართ და მაინც ვერ გამოვლიეთ.

მამაჩემი ახლოს მოვიდა.

— შვილო, შუქრი, გადაიხედე ქვევით, ე, აქ აჭარისწყალი ჭოროხში
შედის, ამას იქით მარტო ჭოროხია, რამხელაა, ხედავ?

მივედი გზისპირას და გადავიხედე. მართლაც დიდებული სურათი და-
ვინახე. უცხო, მწუხარე და მოწყენილი მომეჩვენა ყველაფერი.

ჭოროხი გაშლილად მოედინებოდა, უცებ აღებდა მთა-გორებს და
მთვარისფერ ჩქერებს მოათამაშებდა. აქ, ჩვენს ქვემოთ, აჭარისწყალს გუ-
ლში იხუტებდა, ოდნავ თითქოს ჩერდებოდა და ძლიერ სვლას აკრძელებდა:
ჩვენი სვლა კი იქ, წყალთა შესაყართან, შენელდა. კაცებმა ფარას წინ
გადაუსწრეს და ცხვრები ზემოთ, დუბე-ფერდობისკენ შედენეს. ცხენებს
ტვირთები ჩამოხსნეს და მალე გზისპირას, მომცრო მინდორა კორდზე,
ღამის სამყოფელი გააწყვეს. ცხვრებმაც მალე მოინახეს თავთავისი ალა-
გები და ერთიმეორის გვერდით მიწვნენ-მოწვნენ. მთვარის მკრთალ შუქრი
ჩვენს ყოჩებს ვეღარსად ვამჩნევდი. შევწუხდი ამის გამო. ბექობზე ავე-
დი, იმათაც ერთმანეთი მოეძებნათ, ერთიმეორის გვერდით დაწოლილიყვნენ.
შემშურდა ყოჩებისა, — მეც იმათ გვერდით, მათსავე მატყულში ჩაწოლა მო-
მინდა.

როცა გზა მთლიანად მიწყნარდა, ჭოროხის ხმა ყველაფერს დაეუფლა. მთების გულში ჩაწოლილი მდინარე თავისთავს ედუდუნებოდა, თუ ღამის
მწუხარე უსასრულობას ედავებოდა, ვერ გავიგე, მაგრამ ჭოროხი რომ
ყანიდან დაბრუნებულ, დაღლილ მამაჩემივით გადილხორებული და გაჯავ-
რებული იყო, ამას კარგად ვხვდებოდი. მაშინ — ვერა, მაგრამ დიდი წნის
შემდეგ ისიც კარგად მივხვდი, თუ რის გამოა ჭოროხი ნაწყენი. მისი იმდა-
მინდელი ტკივილის სიწმინდე ჭოროხისა და აჭარისწყალის ერთმანეთთან
შეყრაზე რომ განვიცადე, მისი ნახვა-გაცნობა, მთის, ცისა და მთვარის
ფერწასული სინათლეებით მორთული მისი სევდიანი სახე, დედა-მდინარედ
შეიჭრა ჩემს სულში და იქ მღელვარე მორევებად ჩადგა.

ფიჩები მოყარეს. ვიღაცამ მდინარისპირიდან კარგა მოზრდილი ხმელი

ჯირკვიც ამოათრია. პიწყები ჯირკვს მიუწყვეს და მალე ბედნიერი ცეცხლი აკიზგიშდა. წითელი შუქი კორდებზე მიმოწოლილ ცხვრებამდე აღწევდა. მემედი, მამაჩემი, ორი მწყემსი ბიჭი, ზერა და მე ლეცხლს მართოვანად შემოუტსხედით. ჯერ უმცროსებს დაგვირიგეს თითო ნატეხი პური (მამაჩემმა ჰადიც ამოიღო აბგიდან), გუდის ფველის მტკვრი ჰელის გულებზე ჩამოვარიგეთ. ჩვენის მხრით თითო ნახლეჩი ჩლეჩილაც ჩამოვარიგეთ. მაგრამ რატომდაც მე ყელში ლუკმაც ვერ გადავატარე. ვიჯექი ტყვილად, ყბას ვაქნევდი. ბაბამ შემნიშნა და გამიჯავრდა. მაშინ ნამცეცა ჟადი ჩავისროლე ხახაში და ჟადის ფუნჩებს მესხური პურის ერთი ნაფინცელიც მივაყოლე, ზერას ვეება თვალებში ცეცხლის ანარეკლები მზიარულად ათამაშდნენ. იმ თვალებიდან უფრო მელხუნებოდა ცეცხლი, ვიდრე ნამდვილ ნაკვერცხლებიდან. მაგრამ თვალებში იმ საოცარ სიცისფრეს ვეღარ ვხედავდი. ნამდვილ ცასავით შებინდულიყვნენ ზერას თვალებიც და ამან გული გამიკაწრა თითქოს.

ზერა ჩემს გვერდით ფეხმორთხმული იჯდა. ბიჭები ადგნენ, წავიდნენ და ბნელში შეიკარგნენ. იქიდან ცხენების ცოხნა და კანტი-კუნტა ფრუტუნი მოისმოდა. ბიჭების წასვლისთანავე სული ნებაზე მოვითქვი, სხვაგვარი თავისუფლება ვიგრძენი, ზერას თვალებში ცქერა ნებადართულად ჩავთვალე.

— კენჭობილაი იცი? ვინდა? ვითაბაშოთ! — გაოცებული ძილშემოწოლილი თვალები შემომაშტერა ზერამ.

— რა დროის კენჭობილაია!? ადე, წეიძრე ეგ გაფშეკილი ქალამნები და მიუწევი ყოჩებს. — დამტუქსა და გოვოსთან შემარცხვინა ბაბამ.

მეწყინა და არ ვიკადრე ასეთი შენიშვნა. იმ დღეს, იმ გზაზე, ზერას გვერდით, თავს ბავშვად აღარ ვთვლიდი! ბაბაი კი...

ავდექი, ფეხების თრევით გზა გადავჭერი და, მართლაც, ჩემს ყოჩებს შორის ჩავწექი, ჩავიმალე. მწოლარემ ფეხებზე თასმები შევიხსენი, ქალამნები წავიძრე, იქვე დავყარე და ფეხები დავასვენე.

ხანდახან თავს წამოვწევდი, გზისპირისკენ გავიხედავდი. მემედი, ზერას ბაბაი, ადგა, ბნელში ცხენებთან გავიდა. ალბათ, მალე რაღაც სქელი საფენები მოიტანა, იქვე ცეცხლთან ახლო დააგო და ზერას უთხრა, მოდი, შეილო, აგერ მიწექიო. ზერა ადგა, თავის მამიკოს გაუმხილა, მეც ჩვენს ცხვრებთან ავალ, იქ უფრო ჩავთბებიო. ამოვიდა. და ჩემი ეჟვნიანი ყოჩის გადაღმა, ძირს დაფენილ მატყლებში ჩაწვა. ჭრელი თავშალი გადაიფარა. მე უვრო მაგრად მივეხუტე ეჟვნიან ყოჩის, — ვიცოდი, ჩემი ყოჩის თბილი, მატყლიანი სხეული ორივეს გვათბობდა, ცხვრების სხეულთა შორის ჩაძირული პირაღმა მწოლი, შევცქეროდი ზეცას და იმდენ მოკამკამე, მოციმე, მოელვარე ვარსკვლავში თვალებით ვმოგზაურობდი. ცაზე მნათობთა

შუქიანი სიშორები ზანდახან ისე შორს წამიტყუებდა, რომ შემეშინდებული და, არ დავიკარგო და ეჟვნიანი ყოჩის გადაღმა მარტოდმარტო არ დამრჩეს ზერა-მეთქი. თვალებს დავხუჭავდი, რათა უკან დავბრუნებულიყავი.

— როგორაა, თქვენც შეგჩარეს კოლექტივებში? — ვიცანი მემედის ხმა.

— აბა, ჰად წეხვალ! — ამოიგვნეშა ბაბამ.

— დაგვაქცევს ეგ ულვაშა ჩვენ. — თქვა მემედმა. მივხვდი, სტალინზე თქვეს.

— არც მაგას დააყრიან ზეირს მემრე. — ისმოდა მამაჩემისა.

ზემოთ შემოიხედეს. ბაღნები დაძინებულად ჩაგვთვალეს და უფრო შვებით ალაპარაკდნენ.

კოლექტივობა სულ დაშალეს, გაერთიანებული თავთავისი მიწები უკანვე დაიბრუნეს, ფერმებში წაყვანილი საკუთარი საქონელი, თხა-ცხვარიც, თავისავე ახორებში შემორეკეს. აავსეს ბეღლები, ნალიები, ტურაბეღლები ჭირნახულით, დატენეს, დაგლისეს გვარდა-კაპიწები ერბო-ყველით, დაყარეს ბაზრებში აურაცხელი ხორაგი, დაიტენეს ჯიბეები და უბეები ფარითა. ჩაღვენთილ ცეცხლს სული შეუბერეს.

ღამე ჭოროხის ღრმა, გაბმულ ჩქაფანში ნელა გადიოდა.

ჩემი და ზერას თითო ხელი ჩვენ შუა მწოლ ეჟვნიანი ყოჩის მუცელზე ეწყო.

ყოჩი რომ ჩაისუნთქ-ამოისუნთქავდა, ერთიმერესთან მიახლოებული ჩვენი ხელები ზევით-ქვევით აპქონდ-ჩამოპქონდა.

ბერიკაცები მუგუზლებს უჩოჩებდნენ ერთმანეთს და იმხელა ნაკვერცხლადქცეულ ჯირეკს ახლად შემოებრიალებოდა მომწვანო-მოწითალო ალი. წყლისპირზე ზაფხულის ღამესაც ისეთი სუსხი ცოდნია, როგორც მამაჩემი იტყოდა, — ცეცხლი გაგემრიელდება.

ბაბაი ჭოროხს გადახედავდა, ძველ ამბებს იგონებდა. ერთგან ართვინიც გაიჩსენა, ბორჩხა ახსენა. იქაური ნათესავ-ახლობლები ორივემ მოიგონა და მათი სამუდამო მოწყვეტა-დაკარგვა მოიჩივლა-მოიდარდიანეს. მერე, ოდნავ წათვლემილ-წაძინებული ცის შორეულმა გრუხუნმა გამომაღვიძა. თვალი რომ გავახილე, მაღლა, ზეცაზე ვარსკვლავების მაგიერ ცეცხლის თოკებივით გრძელ-გრძელი ელვები იწირეხებოდნენ. მაღლე სახეზე წვიმის გრილ-გრილი მოხოროშო წვეთები დამეცნენ და ხვიტირა თავზე თქაფა-თქუფით გადამირბინეს. ცხვრებმა და ყოჩებმა აგერ-ეგერ ჩაიფრუტუნ-ჩაიქიცინეს და ნელ-ნელა აშლა დაიწყეს.

ხეობა აღმოსავლეთის ცისკარს მოკალულ ქვაბივით გამოენათებინა გზისპირას, მარტოდ მიტოვებულ ჯირკვს შიშინით და შუშუნით მხოლოდ ძოლურჯო კვამლის ბოლქვები ეხვეოდა.

თვალი რომ გავახილე, იმწასვე ჩუმი შიმშილი ვიგრძენი.

ისიც გამახსენდა, ბერიკაცებმა წუხელ, ცეცხლაპირს ჭადისა და პურის ნატეხები როგორ დათვიცხეს გამოჩხრეკილ ნაკვერცხლებზე. როგორ ამოიღო მემედ მესხმა ჰეგბიდან (ხურჯინიდან) დიდრონათავება ხახვები, ჯერ იქვე, ქვაზე, დაბეჟა, ფაქიზად შემოაძრო გარსი, მერე ხახვის თავი შუაზე გახეთქა. ნახევარი ნახეთქი მამაჩემს გაუწოდა, თავისი ნახევარი ღვალოს თოთლებზე დაყრილ მარილს მოწიწებით დააწო და მესმოდა ხახვის ლორთქი თავს როგორი ხრაშახრუშით ჭამდნენ. როგორი ხრაწახრუწით აფქვევდნენ გაფიცხებულ ჭადის ნატეხებს. მახსოვს თავი წამოვწიე, ნერწყვი წამოვიდა. ბაბამ ხელით მანიშნა, ჩამოდიო.

ამასობაში გათენდა. ბერიკაცები იქით, ცხენებთან, კორდზე წამოწოდილ ბიჭებს აღვიძებდნენ და ცხვრებს უხმობდნენ. ეტყობოდათ, გზაზე გარეპა ეწადათ. ჩემი ეჟვნიანი ყოჩიც წამოდგა, სველი მატყლები მთელი სხეულით აღმა შეიქნია. ზერას კი ჯერ კიდევ ეძინა თავის ცხვართან.

მალე მთელი ფარა წამოიშალა, მაგრამ ის ერთი ცხვარი თვალმიღულული, მგონი, მძინარე გოგონას ხათრით, ჯერ კიდევ არ დგებოდა. წვიმამ წვეთები თანდათან დაიწვრილა და დაიხშირა. სინათლემ იძალა, ნისლები დაბლა დაეშვნენ, ჭოროხი ახლა უკვე მთებადან კი არა, ნისლებიდან გამოდიოდა.

მემედ-მესხმა საიდანლაც დამიძახა:

— ბიჭო, შუქრი, გააღვიძე ეგ ძილისგუდა, ეგა!

ჩემი ეჟვნიანი ყოჩის ზურგიდან ჩაცურებული ზერას თეთრი ხელი მწვანე ბალახებზე იდო. დავიხარე, ხელზე ხელი მოვკიდე. ზერამ იმწამსვე შეშფოთებული დიდრონი თვალები აახილა და შიშით სახეში შემაშტერდა. მალე ყველაფერს მიხვდა, წამოიჭრა, ტანზე სამოსელი მიმოისწორა, თმებზე წურწურით ჩამონადენი წვიმა ხელით მოიწურა და მზის ანარეკლივით ცქრიალა ღიმილი დამიტოვა, თავად კი გზისკენ დაეშვა.

როგორც მოულოდნელად გაწვიმდა, ისევე მოულოდნელად გადაიღო. ნისლებმაც აკალთვა დაიწყო. წვიმა სხვანაირი იყო, — უეცარი, უხვი, რაც, ალბათ, ზღვის სიახლოვის ბრალია. იქ, მთაში წვიმა უფრო ლმობიერია. აქ, კი ფერდობებზე ნაკადულები მითქრიალებენ. მიაქვთ სიმშრალე, მიაქვთ გუშინდელი სიცხეც, მაგრამ მდინარეს ჯერ წვიმა თითქოს არც უგრძვნია. იგი ისევ ისე მთვარისფერია, მოყვითალო-მოთეთრო და მედიდური.

ზერა ისევ ცხენზე შესვა მამამისმა. წვიმის წყალი ისევ ისე ჩქერებად ჩამოდიოდა მხრებიდან, კალთებიდან, მაგრამ თვალებმა ისევ დაიბრუნეს გუშინდელი სიცისფრე და უძირობა. ისინი შებრალებით და წუხილით მოიქცეოდნენ ხოლმე ჩემკენ, შეხედავდნენ ჭყლაპა-ჭყლუპით დაბიჯებულ ჩემს ქალამნიან, წყლით სავსე ფეხებს, ჩემს მოწყენილ სახეს. წვიმის გარეცხილი გზა ცხვარმა კიდით-კიდემდე გაავსო.

(დასასრული იქნება).

სიქლიდან «პლივის ეპილი»

გვიათმობა ღიღი გზაბი

ეს გაზაფხული მწუხრის
საბურველს

და სისხლის წვიმას გვაყრის,
ოდითგან ასე ნაზს და სასურველს
რაღა შეამკობს აპრილს!
თავისუფლების სული მქუჩარი
იქცა ცრემლად და გმინვად,
გვემახსოვრება „ძმის“ ნაჩუქარი
ეს სისხლიანი კვირა!..

რა ბალლამი და შხამი ედინათ,
რა ბოლმა ახრჩობთ, ვიცით,
ახალი დროის ჯალალედინებს
და თემურ-ლენგის წიწილთ...
რა გაახარებს, რა მოასვენებს,
როგორ გააღწევს ნაპირს,
სისხლი და ცრემლი ვინც
მოასხურა

ჩვენს პირმშვენიერ აპრილს!
ვინც ალესილი მახვილით მოდგა
დედა-თბილისის კართან,
ვინც აატირა არწივთა მოდგმა,
შეხვრიპა სისხლი ქალთა!
ყორანო, მჭერო სასოთა ჩვენთა,
გესლის მორევში თვრები!..

გლოვის მეწყერად ჩამოიღვენთა
ჩემი აჭარის მთები.

შიგნიდან უღვთოდ გატეხილ
კოშკში

ვერ შეხვდი მხდალს და უძლურს!
ღმერთო, გააშრე საქართველოში

ავტორის თხოვნით პონორარი გადაირიცხება „9 აპრილის“ ფონდში.

კაენის წილი ძუძუ!
 დედაო ღვთისავ, ალგეთს ლეპვები
 ზარდე წინაპართ დარი!
 ააჟღრიალე იმედის ხმებით
 ოჟა ჯურჩაის ფარი!
 ვაზის ჯვარით და მაცხოვრის
 კვართით,
 ზვარაკთა სულის ნებით,
 ჩვენთან არს ღმერთი!
 ჩვენთან არს ღმერთი! —
 გვიხმობენ დიდი გზები!..

ტირილი გაიცე ნუგაშია

ქორეოგრაფ შალვა ქვასრო-
 ლიაშვილის ხსოვნას

თბილისს რა სისხლის ტბა
 დაგუბდა!
 ჩვენს თავს წისქვილის ქვა
 დაბრუნდა
 ამ გაზაფხულის დილით!
 პირბასრი ნიჩბებით აჩეხილ
 ცეცხლოვან ცეკვას ვტირი...
 ტირილი მაინც ნუგეშია,
 ცრემლებს რად უნდა მალვა!
 ნებისად როდის გვიმლერია,
 მხარგაშლით როდის გვილეკვია,
 ვინ გვაცეკვებდა, შალვა!..
 ყველი გაშრობიათ მტკვარს და
 იორს,
 ცრემლი სდის ბებერ გრემს.
 ერეკლეს ბევრები აწრიალდნენ —
 ძმასა და მფარველს ვეძებდიო,
 განა ჯალათსა და მკვლელს?!
 გლოვის მუოსანია ნადიკვრის
 ნიავი,
 თმა გაუშლია და ტირის:
 თბილისს რა სისხლის ტბა
 დაგუბდაო,

ჩვენს თავს წისქვილის ქვა
დაპრუნდათ
ამ გაზაფხულის დილით...

ვრთად თუ ვათვაბით

ქართულ გენს არ მოსდგამს
კანკალი და შიში
და რომ გვაფხიზლებენ,
მტრებმა არ იციან...
ურჩიშულის სავალზე ავბედით
აპრილში

კოცონად აენთე,
ჩემო მიღიცია!
რა გული გქონია,
რა სულის ნათელი
მტკვრიანს,
არაგვიანს,
მცხეთა-თბილისიანს!..
სად გქონდა სამშობლო
ჯალათის სათელი,
ჩიჩით ასაჩენი,
ჩემო მიღიცია!
მკერდით დაიფარე დები და
დედები,

ერმა დაგაკისრა
ეს წმინდა მისია.
ვერას დაგვაკლებენ,
ერთად თუ ვენთებით,
მხარდამხარ თუ ვივლით,
ჩემო მიღიცია!
გაჯობილ სამშობლოს
გულდიდა მხედრებო,
ერთობა მომავლის
ნათელი ფიცია.
თავს მდაბლად ვისრით და
უფალს ვევედრები,
მიცოცხლოს, მიმყოფოს
ჩემი მიღიცია!

„მზევ, შინ შემოდი“,

მზე შინა და მზე გარეთა,
 მზევ, შინ შემოდიო...
 (ჩალხური)

მზევ, შინ შემოდი,
 გაანათე არსება ჩვენი!
 ადამის მოდგმის ყველა ძარღვი
 შენი სხივია
 და ნუ მოაკლებ სიცოცხლის
 ხალცის!

მზევ, შინ შემოდი!
 ჩაგვისახლდი თვალის გუგებში,
 რომ არ ჩავქრეთ და არ
 დავიშრიტოთ,
 გაგვარჩევინე მტერ-მოყვარე,
 ავი და კარგი!
 მზევ, შინ შემოდი!
 დაგვილოცე მარჯვენა ჩვენი —
 არა წინაპართ საფლავის
 მოხსრელი,

არა ძმის მკვლელი, —
 სამშობლოსათვის მახვილის
 მჭერი!

მზევ, შინ შემოდი!
 გვაპოვნინე თავი ჩვენი,
 აღადგინე იმერ-ამერი —
 ვინ იცის, რა დროს
 შემორღვეული!..

მზევ, შინ შემოდი!
 წარიტაცე ჩვენი წსოვნიდან
 კაენის ცოდვა,
 იუდას მარცხი,

არ გააღვივო თესლი ბოროტი!
 მზევ, შინ შემოდი!
 მიანათე ბაგეებს ჩვენსას,
 განბანე იგი, განასპეტაკე
 და დაუბრუნე ლოცვის უნარი!
 მზევ, შინ შემოდი!..

თავისუფლების გზა

ცხენოსნებმა მკვეთრი მოსახვევი გაიარეს, სწორ გზაზე შეჩერდნენ, ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და ადგილიდან მოწყდნენ. ბედაურები შურდულივით გაიჭრნენ და გზიდან ავარდნილ მტვრის კორიანტელში გაეხვივნენ. ახლა მხოლოდ ფლოქვების შორეული თქარათქური ისმოდა.

— სანამდე? — დაიძახა მხედრების გასაგონად ოდნავ წინ გასულმა.

— თამარის ხიდამდე, ვინც პირველი მიასწრებს, იქ უნდა ჩამოხტეს და ბურჯან დიდი თხმელა რომაა, იმას მათრახი შემოჰკრას. — გასძახა შუათანამ.

ბიჭებმა ერთჯერ კიდევ ჰკრეს დეზები, აღვირი ბოლომდე მიუშვეს, უნაგირებს გაეკრნენ და ერთგული პირუტყვის სისწრაფეს მიენდნენ.

აგერ ხიდის თაღიც გამოჩნდა. მხედრებმა უკანასკნელად შეუძახეს ცხენებს. აქამდე წინ მიმავალი კვლავ არ თმობს მეწინავეობას, ხიდთანაც პირველი მიიჭრა. თხმელასთან ცხენი მოსხლეტით შეაჩერა, ყალყზე შეაყენა, მათრახი მოიმარჯვა, მაგრამ ხელი ჰაერში გაეყინა... თანამგზავრებმაც მკვეთრად შეაჩერეს ბედაური და ადგილზე მტვრის ბუღი დააყენეს.

თხმელის ძირას გრძელულვაშა, ოდნავ თმაშეჭალარავებული კაცი იჯდა. მუხლზე სვანური ქუდი ედო.

ბიჭები უნაგირებზე გახევდნენ. დამხვდურმა მათ მშვიდად ახედა. მის წინ პირტიტველა 10-15 წლის მხედრები იდგნენ. აჭარულად კოხტად გამოწყობილთ თავზე მოსირმული ყაბალახები შემოეხვიათ... ცხენებზე ისე ეჭირათ თავი, თითქოს ზედ შეზრდილანო. უცხო კაცის დანახვაზე მათ ყურები დაეცევიტათ და გაოცებული თვალები მისთვის მიეშტერებინათ. ერთხანს ასე იყვნენ, მერე ჩამოქვეითდნენ და ცხენები გზის პირას მიუშვეს.

— გამარჯობათ, ბატონო, — მიესალმა სქელი ბიჭი. იგი მათ შორის უფროსი უნდა ყოფილიყო.

— გაგიმარჯოთ, ყმაწვილებო! — უთხრა მგზავრმა და ადგილიდან ოდნავ წამოიწია. — მგონი, ხელი შეგიშალეთ პაექრობაში.

ბიჭებმა ერთმანეთს შეხედეს, გაიღიმეს და იქვე მორზე ჩამოსხდნენ.

— ჰო, შევეჯიბრეთ ერთმანეთს. — თქვა სქელმა.

— მე გავიმარჯვე, ზომ, ბიძია? — იკითხა ყველაზე უმცროსმა. იგი ათიოდე წლისა იქნებოდა. მან კაცს ჯერ მკვირცხლად შეხედა, შემდეგ დაიშორცხვა და თვალი მოარი კა.



— პო. შენ გაიმარჯვე და... კინალამ მათრახიც გადამკარი.

ბიჭებმა გაიცინეს.

— მეც მიყვარს ცხენით ჯირითი. — გაავრძელა მგზავრმა. ტაიჭი ჩემია, — ხელით აჩვენა რიყესთან პალოზე ფეხით მიბმულ ცხენზე, რომელსაც ვიღაც კაცი ადგილს უნაცვლებდა, — მეგრულია, მე თავადაც მეგრელი გახლავართ, თედო სახოკია. თქვენს მხარეში ვმოგზაურობ. თქვენ ვის გეტყვიან? — აჭარულად მოუქცია მგზავრმა.

— ჩვენ ორი ქედელი თოფან-ბეგ შერვაშიძის შვილები ვართ. — ამას ყადირი ჰქვია, — პატარაზე მიუთითა, — მე—ზაქრო, ეს ჩვენი ბიძაშვილია. თემური.

თედო ბიჭებს რიგრიგობით აკვირდებოდა.

— აბა, მარულაში ყადირს გაუმარჯვნია.

— პო. — ერთხმად უპასუხეს ბიჭებმა. უმცროსმა ამაყად ასწია თავი, სახე შეუფაკლდა.

— მერე და, რა ჯილდოს მიიღებს გამარჯვებული ცხენოსანი? — დაინტერესდა მგზავრი.

ზაქრომ ხელი ზურგისაკენ წაიღო და ქამრიდან ფერადყდიანი წიგნი ამოიღო.

— აი, ამას. — თქვა და წიგნი ძმას გადასცა.

იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“ იყო.

მგზავრს გაუხარდა... უნებურად მიწას ჩააცქერდა. „გარეგნულად ზომ საამო საყურებელნი არიან ეს თავისუფალი შვილნი აჭარის მშვენიერი ბუნებისა. ამათი ქართულის სმენას ხომ არა სჯობია რა. ქართულ წიგნებსაც რომ შემოუღწევია“, გულით ესიამოვნა მოგზაურს.

— ქართული წერა-კითხვა სად შეისწავლეთ?

— ჩვენ ორი ბათუმის საქალაქო სასწავლებელში ვსწავლობდით. — თქვა თემურმა. — ყადირი ახლა მიგვყავს გიმნაზიის მოსამზადებელ განყოფილებაზე.

— რუსული თუ იცით? — დაინტერესდა თედო.

— როგორ არა, — რიხიანად წამოიძახა თემურმა, — რუსულის ცოდნა აუცილებელია. — ჩვენ რუსეთის ხიშჭებმა გადაგვარჩინა, აჭარაც რუსეთმა გამოიხსნა. ყველაფერი: სწავლა, წერა, კითხვა რუსული გვაქვს, როგორც რუსეთის ქვეშევრდომებს.

აშკარად ეტყობოდა, ბიჭს ვიღაცამ დააზეპირებინა ეს ფრაზები.

— თქვენც ასე ფიქრობთ? — თედო თემურის ბიძაშვილებს მიუბრუნდა.

ბიჭებმა ჯერ ერთმანეთს შეხედეს, შემდეგ თემური შეათვალიერეს, მერე მოსაუბრეს გაუბედავად გაუსწორეს თვალი.

— პო, ჩვენც. — თითქმის ერთხმად უპასუხეს.

თვე ერთხანს ჩატიქრდა. „მაზრის უფროსის ოჯახში იზრდებიან, სხვანაირად ვერც მიპასუხებდნენ“. — კვლავ თემურის მიუბრუნდა:

კარგი. იქნებ მართლაც გადაგვარჩინა რუსულმა ხიშტებმა, იქნებ აჭარაც რუსეთმა გამოიხსნა, ჩვენც მისი ქვეშევრდომები გავხდით, მაგრამ ხომ აჯობებდა, ჩვენი ქართული სახელმწიფო გვქონოდა, მისივე ქვეშევრდომი ვყოფილიყავით და თავიც დაგვეცვა როგორც თავისუფალ და დამოუკიდებულ ქვეყანას?

— ხელმწიფე-იმპერატორის ვარეშე ჩვენ ვერას გაუხდებოდით. — თქვა თემურიმ.

— ჩვენ ჩვენი ხელმწიფე, ქართველი მეფე რომ ვვყოლოდა?

ბიჭებმა ვერაფერი თქვენს.

— იცით, რატომ არ გვევს ჩვენი მეფე? — არ ეშვებოდა თედო. — იმიტომ, რომ 1801 წელს რუსეთის იმპერატორმა ქართველებს ვვიღალატა, დაარღვაა საქართველოს სამეფოსთან დადებული ხელშეკრულება — ვიორგიევსკის ტრაქტატი, რომელშიც ეწერა... — თედო გვერდზე გადაიხარა და და ხურჯინიდან გაყვითლებული წიგნი ამოიღო: — აი აქ სწერია, რომ რუსეთის მეფე ვალდებულებას კისრულობს სამხედრო დახმარება გაუწიოს საქართველოს მტრებისაგან დასაცავად. არ ჩაერიოს ქართველი მეფეების საშინაო საქმეებში. სამწუხაროდ, მაღვე ეს კეთილი პირობა თავადვე დაარღვია, ვაუქმა ქართული სახელმწიფო, მეფის მემკვიდრეები ოჯახებით შორეულ გუბერნიებში გადასაახლა და საქართველო რუსეთის გუბერნიად გამოაცხადა. ხელმწიფე-იმპერატორი ათავისუფლებს ქართულ პროვინციებს და დახმარებას უწევს მათ, როგორც თავის გუბერნიებს და არა სხვა ქვეყანას. ასეა ეს.

ბიჭებს თავი დაუხრიათ. თედომ იფიქრა, გადავაჭარბეო, და ერთხანს თავადაც გაჩუმდა, შემდეგ უხერხულობის გასაფანტავად ყადირს მიუბრუნდა:

- შენ რატომ არაფერს იტყვი, პატარავ?
- სიტყვა დიდვანებისაა. როცა ვისწავლი, ეგების მეც ვიტყვი ჩემსას.
- სხარტად მიუგო მგზავრმა.

* * *

ამასობაში თედოს მხლებელიც გზაზე ამოვიდა და პირდაპირ ხილისაკენ გამოემართა. შალის მოკლე ჩაქურა, ნაოჭებიანი და ვიწროტოტებიანი ძიქვა შარვალი, ფეხზე ჭრელი ზანკლები და წულა-მესტები ეცვა. წელზე მოვერცხლილი ქამარი შემოერტყა, რომელშიც დამბაჩა. ჰქონდა გაჩრილი, გვერდზე ბებუთი ეკიდა, თავზე მაღალი ბოხოხი ეხურა.

მოსვლისთანავე ყაბალახიან ბიჭებს გადახედა და „სალამ ალეი-ქუმო“, — მიესალმა.

თედოს ეხამუშა ასეთი მისალმება, მაგრამ არ შეიმჩნია. ბიჭების პასუ-
ხებს დაელოდა.

— გადღეგრძელოს! — უპასუხეს იმათ.

„ინუს ბერიძე ერთ-ერთი მოწინავე კაცია ზემო, აჭარაში, ნუთუ მასაც
დაუძვირდა ქართულად სალმის მიცემა? თუმცა... შეიძლება, ბიჭები გამოს-
ცადაო“ — გაიფიქრა თედომ და რაკი ბიჭების პასუსი მოეწონა, საუბარი სხვა
თემაზე გადაიტანა.

— სანამ აჭარაში გადმოვიდოდი, ვინ იცის, რას არ მეუბნებოდნენ: მთე-
ლი აჭარა ფირალებითაა სავსე, გზაში ვერ გაივლი, ან გაგძარცვავენ ან
მოგკლავენო.

— თქვენ, თედო ბატონო, მალე დარწმუნდებით, რომ ეს ხმები გაზვია-
დებულია. იმასაც გეტყვიან, აჭარელი გაუტანელიათ. ნუ დაიჯერებთ. გული
აჩვენეთ და თქვენთვის თავს გადადებს იგი, მაგრამ თუ ოდნავ ორგულობა
შეგამჩნია, არ შეგარჩენს. მე, მგონი, ეს მარტო აჭარის კი არა, საერთოდ
ჩვენი მთიელი ქართველების ჩვეულებაა. — თქვა ინუსმა.

— სწორი ხარ, ჩემო ინუს... ისე, ყაჩალები ხომ იმალებრან ამ ტყე-
ლრეში?

— როგორ არა. ერთი თვის წინ ცნობილი მევლუდ დიასამიძე დაიჭი-
რეს... ვერც კი იტყვი, რომ ყაჩალია, ეს ერთი უკეთილშობილესი პიროვნე-
ბა ხელმწიფის კანონებმა და უსამართლობამ გარიყა. ლარიბს არას ერჩის.
თუ ვინმეს ლარიბების ზურგზე ატყავებული ქონება გააჩნია, იმას არ დაინ-
დობს...

— მამაჩემის მონათლულია. — ამაყად თქვა ყადირმა და ძმებს გადახედა,
ხომ არაფერი დავაშავეო.

— მართალს ამბობს ყადირი? — დაინტერესდა თედო, ბიჭეს ხელით ანი-
შნა, მოდიო და გვერდით მოისვა.

— მართალს ამბობს. — თქვა ზაქრომ და გაუბედავად დაუმატა. — მისი
შეპყრობაც მამაჩემს დაავალეს, მაგრამ ოლქის უფროსს შეუთვალა: მაზრის
უფროსობას დავტოვებ, ჩემს ნათლულს კი ხელს არ ვახლებო.

თედოს თვალები გაუბრწყინდა და ინუსს მიუბრუნდა.

— ესეც ჩვენი მთიელების წეს-ჩვეულებაა, ჩემო ინუს. ჭეშმარიტი ქარ-
თველი სხვანაირად არ მოიქცევა.

ზაქროს სიმწნევე მოემატა.

— მამაჩემი შვებულებაში იყო, მის ადგილზე დროებით გამოგზავნეს
ვოსკრესენსკი და იმან დაატუსალა მევლუდი.

— მევლუდ ბიძია ციხიდანაც გაიქცევა და იმ ვოსკრესენსკისაც შეხვდება
ვიწრო გზაში. — შურისძიება გულუბრყვილოდ გამოხატა ყადირმა.

თედომ ბიჭეს მხარზე ხელი გადადო და გულზე მიიჩუტა.

— ჩემი მეზობელი, ილიას ხილაძეც, უსამართლობას გაექცა, ურთხანს კენტად ფირალობდა, ახლა მევლუდის ჯგუფში იყო, აღბათ, იმასაც უნდობოდა დღე ელის, — თქვა ინუსმა.

— რას იზამ, ინუს-ბატონო, ჯერ არავის მოსწრია, ყაჩალს და აბრავს ბოლომდე გაეტანოს თავი და მთავრობის კანონებს თუ უკანონობას გაქცეოდეს. ასე იყო და ასე იქნება.

— ნეტავ, თუ გვეღირსება ისეთი მთავრობა, კაცი რომ ტყეში არ გაიქცეს? — ინატრა ინუსამ.

— მაგას ვერ გეტყვი, მაგრამ ადამიანების ცხოვრება უკეთესი რომ უნდა იყოს, ამაში საეჭვო არაფერია. განა მარტო თქვენთან, მთელი საქართველოს მთის ხალხი ყერიბად ცხოვრობს.

— ძაბუნი მიწა გვაქვს, თედო-ბატონო. სარჩო ცოტა მოდის, ხალხი ნახევრად მშიერია, გადასახადი, იცოცხლეთ! — არც ოსმალო გვაკლებდა ხელს და არც რუსის მთავრობა.

თედომ ბიჭებს გადახედა, თუ გვისმენენო. მათი გულისყური ხანდაზმულთა საუბარზე იყო მიპყრობილი.

— მაინც, საინტერესოა, ინუს, ხალხის განწყობილება. როგორ ფიქრობ, ოსმალოს კანონები უფრო მოსწონდათ თუ რუსისა?

ინუსა ჩაფიქრდა, მერე ოდნავ ირონიულად გაიღიმა:

— რა მოგახსენოთ, ოსმალომ აჭარას და აჭარლებს რაც უყო, თავად მოგეხსენებათ. სამასი წელი აბეჩავებდნენ და სულიან-ხორციანად აღატაკებდნენ აქაურებს. მართლაცდა გასაოცარია, როგორ არ აღიგავა შიწის პირისაგან ეს ერთი მუჭა ხალხი, როგორდა დარჩა მათი ხსენება. ტყე მაინც გვქონდა. ახლა კაცი გამოგზავნეს, ნესლიჭი ვარო, ტყე სახელმწიფოსიაო, ჩვენი ნებართვის გარეშე ხელი არ ახლოთო. ხალხი აღშფოთდა: ჩვენი მამაკაპის დანატოვარს როგორ არ გვანებებენო. იდავეს, იჩხუბეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ადგნენ და მუჰაჯირად წავიდნენ.

— კი, მაგრამ მარტო ტყე იყო მუჰაჯირობის მიზეზი?

— როგორ გეკადრებათ, ჩემო ბატონო, ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა. ჯერ იყო და, ახალმა მთავრობამ ხალხს გამოუცხადა, გინდ დარჩით, გინდ წადითო. მერე დაფიქრებაც არ აცალა, გადასახადები შეაწერა, აქეთ ბაჟი, იქეთ სამხედრო ბეგარაო: ორ-სამ წელიწადში, რაც თავი კაცები იყვნენ, ჩვენებურები, ვისაც ხალხი ენდობოდა, ნური-ბეგ ხიმშიაშვილი, მარჯანალა, მარშანია, გრიგოლ გურიელი, ყველა ასტავკაში გაუშვა, ახლა თოფან ბეგ-საც აღარ აჩერებენ, ხალხი ამანაც ააღელვა. მერე ეს ტყის ბაჟიც შემოვიდა, ოსმალეთიდან ჩაშუტებიც ჩამოვიდნენ, ხალხი გააბრიყვეს: მეჩეთებს დახურავენ, ქალებს გაგიბახებენ, ჯოჯონეთი არ აკცდებათო, და ამ ბნელ ხალხ-საც მეტი რა უნდოდა, ადგნენ და ცხრამთას იქით გადაბარგდნენ.



ბიჭები დიდკაცებივით ჩაფიქრებულიყვნენ. ყადირს მოლზე ფახტებიამო-
გრთხა და თვალებში შესციცინებდა მოსაუბრებს.

* * *

ყადირი თოვლით შეჭირხლულ ფანჯარასთან მივიდა და მზერა სუ-
როშემოვლებულ მუხას პკიდა. ხეზე შაშვი შეურთხიალდა, ჭახჭახის ხმამ
ოთახშიც შემოაღწია. ბიჭმა თვალი ზენდიდის შეფიფქულ ტყეებს ააყო-
ლა, ერთხანს მთას მიამტერდა, შემდეგ ცქერა მდინარის ორივე მხარეს გა-
ფანტულ ქონმანებზე გადმოიტანა. დაბას რაღაც სევდიანი ბურუსი დასწო-
ლოდა. ნაღველს ოდნავ ფანტავდა აკავრეთა, რომელიც აქაფებულიყო და ან-
კარა ტალღებს დედამდინარისაკენ მიაგორებდა.

ხიდს გამოლია აუარება ხალხს წრე შეეკრა. წრეს ერთრიგად ჩამდგა-
რი შაშხანაგადაკიდებული ჯარისკაცები ამავრებდნენ. შუაში სახრჩობელა
იყო აღმართული.

ყადირმა მამას მოუტედა. იგი ბუხართან იყო მიმჯდარი, ვეება ბეჭები
ორივე კერას სწვდებოდა და ავარდნილ კოცონს ფარავდა.

ამ ოთახში თოფან-ბევი ჩვეულებრივ განმარტოებით ისვენებდა. ახლა,
რატომდაც, უმცროსი ბიჭიც მოუხმია.

— გამოიყვანეს? — მოულოდნელად იკითხა ბეგმა, ფანჯრისაკენ არ
მიბრუნებულა.

ბიჭი ფეხის წვერებზე წამოიწია. ხალხის უზარმაზარი შავი ლაქა
თოვლიან არე-მარეში კარგად ჩანდა.

— არა. — მიუგო მამას, შემდეგ ფანჯარა გამოაღო და თვალი კვლავ
მიმოავლო იქაურობას.

ოთახში სუსხი შემოიჭრა, ცივ ჰაერს ხალხის ყაყანი შემოჰყვა.

— დახურე ფანჯარა!

ბიჭმა ფანჯარა სწრაფად მოხურა.

— ჩავიდე ქვევით? — ჰკითხა და დაუინებით მიაცქერდა.

მამას არაფერი უთქვამს.

ყადირი ოთახიდან გავიდა და კიბეებზე ჩაირბინა. ბეგი კვლავ გაუნძ-
რევლად ზის და ფიქრებს მისცემია. გონებიდან ვერ მოუშორებია სამიოდე
თვის წინ სიკვდილით დასჯილი ნათლული, მევლუდ დიასამიძე, ერთ დროს
მისი ხელქვეითი, შუბლნათელი და პირმოცინარი ბიჭი, სასამართლომ
ლამის გაამართლა. ამის გამო გოლიცინი სიგიურემდე მისულა, სისხლი სწყუ-
როდა იმ არამზადას და კიდეც დალია. მანამდე აჭარას სახრჩობელა არც
ენახა. ეს მეორეა. დღეს ილიასას ჩამოახრჩობენ. „არა, აღარ ვიმსასურებ,
გავალ, გავშორდები ამ კაციჭამიებს“. — გაიჭირა მაზრის უფროსმა და ბე-

ჭრე ხელი იტაცა, თითქოს სამხრეულებს
რომ საშინაო ხალათი ჰქონდა მოხურული.

იძრობსო, აღარც კი ახსოდეთ
საზოგადოებრივი

ყალიბი მაღალი, ბოხოხიანი კაცის ზურგსუკან
იდგა, ამაზე წინ ვერ
გასულიყო და ვერც ხედავდა, წინ რა ხდებოდა. ხალხის ჯგუფი ამოძრავდა
და ბიჭი წინ მდგომ კაცს ზურგზე მიაწვა. კაცმა მოიხედა.

— მოდი, ბიძიკო, წინ დადექი, — იგი ოდნავ შებრუნდა და ბიჭს ადგი-
ლი დაუთმო. ყადირმა მას ახედა. პირხმელ, მავწვერა კაცს ცალ ხელში
ფანქარი ეჭირა, მეორე ხელისგულზე პატარა ქაღალდების შეკვრა ედო.
იგი დროდადრო რაღაცას იწერდა. სამრჩობელა ხალხის წინ, უხეშად გაწ-
ყობილ ფიცარნაგზე იყო აღმართული. ბოძთან წითელპერანგიანი, სახეგარუ-
ჯული, ცხვირჩაჭყლეტილი, თავმელოტი, გრძელულვაშა კაცი იდგა. ამ სი-
ცივეში მკლავები დაეკაპიწებინა.

ბიჭმა ჯალათს თვალი მოარიდა და გვერდით მდგომი კაცის ხელებისა-
კენ გაუქცა მზერა.

გამჩენელო, გენაცვალე
შენს ნაბრძანებ შენს ნებაში,
რადგან ვერვინ გაგერევა
ამ ხალხის გაშენებაში...
კაცის დახრჩობის კანონი
გამოვიდა მთავრობაში...

ამასობაში ვიღაცამ დაიძახა: „მოჰყავთ“! ხალხის მზერა ხიდგაღმა გა-
დავიდა. ორი ცხენი ფურგონს მოაგორებდა. წინ და უკან შეიარაღებული
მხედრები ედგნენ და მოაცილებდნენ. ხიდზე რომ შედგნენ, ნათლად გამო-
ჩნდა ფურგონზე ღვედებით დაკრული კაცი. ორმა მცველმა ღვედები ახსნა
და ხელშებორკილი, ფერმკრთალი კაცი ძირს გადმოიყვანა. იგი ხიდზე გა-
დმოატარეს.

— Дорогу, дорогу!—აყვირდნენ სალდათები, წრე ერთ ადგილას გაარ-
ღვიუს და ბადრაგი ეშაფოტისაკენ შემოუშვეს.

ხალხს ერთი კაცი გამოეყო, მას ანაფორის მსგავსი რაღაც გრძელი
და ფართოსახელოებიანი მოსასხამი ეცვა, თავზე თეთრი, წითელსაპირიანი
ქუდი ეხურა.

— ყველაფერი მოინანიე, ბიჭი. — უთხრა მან სიკვდილმისჯილს. —
ლმერთს მადლობა უთხარი. ესეც შენი ბედისწერა ყოფილა.

ილიასა ოდნავ გონს მოეგო და ხალხის გასაგონად წოჯას უთხრა:

— ამ ჩვენს არემარეში, ჩემს გარდა, საკუთარი თვალით სიკვდილი არა-

ვის უნახავს, ეფენდი. ამდენი ხალხი რატომ შეპყარეს?.. უთხარი ამ ღორებს: სულერთია, აჭარლებს ვერ დააშინებენ. დღეს მე მომკლავენ, სხვა გაყაჩალდება. ასე იქნება, სანამ ქვეყანაში უსამართლობაა.

— ღმერთს არ შესცოდო, ცოდვები მოინანიე, შვილო. — გაიმეორა ზოჯამ. — შენ შენი საქმე გაწვალებს.

წრეში მუნდირებში გამოწყობილ ჩინოვნიკთა ჯგუფს ერთი გამოეყოდა ეშეფოტთან ახლო დადგა. მან ქაღალდი გაშალა, თვალებთან მიიტანა, და რიხით დაიწყო, „კანონის სახელით“ — გამოაცხადა განაჩენი, რისთვის, რა დანაშაულის გამო მიესაჯა ილიას ხილაძეს ჩამოხრჩობა.

ჩინოვნიკი გაბრუნდა.

ჯალათი იმწამსვე სწვდა სუდარას და ილიასას თავზე ჩამოცმა დაუპირა. ილიასა ჩახმახივით შეიმართა, შეკრული ხელები მომუშტა, უკან დასწია და ჯალათს ცხვირ-პირში აძგერა. წითელპერანგიანი წაბარბაცდა და ეშაფოტზე მოადინა ბრაგვანი. სახეც წითლად შეეღება. ეშაფოტთან სალდათები მიცვივდნენ, სიკვდილმისჯილს იქეთ-აქეთ შემოუდგნენ, სუდარა ჩამოაცეს და სკამზე შეაყენეს.

ჯალათი წამოდგა, ნიკაპსა და ტუჩებზე მომდგარი სისხლის მოწმენდა სცადა, არ გამოუვიდა, ურცხვად გადააფურთხა და სახემოთხვრილი კვლავ ილიასას მიეძალა. ხელები უკან გაუკრა, თავადაც სკამზე აბობლდა და მარყუჟი ჩამოაცვა. შემდეგ სკამიდან ჩამოხტა, ერთჯერ კიდევ ახედა თოკს და სკამს მძლავრად გაჰკრა ფეხი.

განწირული კაცი ჰაერში გამოეკიდა, რამდენიმეჯერ შეტოკდა... ხუთიოდე წუთს გაგრძელდა კონვულსია.

ირგვლივ სამარისებურმა დუმილმა დაისადგურა, სადღაც შორს, გულების მხრიდან, ძაღლის ტირილი გაისმა. ვინ იცის, იქნებ მევლუდის ეზოდან ისმოდა პირუტყვის სულისშემძვრელი ყმუილი.

ყადირი აცრემლებული თვალების დამალვას ლამობს, მაგრამ სად წავიდეს, ადგილს ვერ პოულობს. თავი მაღალი კაცისაკენ მოუბრუნებია. ისიც ზედ ბიჭის თვალებთან აწრიპინებს ფანქარს:

მჟავანაძე გეახლები
ამა ლექსის გამომთქმელი,
ასეთ ამბებზე ვდარდობ და
იმიზა ვარ ტანზე ზმელი.

კაცმა ქაღალდები მოკეცა, ფანქარი შუაზე მოაქცია და ზუბუნის ჯიბე-ში ჩაიდო.

ნახევარ საათს ხალხიც და ხელისუფლების წარმომადგენლებიც გაზე-ვებულნი იდგნენ და გაყინული თვალებით სახრჩობელას შესცეკროდნენ.

შემდეგ ერთმა ოფიცერმა ხმალი იშიშვლა, ორი ჯარისკაცი ჩამოხრჩო-

ბილის ფეხებთან გაჩერდა. ოფიცერმა ერთი მოქნევით თოკი გადასჭრა. ილიასას მოჩვარული სხეული ეშაფოტზე დაეცა. ცხედართან ექიმი მივიღდა სიკვდილის ფაქტი დაადასტურა, სალდათებმა გვამი იქვე წინასწარ გამზადებულ ორმოში გადაუშვეს.

ხალხმა ამოიგმინა—მოთმინების ნერვი, აქამდე დაჭიმული, ახლა გაწყდა.

ორმოს ჯარისკაცები შემოესივნენ, ნიჩბები მოიმარჯვეს და სახელდახელო სამარე მიწით ამოავსეს.

* * *

ბათუმის ოლქის გუბერნატორი, პოლკოვნიკი დრიაგინი არცთუ ისე მხდალი გახლდათ, „ძაღლის ენაზე“ მოლაპარაკე ლაწირაკების ბუნტს დაეფრთხო, მაგრამ, ყოველი შემთხვევისათვის, პოლიცმეისტერი და გიმნაზიის დირექტორი მოიხმო, სავარძელზე დაჯდომა შესთავაზა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— როგორ, ბატონო, სტოიანოვ, თქვენი შრევლიც ამხედრდა არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ?

— სამწუხაროდ, ამის ნიშნები გამოჩნდა, თქვენო აღმატებულებავ, — მიუგო ოდნავ შემცბარმა დირექტორმა.

— ალექსანდრ ივანოვიჩ, თქვენ გუშინდელი ჩინოვნიკი არ ბრძანდებით და კარგად უნდა გესმოდეთ, რომ ასეთი ამბები უმიზებოდ და ვინმეს ჩაურევლად არ იწყება. — გუბერნატორმა დირექტორს შემპარავად მიაპყრო მზერა.

— სწორედ ასეა, თქვენო აღმატებულებავ, არსებობს მიზეზებიც... არეულობის მოთავეებიც არიან. — თქვა პოლიცმეისტერმა.

— აი, სწორედ ამაზე მოველით თქვენგან ამომწურავ კნობას. — დაინტერესდა გუბერნატორი.

— გიმნაზიელებზე პირველ რიგში გამხრწნელად მოქმედებს ჩვენს შენობასთან სრულიად ახლოს ციხის არსებობა. რაც სატუსაღოს ეზოში ხდება, მოსწავლეები ხედავენ როგორც ხელისგულზე, პატიმრებისაგან ისინი სწავლობენ პროტესტის გამოხატვის უხეშ ფორმებს. ტუსაღთა გასეირნების დროს მოსწავლეებს ესმით ბორკილების უღარუნი. ყოველივე ეს აბოროტებს მათ და განაწყობს ჩვენს წინააღმდეგ. — განმარტა სტოიანოვმა.

— მაგრამ ეს არ უნდა იყოს მთავარი. — ვერ დაკმაყოფილდა დრიაგინი.

— ცხადია, თქვენო ბრწყინვალებავ. — სტოიანოვმა, სკამი ოდნავ წინ მისწია და ხმა დაიდაბლა, თითქოსდა ვინმე უსმენდა. — როგორც ჩანს, გვყოლია მასწავლებლები, რომლებიც გიმნაზიელთა შორის აღვივებენ პროტესტის სულისკვეთებას.



— რა თქმა უნდა, ისინი ქართველები არიან. — პოლკოვნიკმთხველობის
გოჭუტა.

სტოიანოვმა პასუხი ოდნავ შეაყოვნა.

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩი-
ვიან სოლორაშვილის ქალი, მგელაძე და შარაშიძე, მაგრამ...

დირექტორი დადუმდა.

— რისი თქმა გსურთ?

— იმისი, მიზაილ ნიკოლაევიჩი, რომ ამ ბოროტებაში აქტიურობს ქა-
ლაქის თავის მოადგილე ვოლსკი და ზოგიერთი ოფიცერიც კი.

— ოფიცერი? — ვაიკვირვა გუბერნატორმა.

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ. გიმნაზიასთან არსებული მზრუნვე-
ლთა კომიტეტის წევრად აურჩევიათ მიხეილის ციხე-სიმაგრის ფეხოსანთა
ბატალიონის მესამე ასეულის უფროსი, ოფიცერი კლდიაშვილი, რომელიც
თითქოსდა აწყნარებს მოსწავლეებს და მათს მშობლებს, საქმით კი, მგონი,
თავადაც ადელვებს მათ. სწორედ მან ვამომიგზავნა კომიტეტის ორი წევ-
რი, მათ მირჩიეს განათლების მზრუნველთან შემეტანა თხოვნა და სხვაგან
გადავსულიყავი.

პოლკოვნიკმა რაღაც ჩაიწერა.

— სხვებიც ხომ არ არიან?

— სამწუხაროდ, ამ ბოროტებაში რუსებიც აქტიურობენ. — ავლავ
ჩაურია პოლიციებისტერი.

— მართალია? — დირექტორს თვალი არ მოაცილა დრიაგინმა.

— მართალია. — გაუბედავად თქვა სტოიანოვმა.

— კერძოდ?. გვარებს ხომ არ მოგვახსენებდით? — დაინტერესდა
დრიაგინი.

სტოიანოვს აშკარად ყოყმანი დაეტყო.

— როგორ არა... დიალ... თქვენო აღმატებულებავ. თითქოს საბო-
ლოოდ დადასტურებული არ უნდა იყოს, მაგრამ... — დაიბნა იგი.

— ეჭვი მაინც გექნებათ! — გუბერნატორის ხმას განსაკუთრებული
ოფიციალურობა დაეტყო.

დირექტორი შეცბა, მაგრამ უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა.

— დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ, ჯერჯერობით ეჭვმიტანილებად ითვ-
ლებიან მასწავლებლები დერუავინი და ვოიცეხოვსკი.

— დერუავინი და ვოიცეხოვსკი! — გაიმეორა გუბერნატორმა და მზერა
შორს გაექცა, თითქოს რაღაცას იგონებსო. „საოცარია, რაზე ირჯება ბატო-
ნი დერუავინი, ჩვენთან კარგ ანგარიშზეა, რამდენიმე ადგილზე მუშაობის
უფლება მივეცით, ხელფასს გვარიანად ღებულობს, ახლა იმოდენა წიგნის
დაბეჭდვის ნება დავრთეთ, ცენზორი წინააღმდეგი იყო, პირადად მე ვიკის-
რე მისი მეურვეობა... საოცარია“ — გაიფიქრა დრიაგინმა.

- იქნებ გეშლებათ, ბატონო დირექტორო.
- სამწუხაროდ, ეს ასეა, თქვენო ბრწყინვალებავ.
- ამას საბუთი სჭირდება. — გუბერნატორმა ხმას აუწია. სტოიანზოვანი
პოლიციმეისტერს გადახედა. იმან საქაღალდე გახსნა, ერთი ფურცელი
ამოიღო და გუბერნატორს წინ დაუდო. — აი, საბუთი.

მის წინ რუსულ ენაზე დაბეჭდილი პროკლამაცია იდო.

- ცენტრალური ფოსტა-ტელეგრაფის ყუთიდან ამოვიღეთ, თქვენო
ბრწყინვალებავ. — პოლიციმეისტერმა მავიდაზე კონვერტები დადო. მათზე
დერუავინის და ვოიცეხოვსკის მისამართები ეწერა.

გუბერნატორმა სწრაფად ამოიღო ფურცელები, რომელზეც ეწერა:
«Кавказский Союз Российской социал-демократической рабо-
чей партии. К учащейся молодежи»..

ფურცელს ხელს აწერდა „იმერეთ-სამოვალოს კომიტეტი“.

დრიავინმა რამდენიმეჯერ ჩაიკითხა ფურცელები. სკამიდან წამოდგა,
ოთახში გაიარ-გამოიარა. ბოლოს სტოიანოვთან შეჩერდა.

- თქვენ მართალი ყოფილხართ, ბატონო დირექტორო. სხვებზეც ხომ
არა გაქვთ რაიმე შემჩნევა?

— სხვები იმპერიისა და ხელმწიფის ერთგულნი არიან.

- სწორედ მათი ძალა უნდა დაუპირისპიროთ მეამბოხეებს და მათი
გავლენის ქვეშ მყოფ მოსწავლეებს... — ოდნავ შეყოვნდა. — დერუავინი,
ვოიცეხოვსკი! ამათ შესახებ ჩვენ მოვილაპარაკებთ, ახლა თავისუფალი
ბრძანდებით.

სტოიანოვი გუბერნატორს გამოეთხოვა.

პოლიციმეისტერი მასთან დარჩა.

* * *

მეხუთე კლასში სამართლის მასწავლებელი სოკოლოვი შემოვიდა და
წინა რიგში მჯდომ გიმნაზიელს ჯიქურ მიეჭრა.

- რა გვარი ხარ?
- შერვაშიძე.
- ეროვნება?
- ქართველი.
- არ გცოდნია! — იყვირა სოკოლოვმა.
- ქართველი. — გაიმეორა შერვაშიძემ.
- კარგად დაფიქრდი, შერვაშიძე! — მასწავლებელმა ყალირს თითო
თვალებთან დაუტრიალა.
- მუსულმანი ქართველი. — ოდნავ შეასწორა მისწავლემ.

— ვინც თავისი ვინაობა არ იცის, მას გიმნაზიაში რა ესაქმება...
მომეცი ხელი.

ბიჭმა ხელი გაუწოდა.

სოკოლოვმა მაგიდიდან სახაზავი აიღო და ხელისგულზე მსუბუქად დაჰკრა:

— შენ ხარ რუსი... გაიმეორე ჩემთან ერთად: „მე ვარ რუსი... რუსი“...

— მე ვარ ქართველი. — მიახალა გიმნაზიელმა და სკამზე დაეშვა.

სოკოლოვმა სახაზავი შემართა და მოსწავლეს ხელზე მთელი ძალით დაჰკრა.

ყადირი მერხიდან წამოხტა და გარეთ გავარდა.

მალე მთელი ოთახი დაცარიელდა. გიმნაზიელები გაიფიცნენ.

გიმნაზიაში კაზაკები მოიყვანეს. ისინი მოსწავლე-„ნაცმენებს“ განსაკუთრებული სისასტიკით ეპყრობოდნენ, უმიზეზოდ სცემდნენ, იჭერდნენ. გიმნაზიაში დაძაბულობამ კიდევ უფრო იმატა. მოსწავლეები ფარულად წითელი რაზმების ჩამოყალიბებას შეუდგნენ. საჭირო იყო იარაღი. რაზმის წევრებს თავიანთი იარაღი და ტყვია-წამალი უნდა ჰქონოდათ.

მეშვიდეკლასელ სოსო ავალიანს სახლიდან სქელ ჯვალოს ქსოვილში გამოხვეული მამის მაჭახელა მოჰქონდა. ქალაქის შემოსასვლელთან მას კაზაკები შეხვდნენ.

— შეჩერდი! — უბრძანეს გიმნაზიელს.

ავალიანმა ჯერ თოფის გადაგდება დააპირა, მაგრამ ვერ შეძლო, შეძლევ იფიქრა, გავიქცევიო. ამასობაში კაზაკები მოუახლოვდნენ.

— რა გაქვს ჯვალოში? — შეეკითხნენ მოსწავლეს.

— თოფი. — აღიარა ბიჭმა.

— სად მიგაქვს? — იკითხა კაზაკმა, შეხვეული გამოართვა და ჯვალო შემოაცალა.

— მამამ გამომატანა, შესაკეთებელია. — ახლა იცრუა ავალიანმა.

— არ ისვრის? — ცინიკურად იკითხა კაზაკმა და თოფი ბიჭს მიუშვირა.

— არ ვიცი. — ანგარიშმიუცემლად უპასუხა მან და უკან დაიხია.

კაზაკმა ჩახმახი გამოსწია, თოფმა იგრიალა და გიმნაზიელი წამსვე გულალმა გადავარდა.

მცირეწლოვანი სოსო ავალიანის მკვლელობა მთელ ქალაქს ელვის სისწრაფით მოედო. დაიწყო საპროტესტო მიტინგები, წითელი რაზმები მასიურად შეიქმნა. შავ ტერორს რაზმელებმა წითელი ტერორი დაუპირისპირეს. გიმნაზიელებმა გადაწყვიტეს ანგარიში გაესწორებინათ კაზაკებისა და რეაქციონერი მასწავლებლებისათვის. მიზანში ამოიღეს ფრანგულის მასწავლებელი, რომელიც დახელოვნებული იყო ბავშვების დაბეზღებასა და აბუჩად აგდებაში. გიმნაზიელებმა იგი ჯოხით სცემეს. ერთ-ერთ

გაკვეთილზე ღუმელში ბომბი შეუგდეს, იგი აფეთქდა, მაგრამ საძულველი
მასწავლებელი სიკვდილს გადაურჩა.

ქალაქში ზმა გავარდა: ევროპიდან გემი „სირიუსი“ ჩამოვიდა, იარა-
ლი ჩამოიტანა და მუშებს ურიგებენო, მაგრამ ამ საქმის ორგანიზატორი
დაიჭირეს და ბათუმის ციხეში ჩასვესო.

გიმნაზიელებმა გადაწყვიტეს მისი ციხიდან გამოხსნა.

* * *

ციხის ეზოში პატიმრები სეირნობდნენ. ისინი კარგად ხედავდნენ გიმ-
ნაზიის შენობის მეორე სართულის ფანჯრებს, საიდანაც ხშირად ისმოდა
პატიმრების მისამართით ნათქვამი სიტყვები. ზოგი სიბრალულს გამოხა-
ტავდა, ზოგიც ილანძლებოდა.

კოშკურაზე მდგომი მცველები მიჩვეულნი იყვნენ გიმნაზიელთა ზმაურს
და ყურადღებას აღარც კი აქცევდნენ მათ. გიმნაზიის ფანჯარასთან გამოჩნ-
დნენ თმახუჭუჭა ულვაშაქოჩრილი ბიჭი და მისი ამხანაგები.

— ჩავარდი, არამზადავ?! — დაიძახა ერთმა.

პატიმარი ძირს დაიხარა, თითქოს მიწიდან რაღაც აიღო და ფანჯრი-
საკენ ისროლა, თან გინებაც მიაყოლა.

ნასროლი გიმნაზიის კორიდორში გაგორდა.

— შენ რა, გაგიჟდი? — შეუღრინა პატიმარს მცველმა.

— აი, ისინი არიან გიჟები. — ხელით ანიშნა მან გიმნაზიელებზე...

თმახუჭუჭა ფანჯარასთან აღარ იდგა. როგორც კი მოსეირნე პატიმ-
რებმა ერთი წრე შემოიარეს და გრძელულვაშა მოხერხებულ ადგილას მი-
ვიდა, გიმნაზიის ფანჯრიდან პატიმრის წინ რაღაც ისროლეს. იგი პატიმა-
რმა შეუმჩნევლად აიღო, პატარა კენჭს მჭირდოდ ჰქონდა შემოკრული
ვასანთლული ქალალდი.

საკანში შესულმა ქალალდი გახსნა: „17 სექტემბერი, 12 საათი, ვოზნე-
სენსკისა და სმეკალოვის ქუჩების კუთხე. მხედარი“.

დათქმულ დროს გიმნაზიელებმა საშინელი ღრიანცელი ატეხეს. მე-
ლენტი ზაქარიაძემ მეფის უზარმაზარ პორტრეტს ტყვიები დაუშინა, საშა-
თიროშვილმა თავგახვრეტილი პორტრეტი ძირს ჩამოაგდო. მოსწავლეებმა
ქუდებზე მოიგლიჯეს გვირგვინები, რომელზეც ნიკოლოზ მეორე იყო გამო-
სახული და ეზოში გადაყარეს. ციხის მცველების ყურადღებამ მთლიანად
გიმნაზიისაკენ გადაინაცვლა. მათ მოსწავლეებს იარაღი მოუღერეს.

პატიმარი გაუსწორდა გალავნის იმ ადგილს, სადაც ერთი აგური იყო
გამოვარდნილი, ელვისებურად შეხტა, გალავანს გადაევლო და ქუჩაში
დაეცა. გიმნაზიელთა ღრიანცელმა იმატა, ფანჯრიდან იარაღის ლულებიც
გამოჩნდა.

ამასობაში პატიმარი ციხის გალავანს გასცდა და ნურიის ტბის ჩასახა
თან ბუჩქებში გაუჩინარდა. მალე ერთმა გიმნაზიელმაც ბუჩქებს მიატერა.
ათიოდე წუთში ნურიის ტბის მეორე მხარეს, მარინეს ქუჩაში მოვარდის
ერთნაირ ჩაქვურაში გამოწყობილ და ყაბალახახვეულს ერთმანეთისათვის
ხელები გადაეხვიათ და უდარდელი ღიღინით მიღიოდნენ. მათ გაზონი
გაიარეს, მარჯვნივ გაუხვიეს და ლორის-მელიქოვის ეურის კუთხეში
შენობასთან შეჩერდნენ, მიდამო მიმოათვალიერეს და მაღაზიაში შევიდნენ.
იმწასვე ღია კარებში აშოტ ჯეროიანმა გამოიხედა, აბრა გადმოკიდა, „დღეს
მაღაზია არ მუშაობს“, და კარი საგულდაგულოდ ჩაკეტა.

სტუმრებმა ყაბალახები მოიხადეს.

ჭალარათმიანი, წვერმოშვებული და გრძელულვაშა კაცის წინ იდგა
ახალულვაშაქოჩირილი ხუთმეტიოდე წლის ბიჭი.

კაცი ტახტზე დაეშვა და ბიჭს მიაშტერდა.

— შენ ის... თუფანბეგის...

— დიახ, მე ვარ, ბატონო თედო.

სახოკია ტახტიდან წამოვარდა და ბიჭს გადაეხვია.

— როგორ გაზრდილხარ, დავაუკაცებულხარ. როგორ მიცანი, ასე
გაბურდგნულ-გაველურებული.

— პირველი დანახვისთანავე მივხვდი, ვინც იყავით, ერთხანს არავის
ვუთხარი, ჯერ თქვენი „პენჭი“ წავიკითხე, შემდეგ სანდო ბიჭებს გავუმხი-
ლე და წერილი გადმოვაგდე.

— ხვალ ეტაპით მგზავნიდნენ. — თედო გაკვირვებულ აშოტ ჯე-
როიანს მიუბრუნდა. — გიმნაზიელებმა ხმაურით აიკლეს შენობა, სროლის
ხმაც გაისმა. ერთი მოსწავლე ფანჯრიდან გადმოხტომასაც აპირებდა. ზე-
დამსედველებს ჩვენთვის აღარ ეცალათ და აი, მეც გალავანზე გადმოვჭრი...


— ციხის ტანსაცმელი სადღაა? — იკითხა ჯეროიანმა.

— ტბაში ჩავძირეთ. — უპასუხა თედომ. — ახლა მთავარია, აქედან გა-
სული ვერ მიცნონ.

— ამასაც მოევლება. — თქვა აშოტმა და უჯრიდან მაკრატელი და სამა-
რთებელი გამოიღო.

ორიოდე საათის შემდეგ მიხეილის ქუჩას ახალწვერგაპარსული მოკ-
ლეულვაშა, თეთრფაფახიანი, თავადის ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი
და ჩაქვურიანი ახალგაზრდა მიუყვებოდნენ.

ისინი რკინიგზასთან ერთმანეთს გამოეთხოვენ. ახალგაზრდამ ლიანდა-
გი გადაკვეთა და შადრევანის ქუჩას გაუყვა, ხანშიშესულმა კი ჯერ ლიან-
დაგზე გააგრძელა გზა, შემდეგ საღვურთან იგი ბაქანზე გადავიდა და ტეთა-
ისში მიმავალ მექორწილეებს შეერია.



ლოდინი

აეროპორტში ჩასულებს გვიან
 გვხვდება მიწაზე ხალხი და სითბო...
 ამას ქართულად ლოდინი ჰქვია,
 ჩუმად, ფარულად გული რომ ითხოვს...
 ლოდინი მამის,
 ლოდინი დედის,
 სატრფოს ლოდინი,
 ტოლების,
 ქმრების...
 ვარღვევ ამ ზღვას და ღიმილით ვხვდები...
 ალერსს, სინაზეს სხვების და სხვების...
 მეც ვეძებ ჩემს წილ ალერსს და სითბოს,
 სად არის რამე, ლოდინის მსგავსი?
 წავიდა ყველა... და ბნელში თითქოს
 მიცდის ლოდინით დაღლილი ტაქსი.

* * *

გზაა უსასრულოდ გრძელი,
 ცა – ბადრი მთვარით ანთებული...
 ო, რა მსუბუქია ხელი,
 ჩემს მხარზე მძიმედ დადებული.

* * *

ლამეა, მარტო გაძლება მიმძიმს,
 ასეთ დროს მოსვლა იცოდა იმან...
 სარკმელზე სუსტი კაკუნი ისმის,
 მოვიდა ნუთუ?! მოვიდა... წვიმა.

* * *

მოკითხვის სიტყვები გათავდა,
 სა უბარს ვეღარ ვაბამთ.

განა იგივენი არა ვართ?..
 აღარ ვართ, აღბათ.
 და მაინც, ვცდილობთ დრო გავჭიმოთ,
 უაზროდ ვიმტვრევთ თითებს...
 – გინდა გულიანად გაცინო? –
 მიყვარხარ ისევ.

აიცლის


როგორ მინდა,
 როგორ მინდა,
 მაგრამ ჩასვლა მიმძიმს...
 თან რომ გაჰყვა ჩვენ უდარდელ ურიამულს და სიცილს,
 სხვადასხვა გზით გაპარული ზურგზე დედამიწის
 სიყმაწვილე ჩემეული არ დამხვდება, ვიცი...
 აკაციის ფოთოლცვენა
 წელს, თვეს, დღეებს ითვლის,
 ნიავს ამბავს აბარებს და თბილ მოკითხვას მითვლის,
 მიცდის ძველი სასიმინდე ფეხზე მდგარი სიმწრით,
 მხართებოზე დაწოლილი მსხალი ტოტებს მიწვდის,
 გასუსული ძველი ოდა პირაკრული კლიტით
 და საფლავიც ბებიასი (გასაწმენდი) მიცდის.





მინდა ჩაგაწნა სტრიქონთა შორის,
ჩემად ვიწამო გული სათუო,
რადგან ძალიან შორსა ხარ ჩემგან,
ლექსებში მინდა მოგესათუთო,

რა სევდიანი დილა გათენდა,
მე უშენობით მიჭირს ძალიან,
ეს დღეც მთავრდება უსიხარულოდ,
ო. ეს საღამოც რა ფერმკრთალია...



როცე გქრუ გეზავბული

მასწავლებელი დაფაზე მრგვალი ასოებით წერდა: „როცა გარეთ გაზაფხულია“...

ბიჭი საკლასო ოთახის ბოლო მერხზე იჯდა და მასწავლებელს დიდი, წყლიანი თვალებით უცქერდა.

მასწავლებელმა წერა დაამთავრა, ცარცი დაფის უჯრაში შეინახა და შემოტრიალდა... „დავიწყოთ წერა“, – თქვა და მაგიდას მიუჯდა.

კლასში ოცდათორმეტი წყვილი თვალი რვეულებს მიაჩერდა, ოცდათორმეტი გული და გონება ფიქრში გაეხვია.

ბიჭი უძრავად იყო. არაფერზე ფიქრობდა. მაგიდასთან მჯდომარეობა აჩალ-გაზრდა ქალს შეჰყურებდა.

მასწავლებელმა თვალი მოავლო კლასს, მზერა საკლასო, ოთახის ბოლო მერხზე მარტოდ მჯდომისაკენ გადაიტანა და ნაღვლიანი თვალებით შეხედა.

მოსწავლემ იგრძნო. მზერა დაფას მოაცილა და ახლ: ფანჯრის მიღმა მიაპყრო.

უყვარდა მოსწავლეს ეს ქალი. სულ რაღაც ოცდასამი წლის აზალგაზ-რდა მასწავლებელი, რომელსაც თმები ნაადრევად გაჭალარავებოდა ალავ-ალავ და სახე და თვალები მუდამ დაღლილი ჰქონდა.

ხშირად საკუთარ თავს ამსგავსებდა მასწავლებელი ამ ბიჭს, თითქოს ყოველთვის და ყველგან მასთან ერთად ყოფილაყო. ბავშვთა ბალილან (აქე-დან ახსოვს თავი) მოყოლებული, დღემდე... თათქოსდა მასთან ერთად ეტა-რებინა მთელი განვლილი ცხოვრება, ტკივილები (ო, რა დიდი), სიჩარული (მერედა, რა მცირე).

თვალებიც ერთნაირი ჰქონდათ: დაღლილი, წყლიანი, სევდიანი და უძირო.

მასწავლებელი უნებურად შეტრიალდა დაფისაკენ, ჩურჩულით წაი-კითხათ თავისი ხელით ნაწერი და მანაც ფანჯრის მიღმა გადაიტანა მზერა.

დიდი საკლასო ოთახიდან ჩხოლოდ ორნი იცქირებოდნენ გარეთ და ერთმანეთზე ფიქრობდნენ. ერთი – მასწავლებელი, ოთახის თავში მჯდო-მი და მეორე – მოსწავლე, რომელიც საკლასო ოთახის ბოლოს მარტოდ იჯდა...

იქ, გარეთ, გაზაფხულის უკანასკნელი დღე იწურებოდა.

სანახული

პოემის ფრაგმენტი

სოფლის ცენტრში ცივი წყარო მოჩხრიალებს,
 მიჩქაფუნობს წყაროს წყალი ბალახში.
 ჩაუქროლებს ლამაზ ბაღნარს მოშრიალეს,
 უცებ ღელე გადაყლაპავს ჭალაში.
 მერე ღელე ორ თუ სამ წუთს იწრიალებს
 და რიონი შთანთქავს ზვირთთა თამაშით,
 რიონი კი თავქვე მიტომ მიგრიალებს,
 შევარდეს და დაიკარგოს შავ ზღვაში.
 წყაროს იქით, ბაღში, ვხედავ ლამაზ ოდებს
 და ნაღვლიან მოგონებით ვღონდები;
 სიჭაბუკეს წამიერად გააცოცხლებს
 ყორეს ძირში მიწოლილი ლოდები.
 გაიღვიძებს წარსული და ამზევდება,
 ფიქრთა ღვარი გადიქცევა მორევად,
 იმ წარმტაცი ღამეების გახსენება
 ელფერს მატებს უელფერო ცხოვრებას.
 საღამოჟამს აქ საუბრებს ვინც ისმენდა,
 ივიწყებდა სახლში მისვლას სავახშმოდ
 და მწუხრისას ფუსფუსით რომ იღვიძებდა,
 შუაღამით იძინებდა სანახშო.
 აქ ბჭობდა და თავს ყოველთვის ლაღად გრძნობდა
 კალატოზი, მთიბავი თუ ტყისმჭრელი.
 ახლოსაც ვერ მიდიოდნენ სანახშოსთან
 ქალები და უწვერულო ბიჭები.
 ვერ ვივიწყებ ერთი კაცის ნათელ სახეს,
 თოვლისფერი თმა-წვერი რომ შვენოდა,

* სანახშო მამაკაცების თავშესაყარი აღგილი იყო მაღალ-
 მთიანი რაჭის სოფლებში.

მოგონებებს, იმ პირველი ომის ამბებს
 მუდამ მშვიდად, მოხდენილად ყვებოდა.
 იყო ხალხი აქ ჭრელი და არეული —
 ზოგი სქელი და ზოგი კი ტანხმელი,
 ბევრი იყო მათში კარგი მზარეული
 და ბევრს ჰქონდა კარგი ღურგლის სახელი.
 თუმც ისინი ვეღარ ჭვრეტენ ცას და მთა-ხევს
 და აყრიათ მკერდზე მიწა ფხვიერი,
 თვალწინ მიდგას ცოცხლად მუდამ მათი სახე,
 ნაჯაფარის და დაღლილის იერით.
 ასწლიანნი აქ ხანხალით მოდიოდნენ,
 ყალიონზე ახრჩოლებულ აბედით.
 აქ ზარმაცი იყო კაცი ხუთიოდე
 და არცერთი — გაიძვერა, თავზედი!
 საუბრები ეხებოდა ხვნას და თესვას,
 მთელი სოფლის წუხილსა და სიხარულს,
 არაყ-ღვინის დაყენებას, მკას და ლეწვას,
 ვაზის მოვლას, მშობელ მიწის სიყვარულს.
 გოგოები ამ სანახშოს კაი ბიჭებს
 თვალთმაქცურად უწოდებდნენ წყეულებს,
 რადგან როცა სანახშოსთან გაივლიდნენ,
 ჭვრეტა ცეცხლად ედებოდათ სხეულზე.
 აქ ყვებოდა მონადირე ერთი ძველი
 ზღაპრულ ამბებს ციმბირზე და ურალზე.
 ხალხს ართობდა კაპიტონა მეტრეველი,
 რიტორობდა გიო მაისურაძე.
 საუბრობდნენ — რომ მავანი ვერ ცხოვრობდა,
 რადგან ყადრი არ იცოდა მეზობლის,
 კამათობდნენ — ყოველ ოჯახს ვით ჰქონდა,
 წყაროს წყალი მის საკუთარ ეზოში.
 აცხადებდნენ — წარმოადგენს დიდ სიკეთეს
 კარგი ყანა ზორბლისა და სიმინდის,
 და ამ ქვეყნად ყოველნაირ სიმდიდრეზე
 ძვირფასია ნამუსი და სინდისი!
 დაასკვნიდნენ — თუ არ ტანჯავს ქვეყნის დარდი,
 კაცი ხდება ხალხისაგან გმობილი,
 თუ ჭაბუკმა არ იგემა შრომის მაღლი,
 ვერ დადგება კაცი კეთილშობილი!

სავსე მთვარე ღიმილით რომ მოვერცხლავდა
ხევს, ნაძვნარებს და დაყურსულ ვენახებს,
წყნარი ღამე მშვიდად იდგა ყოველ სახლთან
და ეძინა ტკბილი ძილით ყველაფერს.

მთვარის ღანდი მოწყდებოდა ზეცის სარკეს,

რიონს თავქვე მოყვებოდა ცურვითა,
ჰვავდა წყალში ჩაყვინთული ოქროს ფაცერს
და კალმახებს ჟრუანტელი უვლიდათ.

სანახშობე მოყაყანე დევებს ჰვავდნენ
ვაჟკაცები, მუსაიფით უძღები,
ჩრდილები კი ძველ ყორეზე დაბობდავდნენ
და იქნევდნენ ხელებს, როგორც მუნჯები.
დრო კი მძიმედ მიდიოდა, ვით მდინარე,
ბევრი ოფლი იღვრებოდა შრომისთვის,
ქვეყნად იყო მშვიდობა და ის სიწყნარე,
უძლიერეს ქარიშხლის წინ რომ იცის.

• • •

მეორე მსოფლიო ომმა რომ იქუხა
და წასკდა ცრემლები სოფელს მთებს შეფენილს,
ზეცა დაჰყურებდა ხეობას პირქუშად,
სანახშომ უეცრად დაკარგა ელფერი.

დედები გატანჯა კოშმარულ სიზმრებით
იმ ომის გრიგალმა, ხუთ წელს რომ იქროლა,
სანახშომ დაკარგა შავლეგი ბიჭები —
ზოსიმე, ონოფრე, ვალიკო, გრიგოლა.

ომის დროს ათამდე მოხუცი აქ იჯდა
და არცერთს არ ჰქონდა საუბრის ხალისი,
ერთი კი ამბობდა — აქ მოსვლა არ მინდა
და რატომ მოვდივარ, მე თვითონ არ ვიცი.

ყვებოდნენ ძველ ამბებს მოხუცი კაცები —
გიორგი, ამბაკო, ალექსი, მიქელა,
უსმენდნენ სკოლიდან მოსული ბავშვები,
ქალები ყვიროდნენ — სანახშო ინგრევა!

რას ყვებით ამდენსო, — კითხვაზე ვიღაცის,
ალექსიმ მიუგო — არ გვითქვამს მთავარი.

და რაკი აქ ისხდნენ თოვაშიც, წვიმაშიც,

ვიღაცამ სანახშო დახურა ყავარით.
სოფელი დადუმდა, ცხოვრება გახუნდა,
დედებს გულს უღრღნიდა დარდი და ნაღველი...
დურგალი ვიქტორა ცალხელა დაპრუნდა,
სანახშო გამდიდრდა ფრონტული ამბებით.
ცეცხლად რომ აგვანთო რწმენამ და იმედმა,
როცა რაიხსტაგი ქარცეცხლით დავნაცრეთ,
სანახშო ფრთებს შლიდა და ძალებს იკრებდა,
ზეიმით ხვდებოდა ნაომარ ვაჟკაცებს.

* * *

შენ გინდა ოცნებით წარსული გაცოცხლდეს,
ტკბილ-მწარე ფიქრებთან ბალდივით თამაშობ,
საცაა მზე ჩავა, მოდი, აქ ჩამოჯექ,
ორმოცი წლის შეძლევ რასა იქმს სანახშო?
ნეტავ დროს რად კარგავ ფიქრებთან წვალებით,
არავინ არ მოდის, აქ იჯდე როდემდე?
ეს ჩემს თავს ვუთხარი... მოვიდნენ ქალები,
ჩანთები ძირს დადვეს, ჩამოჯდნენ ლოდებზე.
აქ სამ ქალს თან მოყვა უცნობი ქალწული,
შავთვალა, მალხაზი, მკვირცხლი და წერწეტა,
ლოყებზე ვარდისფრად ეკიდა ალმური,
მომხედა, ვინ ხარო? — სახეზე ეწერა.
ერთ-ერთმა იმ გოგოს ქება თქვა ისეთი,
რომ ქალწულს თვალებში მზის შუქი ჩაუდგა.
სანახშოს ბოლოში ზის მორზე ვიჯექი
და დიდხანს ვისმენდი ქალების საუბარს:
— ყოჩალ, შენ ანეტა, იღვწი, რომ გამდიდრდე,
დღეს ომში მუშტარი გეხვია იმდენი.
— ეჭ, ოქრო ატამი იაფად გავყიდე,
ნერვებაწეწილი სახლში ძლივს მივედი.
აქ ქალი, თმათეთრი, ანაზდად აყვირდა:
— ვაჭრობა არ იცით, თქვენ იცით ტატანი,
ონში რას ეთრევით, კურორტზე გაყიდეთ,
იქ უფრო ძვირია ვაშლი და ატამი!
კონტად იღიმება ქალწული მწყაზარი:
ვაჭრობას დეიდა გალინა გასწავლით?!
— გოგო, შენ ასეთი ჭკვიანი თუკი ზარ,

ქალაქში წაბრძანდი, ეგება გათხოვდე,
 უკაცო სოფელში ნეტავ რა, უზიხარ,
 უწერა შენ ხომ არ გვინია სამოთხე!

— რას ამბობ, გალინა, შენც გოგო გეზრდება,
 ისიც გასათხოვად ქალაქში წავიდეს?
 — არცერთი ჭაბუკი აქ რომ არ ჩერდება,
 გოგო ვის გაყვება, არ უნდა დაფიქრდე?!
 არ მახსოვს, მათ კიდევ იყბედეს რამდენი,
 შევატყვე წასვლისას, გოგო რომ ჩაფიქრდა.
 მიკვირს ეს ადგილი გულს მივსებს დარდებით,
 აქედან წასვლა კი რატომდაც არ მინდა.

* * *

ბედმა გაამუქა ნაცნობი შუკები,
 მთვარემ კი ელფერი შემატა სანახშოს.
 და მე მეჩვენება — ეს დარდი მუდრეგი
 იმიტომ იზრდება, ჩემს გულზე ბალახობს.
 და მომაშტერდება უტიფრად ხანდახან
 შარაზე ლანდივით ორიოდ გამვლელი.
 მომინდა მე ძველი სანახშოს დანახვა,
 დავიწყე ოცნება, მივლულე თვალები.
 ფიქრით და ოცნებით ჩემს წარსულს გავცერი,
 მსურს ვიმუსაიფო ლანდებთან ძილის წინ:
 ლოდებზე ჩამოსხდნენ ხნიერი კაცები,
 ქოჩორა ბიჭები დამიდგნენ პირისპირ.
 თვალი რომ მოვკარი სახეებს ძმაკაცთა,
 მუხთალმა ბედმა რომ უდროოდ დაჩაგრა,
 ანაზდად შევშინდი და ზეზე წამოვხტი,
 მიდამო დავზვერე, არავინ არ ჩანდა.
 გამიქრა ჩვენება საყვარელ სახეთა,
 ღრმა ძილში ოხრავდა გამწყრალი სოფელი,
 და ქარი ნოემბრის წიფლნარებს არხევდა,
 რიონში ცვიოდნენ ყვითელი ფოთლები...



შეგინიშვლი პატის ოჯახი

ორმოვალების პირი, რომელიც
მონაცილეობა:

იოსებ ვაშალომიძე
გიორგი ვაშალომიძე
მალხაზ ვაშალომიძე
ლენა ვაშალომიძე
თინა — მალხაზის თანაკლასელი
ამხანაგი დომენტი
მზია — ექიმი
ციცინო — ბარაკში მცხოვრები ქალი
თამაზი — ადგილობრივი გაზეთის კორესპონდენტი.
მომიტინგები და ლოზუნგების დამძახებლები — თეატრის შესაძლებლობის კვალობაზე, შეიძლება, მათ გარეშეც. მაშინ შეძახილები ფირზე უნდა ჩავწეროთ.

პირველი მოქმედების პირველი სურათი

ფარდის გასსნამდე ისმის საბუჭლი მანქანის კაკუნი და ხმა რადიოში.

დიქტორი: ახალი ნავთობბაზის მშენებლობასთან დაკავშირებით, ასათვისებელი ზონის ბარაკში მცხოვრებ მოქალაქე ციცინო შუქრის ასულ სებისკვერაძეს მიეცეს ოროთახიანი ბინა — ოჯახის 3 წევრის რაოდენობით. რიგითი ნომერი 33.

ფარდა იხსნება და სცენაზე მზით განათებულ მომხიბლავ ზღვის ყურეს ვხედავთ, ლამაზ პეიზაჟს მხოლოდ ბარაკი აუზნოებს, რომლის წინ სკამზე დამჯდარა ციცინო და ფანდურზე მღერის.

ციცინო.

ჩემი ქვეყანა, ეგრე ლამაზი,
შავი ზღვისპირას აღმართულია,
თავზე გვირგვინად მუდამ მზე ადგას,
მისგან ლრუბლებიც დაფანტულია.
მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი,
ცა ფიროსმანის დახატულია.

გაისმის მანქანის სმაური, სიგნალი, შემდეგ დამუხრუჭება და კარების მიწურვის სმა. სცენაზე შემოღიან დომენტი, გიორგი და თამაზი, ციცინო, ცხადია, აღარ მღერის, მხოლოდ გაოცებული შეჰურებს მათ.

დომენტი. ციცინო სებისკვერაძე, ხომ?

ციცინო. კი, ბატონო, ციცინო სებისკვერაძე ვარ.. შუქრის ასული... მიცანით, ამხანაგო დომენტი?

დომენტი. გიცანით, შუქრიევნა, გიცანით!.. ყოველ მიღებაზე მედამ პირველი შემოღიოდით კაბინეტში, თანაც ბავშვებთან ერთად.

ციცინო. კი, ქალ-ვაუი მყავს. გოგოს მინადორა ჰქვია, ბიჭი — კალისტრატე.

თამაზი. დიდებული სახელები შეგირჩევიათ!..

ციცინო. ჩემს მშობლებს ერქვათ ასე. (დომენტის), მოვიყვანო?..

დომენტი. მშობლები?..

ციცინო. ჩემს მშობლებს აწი მამალმერთიც ვეღარ მოიყვანს... მე ბავშვებზე მოგახ-
სენებდით.

დომენტი. არ არის საჭირო.

ციცინო. აბა, მარტო ჩემს სანახავად, ვიცი, არ იქნებით მოსული...

(ჩაფიქრებულ გიორგისთან მიღის). სწორს არ ვამბობ, ბატონო?

გიორგი. (გამოერკვევა). რა ბრძანეთ?

ციცინო. ის ვბრძანე, რომ ჩემი ნახვა არავის სიამოვნებს-მეთქი.

გიორგი. მაინც რატომ ფიქრობთ ასე?

ციცინო. იმიტომ, რომ შეხედულება არ მიწყობს ხელს... მე თუ გავთხოვდებოდი,
არავის ჯეროდა... არა, ახლა რომ ვარ, პატარა იმაზე ლამაზი კი ვიყავი ახალგაზრდობა-
ში... სამაგიეროდ, სიმღერა ვიცი, ქალაქში არც ერთი ოლიმპიადა არ ტარდებოდა
უჩემოდ, ცხონებული ჩემი ქმარი რაედენი სამუშაოდან რომ დაბრუნდებოდა, სულ
მეხვეწებოდა, საჭმელი არ მინდა, ციცინო, ოლონდ შენი ფანდური მომასმენინეო.
(მღერის).

ბახმაროს მთები დაუთოვია,
ჩემს შეყვარებულს, ჭირიმე, სხვა უთხოვია...

დომენტი. სიმღერას მერეც მოვასწრებთ, შუქრის ასულო, ახლა საქმეზე ვილაპა-
რაკოთ.

ციცინო. კი, ბატონო, საქმე იყოს... თქვენი კომისია ყოველ თვეში მოდის აქ, მაგ-
რამ ამდენი გამოსარკვევი და დასადგენი რა აქვს, არ ვიცი!.. ოცდახუთი წელია, ამ
დანგრეულ ბარაქში ვცხოვრობ, რიგითი ნომრითაც მიწევს ახალი ბინა, მაგრამ და-
პირების გარდა, არაფერს მაძლევთ.

დომენტი. პოდა, ახლა ორდერს გაძლევთ, ქალბატონო ციცინო!

დომენტი ორდერს აძლევს ციცინოს და ხელს ართმევს. ამ პროცესს თამაზი ფო-
ტოაპარატით ფირზე აღბეჭდავს.

ციცინო. მართალია, ახლა რაც გავიგონე, თუ მომეყურა ამ დასავსებ ყურებში?

თამაზი. რას ქვია, მოგეყურათ! ორდერი ხელში გიჭირავთ... თქვენს სურათს
გაზეთში დავბეჭდავთ და მოელი ქალაქი გაგიცნობთ...

ციცინო. (ორდერს ათვალიერებს და გიორგისთან მიღის). უსათვალოდ მიჭირს
წაკითხვა, ნუთუ მართლა ციცინო შუქრის ასული სებისკვერაძე აწერია ზედ?

გიორგი. ნამდვილად ასე აწერია.

ციცინო. ბეჭედიც ხომა დარტყმული?

გიორგი. კი, დარტყმულია... წყალი არ გაუვა!

ციცინო. (დომენტის საკოცნელად გაიწევს), თქვენი ჭირიმე, ამხანაგო დომენტი,
თქვენი!

დომენტი. (იცილებს), არ არის საჭირო, ქალბატონო ციცინო!

ციცინო. ოცი წლის ბარიშნა რომ ვიყო, მაშინ ხომ მაკოცნინებდით? ჩემისთანა
დედაბერი ვის უნდა!.. რაღაც დაწყობილად ვერ ვლაპარაქობ, ხომ?.. დიდშა
სისარულმა იცის ასე... ცხოვრებაში ტანჯვის გარდა არაფერი მინახავს, ყველაფური მა-
კლდა: ბინა, ქონება, ფული.

თამაზი. (თავისთვის). ჟეკუა?

ციცინო. რა ბრძანეთ?

თამაზი. ბევრი რამე გაკლდათ-მეტე.

ციცინო. სამაგიეროდ ფანდური მქონდა. (მღერის).

ოზურგეთი, მერია,

ქალი გადამერია,

ვისაც ვთხოვე წამალი,

ღვინო დამალევია.

დომენტი. რაც იყო, იყო, ქალბატონო ციცინო, მაგას სიმღერით ვეღარ უშველი, დღეის შემდეგ კი, ხომ დარწმუნდით, ბინა გექნებათ, თანაც საღ? — ექ्सპერი-მენტულ უბანში, ჩეხეთი პროექტით აშენებულ ცხრასართულიანი სახლის მცხუთე სართულზე!

ციცინო. ლიფტი ხომ მუშაობს?

დომენტი. ლიფტიც მუშაობს და ცენტრალური გათბობაც.

ციცინო. წყალი?

დომენტი. წყალი როგორი გნებავთ?

ციცინო. „ნაბელლავი“ რომ არ იქნება, კი ვიცი. მე ჩვეულებრივ სასმელ წყალ-ზე გელაპარაკებით.

დომენტი. ჩვეულებრივის გარდა, ცხელი წყალიც იქნება... ლურჯ ონკანს მოუშვებთ, ცივი წყალი წამოვა, წითელ ონკანს მოუშვებთ — ცხელი წყალი წამოვა.

ციცინო. დაგიჯერეთ ერთბაშად!

დომენტი. საკუთარი თვალით რომ ნახავთ, მაშინ დამიჯერებთ.

ციცინო. არა, მაინც უნდა გაყოცოთ, ამხანაგო დომენტი.

დომენტი. მაკოცეთ, ბატონო, თუ სხვა საშველი არ არის!

ციცინო. (კოცნის). არა, მთლად გადარეული არ გეგონოთ... კი ვიცი მე, ასეთი სა-ქმე მარტო კოცნით რომ არ კეთდება.

დომენტი. უყურე შენ, როგორი მცოლნე ყოფილა!.. მაინც რით კეთდება?

ციცინო. იმით, ჩემისთანა ხალხს რომ არა აქვს.

დომენტი. (მკაცრად). თუ ასე გააგრძელებთ ლაპარაკს, იცოდეთ, ორდერს ჩამო-გართმევთ!

ციცინო. დაგიბრუნებთ ერთბაშად!.. ამას აწი მამაზეციერიც ვერ ჩამომართმევს. (უბეში მალავს)... არა, თქვენ წყენა გულში არ გაივლოთ... ერთი უსწავლელი ქალი ვარ და მეტი ჭიუა არ მომეთხოვება... ისე, სიმარტლე თუ გინდათ, ჩემსავით, ალბათ, ბევრი ფიქრობს.

თამაზი. ფიქრობდა, ქალბატონო ციცინო!.. ძველი შეხედულებები უნდა უარვ-ყოთ. უნდა გარდავიქმნათ!

ციცინო. მადლობა ლმერთს, რომ გარდაქმნა ჩემით დაიწყეთ!.. წავალ ახლა, შვი-ლებს გავახარებ.

დომენტი. ბარაკი დროზე გაანთავისუფლეთ. უნდა დავანგრიოთ და ახალი ნავ-თობბაზის მშენებლობა უნდა დავიწყოთ.

ციცინო. თქვენ ბინა მაღირსეთ და გადასვლას როგორ დაგიგვიანებთ.

გიორგი. გული მაინც ხომ გწყდებათ, ახალ რაიონში რომ გადადისართ?.. რაც უნდა იყოს, ოცდახუთი წელი ცხოვრობდით ამ სახლში.

ციცინო. არა, ეს სახლი არ არის, სათაგურია!.. გინდა დაანგრიეთ, გინდა დაწვით, გული როგორ დამწყდება. (გადის).

გიორგი. ძალიან უცნაური ქალი ყოფილა.

დომენტი. ეს სხვებთან შედარებით ანგელოსია... თქვენ მიღებაზე უნდა ნახოთ, რა დღეში ვარ... ორშაბათის დაღგომა ჭირის დღესავით მეზარება. კაბინეტში შესვლა არ

მინდა, მაგრამ ხალხს სად უნდა გაექცე, ყველა შენგან პასუხს ელის, ყველას დოქტორი რება უნდა... ყველას უნდა გაუგო, გულდასმით მოუსმინო... ხმამაღლა თუ დაგიწყვეტილია, შენ მაინც ხმადაბლა უნდა ილაპარაკო... შეიძლება, გაგლანძლონ კიდევაც, მაგრამ არ უნდა აღელდე.

თამაზი. დროის მოთხოვნაა ასეთი, ვარდენიჩ.

დომენტი. კი, დროის მოთხოვნაა, თუკი მას ფეხს ვერ აუწყობ, უნდა წახვიდე. შენი ადგილი სხვას უნდა დაუთმო... მაგრამ მე ჯერ არ მინდა წასვლა, ენერგია მაქვს, ბევრი რამის გაკეთება შემიძლია!

თამაზი. თუ ნებას მომცემთ, მიღებაზე დაგესწრებით.

დომენტი. ნება რა შუაშია, უურნალისტი ყველგან უნდა ახერხებდეს დასწრებას. თუ განსოვს, „მარტინ იდენში“ ჯეკ ლონდონმა რა თქვა:

თამაზი. რა, მაგალითად?

დომენტი. მაგალითად, თქვენი ხელობის კაცზე თქვა, დიდებული უურნალისტი დაღვება, რაღვან, სინდისი სრულებით არ აწერებსო.

თამაზი. ეს კაპიტალისტური სამყაროს უურნალისტებზეა ნათქვამი... ისე, გეტუბათ, ლიტერატურა გყვარებიათ.

დომენტი. მე ლექსებიც ვიცი ზეპირად... ასე არ არის, გიორგი?

გიორგი. (გამოერკვა). რა ბრძანეთ?

დომენტი. შენ რაღაც გონება გეფანტება ამ ბოლო დროს... ლექსი თუ წავიკითხო-მეთქი?

გიორგი. აუცილებლად უნდა წაიკითხოთ, მაგრამ კარგი ლექსი!

დომენტი.

ზღვა იყო ისე მშვიდი და წყნარი,
რომ აღარც მანსოვს იყო თუ არა,
ერთად გააღო ცამ შეიდი კაჭი
და ზღვას სარტყელად გადაუარა.

თამაზი. შეიძლება გავაგრძელო, ვარდენიჩ?

დომენტი. ხომ გითხარი, უურნალისტი ნებას არ უნდა თხოულობდეს-მეთქი... მით უმეტეს, დღეს... ხომ ასეა, ჩემო გიორგი?

გიორგი. კი, ნამდვილად მასეა, უურნალისტი დღეს პირველი კაცია... ხალხი მართალს კი არა ტყუილსაც უჭერებს.

დომენტი. აბა, როგორ გეგონა შენ! დემოკრატია, საჯაროობაა... (თამაზი). კიდევ რა არის?

თამაზი. პლურალიზმი.

დომენტი. ჰო, სულ მავიწყდება... პლურალიზმი!.. აბა, თქვენ იცით, ა, ბურთი და ა, მოედანი! წერეთ და აკრიტიკეთ მბრძანებლურ-ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლები.

თამაზი. ყველაფერი ეს ლამაზი სიტყვებია, ვარდენიჩ. რატომ გავიწყდებათ, მე ცენტრის კი არა, ადგილობრივი გაზიეთის წარმომადგენელი ვარ.

დომენტი. მერე რა მოხდა, ადგილობრივი რომ ხარ!.. კალამი ჩამოგართვა ვინშემ?.. ცენტრის უურნალისტებზე ნაკლებად დაწერ თუ რა?

თამაზი. მაგის ვერაფერს გეტყვით, მაგრამ მე რომ თქვენი მოსაწონებელი ვერ დავწერო, ცენტრში სარბენად გამიზდება საქმე.

დომენტი. თუ სიმართლეს იტყვი, რატომ გეშინია?.. სახელი არ გინდა?

თამაზი. ბინაც რომ მინდა და დაწინაურებაც?

დომენტი. მე რომ მეგონა, იმაზე მიხვედრილი ყოფილხარ... არ შემცდარა თქვენი რედაქტორი, ნიჭიერი უურნალისტი გამომიგზავნე-მეთქი, რომ დავავალე. ბიბლიოთის თამაზი. მერე, შეიძლება ნიჭიერი უურნალისტი ათი წელი კორესპონდენტი იყოს?

დომენტი. (იმავე ტონით). თუ კაცი ორმოცი წელი რედაქტორი შეიძლება იყოს, მაგი რა ვასაკვირია!.. გული მაინც არ გაიტეხო, მომავალი წინაა!

თამაზი. როდის, პენსიაში რომ გავალ, მაშინ?

დომენტი. (ტონს შეიცვლის). თქვენ, მგონი, წახან სულ სხვა რამის თქმას აპირებლით?

თამაზი. თქვენი ლექსის გაგრძელება მინდოდა.

დომენტი. (გიორგის ხელს კრავს და ფიქრიდან გამოარკვევს). ჩემი კი არა, ტიციან ტაბიძის ლექსია.

თამაზი. ვიცი, სტუდენტობის დროს ვისწავლე.

თეთრ ზამბახების დგანან ფარდები,
გააქრს შრიალი პალმების ქოლგებს
და ისე ყრია თეთრი ვარდები,
თითქოს ათასი აქ გედი მოკლეს.

დომენტი. მე კიდევ სკოლაში ვისწავლე... მე და გიორგის პოეზია ძალიან გვიყვარდა... აბა. რა გეგონათ თქვენ. ხელმძღვანელები ყველა უწიგნური ბიუროკრატები რომ წარმოგიდგენიათ... სხვათა შორის, ცურვაშიც პირველი თანრიგი მქონდა.

გიორგი. თქვენ ხომ ქალაქის წყალბურთელთა ნაკრებში თამაშობდით.

დომენტი. ახლა ქალალდებში ვთამაშობ, განცხადებებზე რეზოლუციებს ვაწერ, რომელსაც არავინ ასრულებს.

გიორგი. ვინ არ ასრულებს, ვარდენიჩ, მაგალითად?

დომენტი. მაგალითად. თქვენ!.. ხომ იყო განკარგულება, ნავთობბაზის მშენებლობა პირველი რიცხვიდან დაგეწყოთ?

გიორგი. იყო, მაგრამ...

დომენტი. რა მაგრამ?

გიორგი. ექსპერტის დასკვნა არ გვქონდა ზლვიდან მშენებლობამდე კილომეტრნახევრიანი სანიტარიული ზონის დაცვის შესახებ.

დომენტი. კილომეტრნახევარი რომ ზლვიდან დავიწიოთ, ნავთობბაზას მთაზე ხომ არ ავაშენებთ?

თამაზი. ეკოლოგიას, ბატონო დომენტი, დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

დომენტი. ეკოლოგია და ეკოლოგია!.. რა მაშველი რგოლივით ჩააფრინდებით ამ სიტყვას!.. როგორ გვითვალისწინეთ იგი?.. აქამდე ეს სიტყვა ლექსიკონში არ იყო?

თამაზი. იყო, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა.

დომენტი. ძველი ნავთობბაზა რომ შენდებოდა, მაშინ კაციშვილს არ გახსენებია ეს სიტყვა.

თამაზი. მაშინ სხვა სიტყვები იყო: „ჩვენ ვერ დაველოდებით ბუნების წყალობას. ჩვენი ვალია გამოვსტაცოთ ეს წყალობა მას“.

დომენტი. კი, ბატონო, ზლვა მაშინაც ჭუჭყიანდებოდა, მაგრამ წინა პლანზე ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი იდგა, ქალაქის სამრეწველო განვითარება, თუ გნებავთ, მსოფლიო ბაზარზე გასვლა ამ ზლვისა და ამ ნავსაღგურის მეშვეობით... კიდევ აამდენი ერთი ჩამოგითვალოთ? (ხმას დაუწევს), გასაგებია?

თამაზი. ყველაფერი სიტყვა-სიტყვით ჩავიწერე.

დომენტი. ძალიანაც კარგი გიქნია, თუ ჩაიწერე... კიდევ ისიც დაუმატე, რომ

ახალი ნავთობბაზის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ზღვას არავითარი ეკოლოგიუ-
რი საფრთხე არ მოელის... ხომ ასეა, ამხანაგო გიორგი?

გიორგი. დიახ, პროექტში ასეა აღნიშნული.

დომენტი. და შენ ეჭვი გეპარება იმაში, რაც პროექტითაა გათვალისწინებული?

გიორგი. ჩემი საქმე მშენებლობაა... პროექტის ლირსებაზე სპეციალისტები ილაპა-
რაკებენ... ისე, კილომეტრნახევრიანი სანიტარიული ზონის დაცვა მაინც საჭირო იყო.

დომენტი. დაიჩემა ახლა კილომეტრნახევრიანი ზოლი და კილომეტრნახევრიანი ზო-
ლი! (აკვირდება). შენ რა ხშირად იკიდებ გულზე ხელს, გაწუხებს?

გიორგი. რა ვიცი, შეშინებული კი ვარ და...

დომენტი. იცი, რას გეტუვი, შეშინებულო კაცო? — მზია კოკელაძესთან მიღი
მეორე საავადმყოფოში, კარგი თერაპევტია.

თამაზი. სწორი ბრძანდებით, ვარდენიჩ, მზია-ეჭიმი შესანიშნავი სპეციალისტია.

დომენტი. ამას რა ყველაფერი ცოდნია!.. ვნახოთ, ერთი, ამხელა ერულიციას სტა-
ტიის დაწერაში თუ გამოიყენებს.

თამაზი. სათაური უკვე მოფიქრებული მაქვს — „ახალი ნავთობბაზა, ახალი პერ-
სპექტივები“.

დომენტი. დიდებულია! კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა, კარგი სათაური
ნახევარი ნაწარმოებიაო... (გიორგის). წავიდეთ, აბა, მგონი, ყველაფერი გავარკვიეთ.

თამაზი. მე დავრჩები, სურათები უნდა გადავიდო.

დომენტი. ხელს როგორ შეგიშლით მაგ კეთილშობილურ განზრახვაში!.. ჩვენ წავი-
დეთ, გიორგი.

დომენტი და გიორგი გადიან. ისმის მანქანის ამუშავების ხმა. თამაზი ფოტო-
აპარატით ჭერ ზღვის ყურეს იღებს, შემდეგ ბარაკთან მიღის და მასაც ფირზე აღბეჭ-
დავს. ბარაკიდან ციცინო გამოდის.

ციცინო. მოგეწონა ჩვენი დვარეცი. აპარატში რომ ჩააკარტიჩე?

თამაზი. ძალიან მომეწონა!.. ხომ არ დამითმობდით?

ციცინო. შენ ხუმრობ და, შვილების გარდა კიდევ ვინმე რომ მყოლოდა ჩაწერი-
ლი, სამოთახიან ბინას მივიღებდი.

თამაზი. ჩეხეური პროექტით აშენებულ სახლს, ქალბატონი ციცინო, იმხელა ლო-
გია აქვს, ერთ ოთახს არ ჩამოუვარდება.

ციცინო. შენს პირს შაქარი, შვილო! (ხმა დაუწევს), თუ იცი, ძალიან ეწყინა ამ-
სანაგ დომენტის.. წახან ენას კბილი რომ ვერ დავაჭირე და ცუდი სიტყვა რომ წამომ-
ცდა, უფულოდ საქმე არ გაკეთდება-მეოქი?

თამაზი. კაცს მექრთამეობა დააბრალეთ და გაეხარდებოდა ვითომ?

ციცინო. მაგი ახალია, მე წინათ ვინც იყო, ის მყავდა მხედველობაში... ვითომ მაინც
ეწყინებოდა?

თამაზი. ნამდვილად არ ეწყინებოდა, ქალბატონო ციცინო!

ციცინო. ო, როგორ გამახარე, იცოდე!.. ახალ ბინაში რომ გადავალ და კამპანიას
რომ გადავიხდი, აუცილებლად დაგპატიუებ... ხომ მოხვალ?

თამაზი. თამაღად თუ დამასახელებთ, კი, ბატონო.

ციცინო. შენ ოლონდ ლამაზად ჩამაკარტიჩე გაზეთში და მაკარიჩი ჩემზე იყოს...
არა, ნამდვილად გამისკდება გული ამდენი სიხარულისაგან.

თამაზი. გულზე თქვენ არ იდარდოთ, შუქრიევნა, მეორე საავადმყოფოში დიდებუ-
ლი ეჭიმია, მზია კოკელაძე!

ფარდის გახსნაშე დიქტორი რადიოში საზეიმო ტონით მიმართავს მაყურებლებს.

დიქტორი:

თუ გსურს იყო ჭანმრთელი,
ღონით გასაკვირველი —
ნერგების დაწყნარება
წამალია პირველი.

იხსნება ფარდა და სცენაზე ექიმ მზია კოკელაძის კაბინეტს ვხედავთ. ექიმი რალაცას წერს, კაბინეტში გიორგი შემოდის.

გიორგი. შეიძლება?

მზია. (წერას თავს ანებებს). შეიძლება.

გიორგი. მე მზია-ექიმი მინდოდა.

მზია. სწორედ მზია-ექიმი გახლავართ.

გიორგი. ძალიან სასიამოვნოა.

მზია. გააჩნია, ვისთვის.

გიორგი. ბოლიში, მაგრამ ვერ გავიგე.

მზია. ოქვენ კი არა, მეც ვერ გავიგე. ასე მასიურად ხალჩი ავალ რატომ ხდება?..

განა სასიამოვნოა, ორმოცდამეათე ავალმყოფის მიღება?

გიორგი. (შეწუხდება, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს). რავი ორმოცდამეათჯე ვყოფილვარ, პირიქით, პრემია უნდა მომცეთ.

მზია. პრემია კი არა, შეიძლება, წამალიც არ მოგცეო.

გიორგი. რატომ?

მზია. იმიტომ, რომ არ იშოვება.

გიორგი. ისიც ხომ საპონი არ არის?

მზია. სხვათა შორის, საპონიც წამალია, ჭუკეს აშორებს... სხვა შეკითხვები ხომ არ გექნებათ?

გიორგი. (წასელას დააპირებს), კარგად პრძანდებოდეთ, ჩემო ბატონო!..

მზია-ექიმისთანა თერაპევტი ქალაქში მეორე არ დაღისო... ეტყობა, ტყუილი უთქვამთ.

მზია. მზია-ექიმი რომ რკინა არ არის და ძალიან იღლებაო, ის თუ უთქვამთ?

გიორგი. ოქვენ ოლონდ დაისვენეთ და მე სხვა დროს გამოვივლი.

მზია. როგორ გგონიათ, სხვა დროს უკეთესი მდგომარეობა იქნება?.. დაბრძანდით.

გიორგი ჭდება, მზია ანკეტას შლის.

მზია. სახელი, მამის სახელი, გვარი.

გიორგი. გიორგი იოსების ძე ვაშალომიძე.

მზია. ასაკი?

გიორგი. ორმოცდაათს გადავაბიჭე.

მზია. რა მალალთარდოვანი ლაპარაკი გყვარებიათ. (აკავრებს), ორმოცდაათს გადავაბიჭე, ბავშვობაში, შემთხვევით ლექსებს ხომ არ წერდით?

გიორგი. ლექსებს ახლაც ვწერ, მაგრამ არავის ვუკითხავ... მხოლოდ ჩემი გულის ჭია ვახარებ... როგორ ფიქრობთ, ლექსის წერა დანაშაულია?

მზია. ასაკი!

გიორგი. ორმოცდათხუთმეტი წელი.

მზია. მასე გეთქვათ თავიდან. ანკეტას პოეზია არ უყვარს.

გიორგი. ვხედავ, არც თქვენ გყვარებიათ...

მზია. როგორ გეკადრებათ!.. „თუ გსურს იჭო ჯანმრთელი, ლონით გასაკვირველი“ — ხომ მოისმინეთ, აქეთ რომ მოდიოდით?

გიორგი. დიახ, მოვისმინე.

მზია. ჩემი დაწერილია. კიდევ მტრედებზეც მაქვს ლექსი.

გიორგი. ფანჯარაში მტრედია, ნეტავ, ვისი ბედია....

მზია. არა, ეს ხალხური ლექსია, ჩემი ასე იწყება:

ცაში დაფრინავენ მტრედები,

მშვიდობას უმღერიან დედები.

გიორგი. როგორც ვატყობ, მტრედი ძალიან გყვარებიათ.

მზია. ძალიანაც არ მიყვარს.

გიორგი. რატომ მერე?

მზია. ჭუჭყიანი და ღორმულელა რომაა, იმიტომ.

გიორგი. მტრედი ბიბლიური ფრინველია... ნოეს კიდობნილან პირველი ის გამოფრინდა.

მზია. ვიცი, მაგრამ მაინც არ მიყვარს... ძალიან, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, მტრედებს შევეშვათ და ანკეტას დავუბრუნდეთ.

გიორგი. დაგრჩათ რაიმე დასაზუსტებელი?

მზია. თქვენი პროფესია.

გიორგი. მე მშენებელი ინჟინერი ვარ.

მზია. სახლებს აშენებთ — სწრაფად, იაფად და მაღალხარისხოვნად...

გიორგი. სახლებს კი არა, მე ახალ ნავთობბაზას ვაშენებ.

მზია წერას თავს ანებებს. მაგიდაზე დადებულ გაზეთს იღებს, აკვირდება და შემდეგ ისევ გიორგის მიაჩერდება.

გიორგი. ასე გაკვირვებით რატომ მიყურებთ?

მზია. იმიტომ, რომ ახალი ნავთობბაზის მშენებელი ყოფილხარი...

გიორგი. მერე რას ხედავთ ამაში ცუდს?

მზია. განა თქვენ არ იცით?

გიორგი. არაფერიც არ ვიცი!

მზია. ნუნუ არ გრცხვენიათ, ასეთი ინტერვიუ რომ მიეცით გაზეთში, ბუნებას არავითარი საფრთხე არ ემუქრებაო?..

გიორგი. ქალბატონო მზია, პატივცემულო მზია-ექიმო... ძალიან გოხოვთ, ნუ აყვებით ჭორებს, თითქოს ახალ ნავთობბაზას ქალაქისათვის უბედურება მოპქონდეს.

მზია. ჭორებს ნუ აყვებიო?.. მე ექიმი ვარ და ამ საკითხით ძალიან დავინტერესდი, პიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის მონაცემებით, ყოველწლიურად ცისტერნებიდან 200 ტონამდე ნავთობპროდუქტები იღვრება, ქალაქის მიდამოებში ზღვის გაჭუჭყიანების დონე ნორმაზე 20-ჯერ და უფრო მეტად მაღალია. მკეთრად შემცირდა ზღვის ფაუნა, რომელიც ორ წნევს შორის არის მოქცეული, ქვემოდან ბუნებრივი გოგირდწყალბადი აწვება, ზემოდან კი საწარმოების დაუდევრობის შედეგად ჩაღვრილი სიბინძურე... უკვე დადგა დრო, შემუშავდეს მოელი შავი ზღვის ეკოლოგიურად გადარჩენის პროგრამა... თქვენ კი დაგიჩემებიათ ჭორებს ნუ აყვებითო.

გიორგი. გეთანხმებით, ქალბატონო მზია, მაგრამ რაც თქვენვე ბრძანეთ, ეს ქველი ნავთობბაზის ცოდვებია... მე, როგორც სპეციალისტი, პირობას გაძლევთ, ახალი ნავთობბაზის დამთავრების შემდეგ ზღვის გაჭუჭყიანება გამორიცხული იქნება... აი, თქვენ თვითონ ნახავთ და დარწმუნდებით.

მჰია. ახლა აქ ამ თემაზე კამათის დრო არ არის... ორმოცდამეთერთმეტე პაციუნტი
მიცდის. პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ... რას უჩივით?

გიორგი. გულს ვუჩივი.

მჰია. მაშინ ტრადიციული შეკითხვით დავიწყოთ: ღვინოს სვამთ?
დასტურის ნიშნად გიორგი თავს უქნევს.

მჰია. რატომ სვამთ?

გიორგი. როგორ აგიხსნათ ახლა, ხან კარგ ხასიათზე რომ ვარ, იმიტომ ვსვამ, ხან
კიდევ ცუდ ხასიათზე რომ ვარ, იმიტომ.

მჰია. ნაცობბაზის მშენებელი სულ კარგ ხასიათზე უნდა იყოთ.

გიორგი. მშენებლობის გარდა, კაცს ოჯახიც ხომ გაქვს, საზოგადოებაშიც ხომ
ცხოვრობ? საქმე, მოგეხსენებათ, არც ისეა აწყობილი, შენ რომ გავიხარდება.

მჰია.

დამისბი, დამალევინე
ეგ ღვინო ოხერტიალი,
ეგება წალმა ვიფიქრო
ქვეყნის უკულმა ტრიალი.

გიორგი. კი, ზუსტად ჩემზეა ნათქვამი.

მჰია. ეწევით?

გიორგი. მხოლოდ ცხოვრების ჭაპანს ვეწევი... თამბაქოს კვამლი უფულობასავით
მეზარება.

მჰია. ჭარაგმები გყვარებიათ, მაგრამ მაინც გავაგრძელოთ ჩვენი გულახდილი დია-
ლოგი... ამ ბოლო დროს ნერვიულობა ხომ არ მოგწევიათ?

გიორგი. ნერვიულობა ყოველთვის მიწევდა, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანს განსაკუთ-
რებით.

მჰია. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ნაცობბაზის მშენებლობა დაგავალეს.

გიორგი. დიახ, მას შემდეგ... სხეს რა უნდა ვუთხრა, როდესაც ოჯახში საკუთარი
შვილი არ მიყერებს... დაახლოებით იმასვე მიმტკიცებს, რაც თქვენ ახლა მითხა-
რით...

მჰია. ჭკვიანი შვილი გყოლიათ.

გიორგი. ეკოლოგიური ხსნის კომიტეტის წევრია, არარეგისტრირებული, ფორმა-
ლური კომიტეტისა.

მჰია. ფორმას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი შინაარსია... სხვათა შორის მეც
მაგ კომიტეტის წევრი ვარ.

მჰია დგება და კარადიდან წნევის აპარატი გამოაქვს. გიორგი კოსტიუმს სკამზე
კიდებს და სახელოს იკაპიწებს.

მჰია. ცოტა სწრაფად, თუ შეიძლება... ნუ მალავთ, დავინახე, რომ მკლავზე
სვირინგი გაქვთ... თუ არ ვცდები, „ტასიქ“ წერია.

გიორგი. ბავშვობისდროინდელი ცოდვებია.


მჰია. თქვენი არ მიკვირს, შეგეძლოთ, მეორე მკლავი გეჩვენებინათ.

გიორგი. მეორე მკლავზე „ტასიქ პლიუს გიორგი“ წერია... კიდევ კარგი, აზლა-
ნდელი თაობა ასეთ სისულეებს აღარ ჩადის.

მჰია. კი, ახლა სხვანაირად იჩევლეტენ მკლავებს.

გიორგი. ჩვენ კიდევ სხვა აღმგზნები საშუალებები გვერდა. უაგრიკეთებდნენ და...
„ვინც ჩვენთან არ არის, იგი ჩვენი მტვრია“, „ორ კაცში სამი ჯაშუშია“.

მჰია. თქვენ, თურმე, საკმარის სინტერესო პიროვნება ყოფილხართ. რაც მთა-
ვარია, იუმორის გრძნობა ჯერ კიდევ არ დაგიკარგავთ.



გიორგი. გმაღლობით კომპლიმენტისათვის. ყველაფერი ეს, ალბათ თქვენი მცუ-
ლნალობის შეთოდია, პაციენტის გუნება-განწყობილების გამოსაკვეთებლად ხმარობთ. უსამართო
შესა (მკაცრად). მკლავი მიჩვენეთ! (წნევას უსირჯავს).

გიორგი. მაღალია, ხომ?.. მე მგონი...

მზია. „მე მგონი“ არაა საჭირო, მხოლოდ ფაქტებით ვილაპარაკოთ. კონკრეტულად.

რას უჩივით?

გიორგი. ამ ბოლო დროს ძალზე უცნოური გრძნობა დამეუფლა, არ ვიცი, როგორ
აგიხსნათ... რაღაც შიში ამეცვიატა.

მზია. მაინც რისი გეშინიათ?

გიორგი. ყველაფრის, რაც გარშემო ხდება.

მზია. ნუთუ ჩვენს კოპტია ქალაქში ისეთი რამე ხდება. სანერვიულოდ რომ
ლირდეს?

გიორგი. ერთი შეხედვით თითქოს არაფერი, მაგრამ ზევით ხომ ბევრი რამ ხდე-
ბა?.. პოლა, გული მეუბნება, რომ ყველაფერი ეს ჩვენთანაც ჩამოაღწევს...

მზია. კონკრეტულად მაინც რა ჩამოაღწევს?

გიორგი. ეს მიტინგები, ეს დემონსტრაციები, ეს შიმშილი...

მზია. მაგათაც არ იდარდოთ... სანამ ყველაფერი ეს ჩვენთან ჩამოაღწევს, მე და
თქვენ, ალბათ, პენსიაზე ვიქნებით.

გიორგი. ნავთობბაზის დამთავრებამდე არ მინდოდა პენსიაზე გასვლა, მაგრამ ვიცი,
რომ რაღაც მოხდება, გული მეუბნება...

მზია. კიდევ რას გეუბნებათ გული?

გიორგი. იმას, რომ წლევანდელი ზამთარი აღარ გათავდება, რომ სულ თოვლი და
ქარიშხალი იქნება, მზეს ვერასოდეს დავინახავთ.

მზია. როგორ წარმოვიდგენდი, ასეთი პესიმისტი თუ იქნებოდით.

გიორგი. მაინც ამ ზამთრის წასვლას რომ არ დაადგა საშველი! სულ თითებზე
ვითვლი.... დღეს ოცი თებერვალია, ხომ? თებერვალი ოცდარვით გადის, მაგრამ მა-
ნამდე გაძლება არ გინდა!.. ვთქვათ, მივიტანე სული, ზამთრის უკანასკნელი ფურცე-
ლიც ჩამოვახიერ კალენდარს, მაგრამ მარტი ხომ მაინც გაზაფხული არ არის, ალბათ,
გაგიგონიათ, მარტი რომ წინ გეღგასო... (გამოერჩვევა). მთლად დაწყობილად ვერ
ვლაპარაკობ, ხომ? უარესს გეტუვით... კიდევ, იცით, რას ვფიქრობ ხანდახან, როდე-
საც მეოთხე სართულიდან კიბეებზე ჩამოვდივარ?

მზია. ჰო, რას ფიქრობთ?

გიორგი. ამ ვიწრო კედლებში კუბო როგორ გამოეტევა-მეოთხი.

მზია. რა კუბო?

გიორგი. რა კი არა, ვისი... ჩემი კუბო, რასაკვირველია... აი, როცა მოვკვდები,
მაშინ... ჩემი სახლი, მოგეხსენებათ, ვოლუნტარიზმის ეპოქაშია აშენებული არქიტექ-
ტურულ პროპორციებს რომ ყურაღლებას არ აქცევდნენ... ჭერი ხომ დაბალია და დაბა-
ლია, კარებიც ცალფა და საშინლად ვიწროა... უცხოური ავეჯი რომ შეიტანო, კედლის
გამონვარება მოგიწევს... მეზობლებზე ვამბობ, თორებ მე ჩვენებური მცირევაბარიტიანი
ავეჯი მიღვას... კი, ჯამაგირზე ვცხოვრობ...

მზია. მაინც რა ჯამაგირი გაქვთ ასეთი?

გიორგი. ქორწილებსა და ტირილებში წასაღებად რომ არ გეყოფა... კი, ბატონო,
შეიძლება, იქ არ წახვიდე, მაგრამ ბაზარს რას უზამ, ხუთი თუმანი მარტო ერთ წას-
ვლაზე გინდა... მეც მიკვირს ხანდახან, როგორ ვახერხებ ვალის გარეშე თვის დამ-
თავრებას... არა, ცემენტს ნამდვილად არ ვიპარავ. მაგრამ დამატებით სამუშაოზე, თუ-

კი სადმე მოვახერხე, არასოდეს ვამბობ უარს... თავი შეგაწყინეთ, ხომ, მზია ექიმო?

მზია. პირიქით, ძალიან ყურადღებით გისმენდით.

გიორგი. რეცეპტს არ გამომიწერთ?

მზია. არავითარი რეცეპტი! შეშინებული კაცის წამალი მხოლოდ გუნდება-ვანწყობილების გაუმჯობესებაა. არ ინერვიულოთ, ემოციებს არ აყვეთ, სხვათა შორის, ნურც ბაზარში წახვალთ, ცოლი გაუშვით.

გიორგი. არც ფული მივცე?

მზია. იუმორი უებარი საშუალებაა, ამიტომ ტელევიზორში მხიარულ გადაცემებს უყურეთ, რაც მთავარია, ხშირად იარეთ სუფთა ჰაერზე, ივარჯიშეთ, ორგანიზმი გაიკავეთ... მუდამ გახსოვდეთ, რომ თქვენი ჯანმრთელობა თქვენს ხელთაა.

ესამე სურათი

ისმის დილის გამამხნევებელი ვარჯიშის მელოდია, როდესაც სცენა განათდება,, ოთახში მოვარჯიშე გიორგი ვაშალომიძეს დავინახავთ. სპორტული მაისურა აცვია, რომ მელზედაც დაწერილია ციფრი „12“.

რადიო. ჩაისუნთქეთ ლრმად, ასწიეთ თავი მაღლა, კიდევ უფრო მაღლა და ადგილზე სირბილით დაიწყეთ!.. ერთი, ორი, სამი... ერთი, ორი, სამი... კარგია!.. ახლა მოაღუნეთ კუნთები, ამოისუნთქეთ, ერთი, ორი, სამი... ერთი, ორი, სამი... ვარჯიში დამთავრდა... არ დაგავიწყდეთ, გაიკეთეთ წყლის პროცედურები.

გიორგი. (ვარჯიშის დამთავრებისთანავე რადიოს გამორთავს). უჰ!.. მგონი, ზედმეტიც მომივიდა.

მალხაზი. (შემოდის). რას შვრები, მამაჩემო, ტანს იყენებ?

გიორგი. კი. სილამაზის კონკურსზე უნდა მივიღო მონაწილეობა.

მალხაზი. სილამაზის კონკურსისა რა მოგახსენო, მაგრამ ნავთობბაზის ვშენებლობაში ხომ მონაწილეობა?

გიორგი. ვმონაწილეობ, ხვალ-ზეგ უკანასკნელ ბარაკსაც დავანგრევ. ბრელდოზერებს გამოვიყვან და საძირკველის ჩაყრას შევუდგები.

მალხაზი. იცოდეთ, არ გამოგივათ!

გიორგი. ექიმმა მითხრა, გული არ მოიყვანოო, მაგრამ მაინც მინდა შევიტყო, როტომ არ გამოგვივა?

მალხაზი. ჩვენ საპროტესტო აქციას მოვაწყობთ.

გიორგი. ვინ ჩვენ?

მალხაზი. ქალაქის საზოგადოება.

ამ ლაპარაკში ოჭახის ყველა წევრი თავ-თავის საქმეს აკეთებს — დიასახლისი მავი-დაზე საუზმეს აწყობს.

გიორგი. ქალაქის საზოგადოებრიობა ცოტა ხმამაღლაა ნათქვამი. ხმაღაბლა რომ შეგეეკითხო, საზოგადოებრიობაში მაინც ვის გულისხმობა?

მალხაზი. ეკოლოგიური ხსნის კომიტეტს.

იოსები. უშიშროების კომიტეტი კი გამიგია, მაგრამ ეკოლოგიურ ხსნაზე ვერაფერს მოგახსენებ.

ლენა. ნუთუ ასეთი კომიტეტიც არსებობს!

მალხაზი. შენ წარმოიღინე, არსებობს, დედაჩემო!

იოსები. ოფიციალური ნებართვა გაქვთ?

გალხაზი. ჯერჯერობით ამხანავ დომენტის ჩვენს განცხადებაზე დადებითი რეზოლუცია არ წაუწერია.

იოსები. ესე იგი, არაფორმალური გაერთიანება ყოფილხართ.

ლენა. გამარტვიეთ მაინც, რა განსხვავებაა არაფორმალურსა და ფორმალურ გერთიანებებს შორის?

მალხაზი. რთული საკითხია!.. როდესაც ჩვენ არაფორმალებში ჩაგვრიცხეს, ფორმალურია, მაგალითად, ლოთობასთან მებრძოლი საზოგადოება. გადაუხდი მანეთს და კაციშვილი პასუხს აღარ მოგთხოვს, გინდა დალევ, გინდა ნუ დალევ.

იოსები. შენ ხუმრობ, ახლა, ჩემო ბაბუა, მაგრამ ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს. უკანონოდ არაფერს გაგაკეთებინებენ, ამიტომ რეგისტრაციაში აუცილებლად უნდა გატარდეთ.

მალხაზი. სანამ მაგ საკითხს გადაგვიწყვეტდნენ, ბევრი წყალი გაივლის... თუმცა წყლის მაგივრად მაზუთი შეიძლებოდა გვეთქვა... ხომ ასეა, მამაჩემო?

გიორგი. თქვენ გატარდებით თუ არ გატარდებით, ნავთობბაზა მაინც აშენდება.

მალხაზი. ეს შენ ფიქრობ ასე... კიდევ ამხანაგი დომენტი ფიქრობს!

იოსები. (მკაცრად) გიკრძალავ ასეთ ლაპარაკს...— ვაშალომიძების ოჯახში გაზრდილ კაცს უფროსების მორიდება უნდა გქონდეს.

მალხაზი. უფროსი ვაშალომიძის სიტყვა ჩემთვის კანონია. (მიღის და რადიომიზდებს ჩართავს. საჭირო ტალღას მოძებნის).

რადიო: „ეს არის ამერიკის ხმა ვაშინგტონიდან. გადმოგცემთ უკანასკნელ ცნობებს“.

იოსები. (სწრაფად მიღის და რადიოს გამორთავს). რას აკეთებ, თუ იცი?

მალხაზი. უკანასკნელ ცნობებს ვისმენ.

იოსები. მერე ვის ცნობებს ისმენ?

ლენა. ახლა უცხოეთის მოსმენა ნებადართულია.

იოსები. უბედურებაც ისაა, რომ ყველაფერი ნებადართულია. ხალხს ტვინი აუბნიეს... ქვეყანა აირია, ხომ ხედავთ?

გიორგი. ქვეყნის ამბავზე ვერაფერს გეტყვი, მაგრამ მე ნამდვილად შეშინებული ვარ.

მალხაზი. მაინც ასე რამ შეგაშინა, გულჩე სულ ხელს რომ იკიდებ?

იოსები. შენ რომ უცხოეთის ხმებს უსმენ, იმან შეაშინა.

მალხაზი. სიმართლეს ჩვენ სწორედ უცხოეთის ხმებიდან ვგებულობთ.

იოსები. ვინ თქვა ეს?

მალხაზი. ერთმა საქვეყნოდ ცნობილმა უურნალისტმა.

იოსები. ბოდიში მომიხდია, მაგრამ ჩემს დროს მასეთ უურნალისტს ვირის აბანში მიაბრძანებდნენ.

მალხაზი. თანაც მარადიულილი გამყინვარების ზონაში!.. მაგრამ ახლა რომ ის დრო აღარაა, ბაბუაჩემო?

იოსები. მეც ვხედავ, რომ აღარაა და ძალლი პატრონს ვეღარ ცნობს.

მალხაზი. ძალლის თავიც სწორედ მაქაა დამარხული.

იოსები. შენთან ხომ სერიოზული ლაპარაკი არ შეიძლება.

ლენა. გთხოვთ საუზე მიირთვათ.

მალხაზი. საუზე თორემ არ გვქონდეს ერთბაშად ნუგბარ-ნუგბარი!

ლენა. ეს რა დიდი მჭამელი ლაპარაკობს!

გიორგი. ნუგბარ-ნუგბარი, მართალია, არ გვაქვს, მაგრამ გვექნება... კაცი იმედით ცოცხლობს ქვეყანაზე.

იოსები. კი, იმედი დიდი შელავათია, განსაკუთრებით მაშინ, როცა უკან-უკან მივდივართ.



მალხაზი. მანამდე სულ წინ-წინ მივდიოდით, ხომ?

იოსები. სიძნელეები იყო, მაგრამ რწმენა გვქონდა. თქვენმა ურწმუნობაში კულტურული ხედავთ, რა მოიტანა.

მალხაზი: მაინც რა მოიტანა?

იოსები. შაქრის ტალონი... კარაქის ტალონი... მალე, ალბათ, ვარილის ტალონებიც იქნება... ნუ დაგავიწყდებათ, ჩვენ ეს ტალონები ომის დამთავრებისთანავე გავაუქმეთ.

მალხაზი. უკაცრავად პასუხია და, მტკიცე რწმენით მიმავალს ასეთი სიტყვები რომ გეთქვა ორ კაცში, ვირის აბანოში არ მიგაბრძანებდნენ?

იოსები. ყოველ შემთხვევაში, გამძლარი მაინც წავიღოდი.

მალხაზი. კი, მაგარი გამძლარი ბრძანდებოდით!

იოსები. შენ რა იცი, მაშინ დაბადებულიც არ იყავი.

მალხაზი. მე, სხვათა შორის, არც დავით ალმაშენებლის ეპოქაში დავბალებულვარ, მაგრამ ღიღგორის ომი შესანიშნავად ვიცი.

ლენა. აბა, ისტორიაში სამი რატომ ჩაგიწერეს ატესტატში?

მალხაზი. ისტორიის მასწავლებელი გვყავდა ცუდი და იმიტომ.

გიორგი. ბიძინა იმედაძესაც ხომ ის მასწავლებელი ჰყავდა?

მალხაზი. ბიძინა იმედაძეს შენზე ფულიანი მამა ჰყავდა.

იოსები. მე მუშთაკი ისე დავამთავრე, არც ფული დამჭირებია და არც პროტექცია.

მალხაზი. მაგაში მართალი ბრძანდებით, ბატონო იოსებ.

იოსები. მარტო მაგაში?

გიორგი. ჩემი ამბავი გასაგებია, მაგრამ ამ ახალგაზრდებს ნერვები რამ აუშალა?

მალხაზი. ქრთამი და კორუფცია რომაა ყველგან, იმან აგვიშალა... ხალხს აღარ სჯერა თქვენი, მამაჩემო.

გიორგი. მაინც რა არ სჯერა, შვილო? ოლონდ ხალხის სახელით ნუ მელაპარაკები, კიდევ კონკრეტული ფაქტი დამისახელე.

მალხაზი. კარგი, კონკრეტული იყოს! რატომ ამტკიცებთ, ახალი ნავთობბაზა ქალაქს ზიანს არ მოუტანსო?

გიორგი. შენ რა იცი, რომ მოუტანს?

მალხაზი. ძველმა რა მოუტანა, ის ხომ ვიცი? — ზღვა ისე გააჭუჭყიანა, ბანაობა აღარ შეიძლება, თევზი გაწყდა.

ლენა. რაც გადარჩა, ისიც დაპატარავდა.

გიორგი. როგორ თუ დაპატარავდა?

ლენა. ჩემს ბავშვობაში, ერთ სტავრიდას რომ ვიყიდდით, მთელს ოჯახს ჰყოფნიდა, კილოზე ნაკლები არ იყო, თანაც როგორი მსუქანი და გემრიელი... ახლა ლიფსიტებისაგანაც ვერ გამოარჩევ.

გიორგი. ნუთუ ყველაფერი სტავრიდაზე უნდა დავიყვანოთ?

ლენა. ბარაბული?.. კეფალი?.. პირს ვერ დაკარებ, ისეთი ნავთის გემო აქვს.

მალხაზი. ჩვენს კომიტეტს თევზის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ძალზე დამატიქრებელი ფაქტი აცნობა: რამოდენიმე სახეობის თევზი და ყველა სახეობის კიბორჩალისმაგვარი მთლიანად განადგურებულია ქალაქისა და მის ახლო მდებარე კურორტების გაყოლებით...

ლენა. გიორგი, რამდენჯერ შეგეხვეწე, გულზე ნუ იკიდებ ხელს-მეთქი... წნევას ხომ არ აუწევია?

იოსები. მაგის წნევის რა მოგახსენო, მაგრამ ფასებმა კი ნამდვილად აიშია.

მალხაზი. ამან ისევ თავისი დაიწყო!

იოსები. დიალექტიკური შატერიალიზმი გვასწავლის, ყოფიერება ვანსაზლცრავს ცნობიერებასთ. ესე იგი ჭერ კუჭი და მერე იდეები. მშიერ კაცს ვერაფერი, გაა-ჩერებს. მაგალითისათვის შორს წასვლა არ გვინდა, მარტო ეგნატე ნინოშვილის შემო-ქმედება კმარა.

მალხაზი. კეთილი და პატიოსანი. ეგნატე ნინოშვილი იყოს! იგი რეალისტი მწე-რალია. (კარადასთან მიღის და წიგნი გამოაქვს), მაინც რომელი მოთხრობა გადავშა-ლოთ?... აგერ, ჩემო ბატონო, „გოგია უიშვილი“. თანახმა ხარ, ბაბუა იოსებ?

იოსები. მარტო გვარი რამდენს გვეუბნება — უიშვილი!

მალხაზი. თუ იცი, ბაბუ, შენ, რა ჰქონდა მაგ უიშვილს საკალანდოდ ოჯახში? აგერ, შეგახსენებ. (კითხულობს): „ამასობაში კალანდა თენლებოდა, ხაჭაპურები ცხვებოდა, მსუქანი ლორი და ქათმები უნდა დაეკლათ“..

ლენა. ზუსტად ჩვენი ოჯახივით ყოფილი!

იოსები. რას არ გამოიგონებს შენი კვიმატი ენა. ჩემო მალხაზ!

მალხაზი. მაინც რა გამოვიგონე?

იოსები. ხაჭაპურებიო... მსუქანი ლორიო... ინდოურიო...

გიორგი. გაჩერდი, თუ კაცი ხარ, პირზე ნერწყვი მომადგა.

მალხაზი. ბატონო იოსებ, მე არაფერი გამომიგონებია, მოთხრობაში ზუსტად ასე წერია, ოლონდ ინდოური კი არა ქათმებიო...

იოსები. გაჭირვებულ კაცს საკალანდოდ ამდენი ხორავი როგორ ექნებოდა?

მალხაზი. შენ ის მითხარი, „გოგია უიშვილს“ მუშთაკში თუ გასწავლიდნენ?

იოსები. კი მასწავლიდნენ, მაგრამ მას შემდეგ რამდენი დრო გავიდა, კარგად აღარ მახსოვს.

მალხაზი. ეს კიდევ არაფერი, მთავარი აწი იქნება! თურმე, ეგზეკუციის შემდეგ გო-გიას ცოლმა მარინემ... (კითხულობს) „ქათმები გაბურტყლა, სამიოდ ხაჭაპური გა-მოაცხო, წმინდა თაფლის სანთელი ჩამოქნა, ერთი დოქი ადესას ღვინოც ამოილო ჭურიდან“.

გიორგი. ქათმები, ხაჭაპურები, მოქაფული ადესა!

მალხაზი. ბოლიში, მაგრამ მოქაფული არ წერია.

გიორგი. მაგას არა აქვს მნიშვნელობა, ადესა მოქაფულიც კარგია და მოუქაფავიც.

ლენა. მე ის მიკვირს, ამდენი ქონების პატრონს ტყეში ფირალად რა მიარბენინებდა?

მალხაზი. გეშლება, დედაჩემო, ტყეში სიმონა ძალადე გაიქცა.

გიორგი. უიშვილმა ფირალობას თავის მოკვლა არჩია.

ლენა. რატომ მერე?

მალხაზი. შეურაცხყოფა ვერ აიტანა და იმიტომ... აი, ხომ დარწმუნდი, ბაბუა-ჩემო, მარტო საჭმელ-სასმელზე არ ყოფილა საქმე, „ბიბლიაში“ წერია, არა ბურითა მარტო ცხონდების კაციო.

იოსები. ბიბლია არ ვიცი მე!

მალხაზი. არც ღმერთი გწამს?

ლენა. შენ თუ გწამს ღმერთი, ამ ლაპარაკს მოვრჩეთ ახლა. მე და მამაშენი სამსა-ხურში უნდა წავიდეთ, შენ კიდევ ლექციებზე გაგვიანდება.

მალხაზი. არსადაც არ მაგვიანდება!..

ლენა. დაგიჭერო გითომ?

მალხაზი. რა ვქნა, აბა, მიცდება პირველი ლექცია.

გიორგი. ამ ბოლო დროს შენ ხშირად გიცდება ლექციები.

მალხაზი. აი, დარდი, თუ მიცდება!

გიორგი. ესეც ეკოლოგიური ხსნის კომიტეტში ისწავლე?

მალხაზი. მაგი კიდევ არაფერი, თქვენ აწი უნდა ნახოთ!

ლენა. ლმერთო, დიდებულო, ეს ბიჭი ასე რამ გააღიზიანა?

გიორგი. ყველაფერი ეს კეთილ ნაყოფს ნამდვილად არ გამოიღებს.

საუბარში სუფრა უკვე ალაგებულია, ლენა და გიორგი ტანზე იცვამენ.

ლენა. მალხაზი, წავედით ჩვენ.

მალხაზი. გზა მშეიღობისა!

გიორგი და ლენა გადიან.

იოსები. ვაჟკაცურად, ერთი რამ უნდა გკითხო, ოლონდ სიმართლე უნდა მითხრა, აი, შენ რომ იცი, ისე პირდაპირ.

მალხაზი. გისმენ, ბაბუა.

იოსები. მართლა გიცდება ამ დილით ლექცია?

მალხაზი. არ მიცდება, მაგრამ ლექტორს პროტესტს ვუცხადებ.

იოსები. რა დაგიშავა?

მალხაზი. მე კი არა, ქვეყანას დაუშავა... მექრთამეა!..

იოსები. მექრთამეს უმაღლეს სასწავლებელში რა უნდა?

მალხაზი. მარტო უმაღლეს სასწავლებელში?

იოსები. ჩემს დროს ნამდვილად ასე არ იყო... რას გიკითხავს?

მალხაზი. მასალათა გამძლეობას, მექრთამე რომაა, ის ვითომ არ კმარა, ტვინის მაგივრად თავში ნახერზი უყრია.

იოსები. დარწმუნებული ხარ, რომ გენიალური შედარება მოიყვანე?

მალხაზი. ეს შედარება, მე კი არა, ერთ ცნობილ ქართველ მწერალს ეკუთვნის. თანაც უბრალო ნახერხი კი არა, სველი ნახერხი უნდა მეთქვა.

იოსები. კარგი, ბატონო, მაგრამ იმ ინსტიტუტს მაინც უნდა სცე პატივი, სადაც სწავლობ... ეხუმრები შენ, პოლიტექნიკური ინსტიტუტი... ერთ სიტყვაში პოლიტიკაცაა გაერთიანებული და ტექნიკაც.

მალხაზი. ოლოლო შენ, ბაბუა იოსებ, ვერ გამოიცანი, „პოლი“ მრავალს ნიშნავს, მრავალფეროვნებას... ეჭვი თუ გეპარება, გადმოვიდებ ახლა უცხო ენათა ლექსიკონს.

იოსები. (ხელს აწევს). არაა საჭირო... როგორც ყოველთვის, შენ ახლაც მართალი ხარ... ტყუილად კი არ ამბობდა ის კაცი, ჩვენ, მოხუცები, ახალგაზრდებმა უნდა შეგვ-ცვალოსო.

მალხაზი. მაგას რა დიდი თქმა უნდა, მარტივი აქსიომაა.

იოსები. აი, სწორედ სიმარტივეშია სიღიადე... ახლა კიდევ მაქვს ერთი შეკითხვა, ჩემო შემცვლელო, სახლში დიდხანს აპირებ დარჩენას?

მალხაზი. არ ვაპირებ... ერთი ლამაზი გოგონა როგორც კი მომაკითხავს, ჩვენი პრობლემების გადასაწყვეტად წავალთ.

იოსები. რა პრობლემებია ასეთი, ხელი ხომ არ უნდა მოაწეროთ?

მალხაზი. ხელი ეკოლოგიური ხსნის კომიტეტის მოწოდებას უნდა მოვაწეროთ, ნავთობბაზის მშენებლობა უნდა შევაჩეროთ.

იოსები. მე უფრო მნიშვნელოვანი ამბავი მეგონა... რას მიყურებ, შენხელა რომ ვიყავი, მამაშენი უკვე მყავდა... არ თქვა ახლა, პროლემები არ გქონდათო... მსოფლიო რევოლუციის ჯარისკაცები ვიყავით, სამყაროს გასაწითლებლად ვემზადებოდით.

მალხაზი. გაწითლდი მერე?

იოსები. ვინ გვაცალა, შინაურებმაც შემოგვიტიეს და გარეულებმაც.

გაისმის ზარის ხმა, მალხაზი კარს აღებს, შემოდის თინა.

მალხაზი. აი, ჩვენი თინიკოც მოვიდა, ბაბუა იოსებ.

თინა. გამარჯობა!

იოსები. გაგიმარჯოს, ჩემო ბატონო (თავისთვის). ეს მართლა ლამაზი გოგო ყოფილა... ისე, მაბზაკუნასავით კი დაიარება.

თინა. რა ბრძანეთ?

იოსები. როგორც გავიგე, აპირებთ ნავთობბაზის მშენებლობა შეაჩეროთ?

თინა. დიახ, ვაპირებთ.

იოსები. მაგ ნავთობბაზას მალხაზის მამა რომ აშენებს, ხომ იცით?

თინა. ვიცით, მაგრამ მაინც ვაპირებთ.

იოსები. ასეთი საქმე მაინც რატომ წამოიწყეთ? ნავთობბაზა სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტია და მისი მშენებლობის შეჩერება კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაა.

თინა. ადამიანების სიცოცხლე ყველა კანონზე მაღლა დგას.

იოსები. ჩემს დროს რომ ვინმეს ამის გაფიქრებაც გაებედა...

თინა. თქვენი დრო სხვა იყო, ბატონო.

იოსები. ვიცი, ვიცი, მე მოვხუცდი, ეპოქას ჩამოვრჩი...

თინა. როგორ გეკადრებათ, მაგრამ ქალაქი რომ იწამლება, ამაში ეჭვი ხომ არ გეპარებათ?

იოსები.. მოწამვლის რა მოგახსენო, მაგრამ მეტი სისუფთავე რომაა საჭირო, ამაზე კამათს როგორ დაგიწყებთ.

თინა. აგაშენოთ ლმერთმა, თქვენც ჩვენთან ყოფილხართ!

იოსები. ბოლიში, მაგრამ თქვენთან ვერ ვიქნები. მე მოვლენებს სულ სხვა თვალით ვუყურებ... როგორ ფიქრობთ, ეს დანაშაულია?

თინა. პირიქით, სხვანაირად არც შეიძლება. სხვადასხვა აზრი უნდა არსებობდეს.

მალხაზი. (შემოდის), ჩაგაბა ხომ დისკუსიაში ბაბუაჩემმა?

თინა. საინტერესო დიალოგი გვქონდა... წავიდეთ, არა!

გალხაზი. ბაბუა, უჩემოდ არ მოიწყინო...

იოსები. სათქმელად ადვილია, არ მოიწყინო, მაინც რა გავაკეთო?

მალხაზი. „გოგია უიშვილი“ წაიკითხე, შენი საყვარელი ფირფიტები დაუკარი.

თინა. კარგად ბრძანდებოდეთ, ჩემო ბატონო, გული მეუბნება, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევხვდებით.

იოსები. შენისთანა გოგო სულ რომ დარჩეს ამ სახლში, ყველაფერს ეს აჭობებს.

თინა და მალხაზი გადიან, იოსებს კარადიდან წიგნი გამოაქვს, გადაფურცლავს და ისევ კარადაში დებს. შემდეგ ფირფიტას იღებს და რადიოლას ჩართავს. გაისმის სამხედრო მარშის ხმა. იოსებს კარადიდან მეღლებით გაჭედილი კიტელი გამოაქვს და იცვამს. კიტელის ჭიბიდან ჩიბუხს იღებს და მოუკიდებს.

იოსები. ახალგაზრდების თავის ჭკუაზე მიშვება ნამდვილად არ შეიძლება. აუცილებლად უნდა მოველაპარაკო უფროსებს!

(პირველი მოქმედების დასასრული)



ა ჭ ა რ ა

შაშიას, შოთას, ორ ზურაბსა და ორ ჯემალს!

მოვიარე შენი ვზები,
შუახევი,
ქედა,
ხულო,
ძმურად მაინც შემიწყრები,
ხშირად რაკი ვერ გნახულობ.

სულში მუდამ ფრთანათელობს
სიტყვა — შენთვის შენახული,
საზიარო საქართველოს
მე იქა და შენ აქ უვლი.

თვალით მივიძ-მოვიძევ და
ვიტყვი მერე, რაც ვიგრძენი,
გვარი მთელი — ზოიძეთა
არის ჩემი მასპინძელი.

მღერის შენი მამია და
ზურაბი და ჯემალი და...
ურუანტელმა დამიარა
თუ სტრიქონმა შემარინდა.

ნატვრას მოჰყვა კაი დარი
(საიდუმლოც ამაში ძევს);
გვყავდა ბრძენი ჰაიდარი,
ბრძენი მემედ აბაშიძე.

გზა-გზა კვლავაც თაიგულობს
სულს და სიტყვას რაც ენება;
შავოლადებს კაი (გულო)-
კაციშვილის გახსენება.

ახლავს ბედთან შეჭიდებას
ცრემლიც — ღაწვზე განასკველი,
მზად ვარ—როცა შენ გჭირდება,
დავახიო დანას გული.

დაგლოცავ და იტყვის დასტურს
თავოს ქედი — ვოლიათი,
ქედის თავზე ნისლი დგას თუ
მაჭახელის ბოლი ადის.

ნისლის მაღლა ცაა — ვხედავ,
მოსამხრეთულ-მომესხურო,
დაბლა — შუახევი, ქედა,
ქედა, შუახევი, ხულო...

შუახევი მოვიარე,
ხულოს მოვლაც შევიძელი,
ვაგლახ, ვნახე მგლოვიარე
ხალხი, ნაღდად ჩემი ძმები.

ცხრა აპრილი არ კმაროდა?
ეს ცხრამეტი რაღა იყო?!
სხალთასთან და დანდალოსთან
მთა მოწყდა და გზა წაიღო,
ამომტირის ქრონიკიდან
წარღვნით წაღებული ყანა,—
მე რომ ცეცხლი მომიკიდა
და ღლეს თქვენთან მომიყვანა.

სადარდელი დღემდეც მქონდა,
ქარში გატანილი სტვირით,

სარფს გაღმა რომ მოჩანს ოდა,
მე იმ ოდის ბედზე ვტირი.

მე რომ ვიტყვი — დიდოვ ნანა
და წყლულს წავცხებ
უკურნებელს,
ქედა-შუახევ-ხულოიდანა
ბანებს დააგუგუნებენ.

ბანი, ხალხო, მხარი, ხალხო,
სისხლი სისხლობს, ფერი


ფერობს,

ერთმანეთში ჩავესახლოთ

და ერთმანეთს მოვეფეროთ.

საქართველო შევკრათ მუშტად,
ერთმანეთი გავახაროთ,
ნარბი თვალით მომდგარ
მუშტარს

რისტვაც ერთად დავაყაროთ!



ალექსანდრე ჩხატიძე

ჩვენი გურია

სტამბოლში ჩასული კაცი, როგორც წესი, უპირველეს ყოვლისა, აია-სოფიას ნახვის სურვილს გამოთქვამს. მე კი აგერ ათი დღეა ჩამოვედი და მხოლოდ შორიდან შევსც-კერი ამ დიდებულ ნაგებობას, რომლის გარშემოც ბობოქრობდა ამ მხარის მრავალ-საუკუნოვანი ისტორია.

ალი იხსანის გეგმით დღეს უნდა ვინახულოთ აია-სოფია, მეჭმეთ მეორის სასახლე, ცისფერი მეჩეთი. „კოდაკიც“ იმიტომ წამოილო, რომ სამახსოვრო ფოტოები გადავილოთ.

სტამბოლში დილაადრიან ჩავედით.

— ჯერ ერთ ადგილზე უნდა მივიდეთ, — მეუბნება ალი იხსანი. — იქ მეგობრები გველოდებიან, ვისაუზმებთ, თან იმ საქმეზე მოვილაპარაკებთ.

„იმ საქმეზე“ ჩვენ მთელი ღამე ვილაპარაკეთ, სანამ მატარებელი დაფარავდა ოთხას კილომეტრს ესკიშეპირიდან სტამბოლამდე. ალი იხსანს და რამდენიმე მის მეგობარს სარფის კარის გახსნამ აფიქრებინა, ჩამოაყალიბონ ტურისტული ბიურო, რომელიც საქა-რთველოს დაუკავშირდება.

— ზუსტად არავინ იცის, რამდენი ჩვენებური ცხოვრობს თურქეთში. ჯერჯერობით, არავის დაუანგარიშებია. ამბობენ, მილიონნახევარიო. ზოგი მეტსაც ვარაუდობს. ჩვენი საზოგადოება აპირებს ალრიცხვას. იმდენ ხანს ვიყავით დაშორებული საქართველოს, რომ ბევრმა არც თავისი წარმოშობა იცის, არც წინაპართა გვარი. სწორედ ამიტომ გვინდა შევქმნათ ტურისტული ბიურო, ერთმანეთს დავუკავშიროთ თანამოძმეები, ნათე-სავები, ახლობლები.

შემდეგ, ალი იხსანის მეგობრებს რომ შევხვდი და უფრო დაწვრილებით გამაცნეს თავიანთი ჩანაფიქრი, უპირველეს ყოვლისა, მთხოვეს, ისეთი სახელი შემერჩია მომავა-ლი ბიუროსათვის, საქართველოსთან რომ იქნებოდა დაკავშირებული. თურქეთში გამგ-ზავრების წინ როგორლაც მქონდა ამ თემაზე საუბარი ჩვენი „ინტურისტის“ მმართვე-ლთან, რევაზ გორგილაძესთან, და მეც ამის იმედით აღვუთქვი დახმარება ალი იხსანს და მის მეგობრებს.

დღეს მანქანა არ გვყავს. ეს ერთის მხრივ კარგია.. მართალია, ნაკლებს ნახავ, მაგ-რამ — საფუძვლიანად. ალი იხსანმა გზადაგზა სტამბოლელი კოლეგები მოინახულა, რაღაცაზე მოელაპარაკა. შემდეგ უეხით გავუყევით ქუჩას. უფრო წიგნის მაღაზიებისა-კენ უჭირავს თვალი. ვატუობ, მისი ფიქრები მომავალი ტურისტული ბიუროს ირგვლივ ტრიალებს.

— მაღაზიებში ვერაფერს ნახავ საქართველოზე, კავკასიაზე, — მეუბნება, — საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ვერ დავუკავეთავთ თქვენთან ქართულ ალბომებს, ბუკლეტებს, პროსპექტებს?

გაგრძელება. „იხ. „კოროხი“ № 6, 1989, № 1.

მეკიოთხება და უნდა ვუპასუხო, მაგრამ შეიძლება ეს თუ არა, მე არ ვიცი. სანახევ-
როდ ვპირდები, ვნახოთ, გავიკიოთხავ-მეოქი. თურქეთში გასამგზავრებლად რომ ვემზადე-
ბოდი, მეც ვეძებდი ჩვენს მაღაზიებში ამდაგვარ ბუკლეტებს და ფოტოებს, მაგრამ ვაბე-
ვრი ვერაფერი აღმოვაჩინე, მით უფრო — ქართულ ენაზე.

სარფის სასაზღვრო კარის გახსნამ ბევრს გაულვიძა საქართველოსთან დაახლოების
სურვილი, არა მარტო ტურისტული მარშრუტით სამოგზაუროდ, ერთმანეთის მისაწვე-
ვად, არამედ ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის დასამყარებლადაც. კომერციისა
ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ვგრძნობდი, რაღაც აფერხებდა ასეთი სურვილის პრა-
ქტიკულად განხორციელებას. ამის უპირველეს მიზეზად ასახელებენ საბჭოთა მანეთის
არაკონვერტიულობას, მის დაბალ პრესტიუს მსოფლიო სავალუტო ბაზარზე. ეს ბევრჯერ
გვიწვნია უველას, ვინც ტურისტული საგზურით, მივლინებით, ან მიწვევით ვყოფილვართ
საზღვარგარეთ. მსოფლიოს უველა ქვეყანაში შეიძლება ადგილობრივ ვალუტაზე გადა-
ახტრდათ ამერიკული დოლარი, ინგლისური სტერლინგი, გერმანული მარკა, შვეიცარიუ-
ლი ფრანკი, იტალიური ლირა, იაპონური იუანი... გარდა საბჭოთა მანეთისა. თითქმის
უველა ქვეყნიდან შეიძლება ნებისმიერი რაოდენობის ფულის გატანა... გარდა საბჭოთა
კავშირისა. მართალია, გაზეთი „იზვესტია“ პერიოდულად გვაუწყებს, რომ ერთი ამერიკ-
ული დოლარი უდრის ჩვენებურ 63-64 კაპიკს. მაგრამ ამავე დროს ისიც უველამ ვიცით,
რომ ნამდვილ ფასებს განსაზღვრავს, ეგრეთ წოდებული, „შავი ბაზარი“, სადაც ერთი
დოლარი დღეისათვის 15-17 მანეთი ლირს, თუ მეტი არა.

არაკონვერტული მანეთისა და სავალუტო კურსის პრობლემებზე საკმაოდ ბევრი
წერილი წავიკითხე ჩვენს პრესაში, საიდანაც ასეთი დასკვნა გამოვიტანე: შეიძლება ეს
საქმე მოწესრიგდეს 15-20 წელიწადში, ისიც იმ შემთხვევაში, თუ განვახორციელებთ
ფინანსურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა მთელ კომპლექსს, რაც ძალზე საეჭვოა.

საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელად არსებობს კიდევ ერთი გზა, უცხოურ ფირ-
მებთან და კომპანიებთან საქონლით ანუარიშსწორება. ჩაგრამ აქაც ბევრი დაბრკოლებაა,
უპირველეს უოვლისა, ჩვენი პროდუქციის დაბალი ხარისხის გამო, წლობით უძრავად
რომ დევს შინაურ ბაზარზე.

ბევრი ჩვენებური დაკავშირებულია ვაჭრობასთან, მშენებლობასთან, ტურიზმთან.
მათ მრავალჯერ გამოთქვეს სურვილი საქართველოსთან ურთიერთობის დასამყარებ-
ლად, გვთავაზობენ საინტერესო და სასარგებლო წინადადებებს, ერთობლივი სამრეწვე-
ლო საწარმოების, დასასვენებელი კომპლექსების აგებას, ჩვენთვის საჭირო საქონელს,
მაგრამ, სამაგიეროდ, ითხოვენ ბეწვეულს, მარმარილოს, რკინეულს; სხვა პროდუქციას;
რაც ჩვენთანაც დეფიციტად ითვლება.

შეიძლება ჩემი ერუდიცია არ მაძლევს უფლებას, აქტიურად ჩავერიო ამ მეტად
სპეციფიკური პრობლემის გადაწყვეტაში, მაგრამ, დამერწმუნეთ, ძალზე დამამცირებე-
ლია, როცა უცხოეთში, შენს გვერდით ლებულობენ უველანაირ ვალუტას, საბჭოთა მა-
ნეთი კი მხოლოდ სუვენირად თუ გამოდგება.

ალბათ, ჩემი თაობა ვერ მოესწრება ამას, მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც უნდა დად-
გეს დრო, როცა საბჭოთა მოქალაქე სალაროდან გამოიტანს ნებისმიერ თანხას და უოვ-
ლებარი ვიზის, მიწვევის, რეკომენდაციისა და ნებართვის გარეშე რკინიგზის ან აერო-
პორტის სალაროში აიღებს ბილეთს ნებისმიერ ქვეყანაში გასამგზავრებლად, როგორც
ეს თითქმის უველა სახელმწიფოში ხდება.

— მოდი, მეტროთი წავიდეთ, — მეუბნება ალი იხსანი.

გაკვირვებით შევხედე. აქ ჩამოსვლამდე რომელილაც გაზეთში წავიკითხე, რომ
თურქეთს მეტრო არა აქვს, პირველი მეტროპოლიტენის მშენებლობა ახლა იწყება ანკა-
რაში. არა და, ალი იხსანი, ეტუბია, არ ხუმრობს, ქვემოთ მიმიძლვება. ირგვლივ უგვ-

ლაფერი ისეა, როგორც ნამდვილ მეტროში: მომსახურე პერსონალი, მბრუნავი ტურნი-კეტი, ყულაბა, რომელშიც მგზავრები უშვებენ ლითონის მონეტებს. ჩამოდგა ვაგონები, რომელთა კარები პნევმატურად იღება და იხურება. ჩავსხედით. დავიძარით. არ უკავშირდეთ რამდენ ხანს მივდიოდით. ზემოთ რომ ავედით, ალი იხსანმა ამიხსნა, რომ მეტროს ხაზის სიგრძე სულ 210 მეტრია. იგი ფაქტიურად მიწისქვეშა გადასასვლელია, უფრო სწორად — ფუნიკულიორი, რომლითაც მგზავრები აღიან და ჩამოდიან პატარა გორაკზე. ასეა თუ ისე, მას მეტროს ეძახიან და სტამბოლელები ამაყობენ იმით, რომ თურქეთში პირველი მეტროპოლიტენი მათ ქალაქშია.

ალბათ, ოთარმა უთხრა, იმ დღეს სასაფლაოს ნახვა რომ ვერ მოვასწარით, ალი იხსანი შემეცითხა, რომელი ვნახოთ, აზიაში თუ ევროპაში? იქნებ ორთავეში-მეთქი. ასე გადავწუვიტეთ. ალი იხსანი ექსიშეჲრელია, მაგრამ, როგორც სჩანს, კარგად იცნობს სტამბოლს, ბოსფორის სანაპიროს გასწვრივ მითითებს:

— წინათ სასაფლაოებისათვის ადგილი ქალაქის ცენტრში იყო გამოყოფილი. თან-დათან მთელი ეს ტერიტორია ახალმა საცხოვრებელმა კვარტალებმა და პარკებმა დაიკავეს. ძველი სასაფლაოებიდან დარჩა მხოლოდ ორი: ეიიუბი — ევროპაში და უსკიუ-დარი — სტამბოლის აზიურ ნაწილში.

გალათის ხიდიდან კარგად მოჩანს მთის კალთებზე შეფენილი საფლავის თეთრი ქვები და მარადმწვანე კვიპაროსები. ალი იხსანი მიხსნის რომ კვიპაროსი თურქებისათვის მწუხარების, სიმშვიდის, ავრეთვე ალაპის ნება-სურვილისადმი მორჩილების სიმბო-ლოა. კვიპაროსები ჩვენთანაც ამშვენებენ სასაფლაოებს, ეკლესიისა და მონასტრების ეზოებს; ალბათ, იმიტომ, რომ ისინი ქარში არ შრიალებენ და მყუდროებას არ არღვე-ვენ.

საფლავებიც დიდად არ განსხვავდება ჩვენებურისაგან. ესეც ბუნებრივია, იმ ქვეუ-ნად უველა თანაბრდება: ბრძენიც და ბრიუვიც, მდიდარიც და ლარიბიც. საფლავის მარ-მარილოს ქვები ორნამენტებითაა დამშვენებული. თუ მათზე ფესია ამოკვეთილი, ესე იგი, მამაკაცია დასაფლავებული, ხოლო თუ დოლბანდი — აქ ქალი განისვენებს. ზო-ვიერთ ქვაზე წარწერაა არაბულ და თურქულ ენებზე. მინდა ვისარგებლო ერთი ჩვენე-ბური უურნალისტის თარგმანით: „კეთილი და ლატაკი ისმაილ-ეფენდი, რომლის სიკვ-დილმაც დიდად დამწუხებელი მისი მეგობრები, 70 წლის ასაკში დავსნეულდი სიყვარუ-ლით და ლაგამამოღებული გავჯირითდი სამოთხეში“; „გამვლელო, ილოცე ჩემთვის, მა-გრამ, გთხოვ, ნუ მოიპარავ ჩემს საფლავის ქვას!“ ერთ-ერთ ქვაზე, რომელზეც ამოკვე-თილია ნუში, კვიპაროსი და ატმის ხე, ასეთი წარწერაა: „მე დავრგე ეს ხეები, რათა ადამიანებმა იცოდნენ ჩემი ბედი. მე მიყვარდა საროსტანიანი, ნუშისთვალება ქალიშვი-ლი, მაგრამ ისე ვეთხოვები ამ მშვენიერ ქვეუანას, რომ ვერ ვიგემე ეს ატმები“. კარგ ამინდში სტამბოლელები სასაფლაოს ხშირი სტუმრები არიან. ოჯახებით მოღიან აქ დასასვენებლად, დროს გასატარებლად. გადამეტებულ და გაუთავებელ გლო-ვას იქნებ ასეთნაირად სჭობს გარდასულთა მოგონება. საერთოდ, მუსლიმანები უფრო ადგილად იტანენ მწუხარებას, ახლობლის გარდაცვალება ლვთის ნებად, ესე იგი, კან-ნიერ მოვლენად მიაჩნიათ.

ოფიციალური ისლამი უარყოფს „წმინდანობის ინსტიტუტს“, მაგრამ ბევრს სჭერა მისტიკური ძალისა. ხალხში არსებობს ლეგენდები ცალკეულ ცნობილ პიროვნებებზე, რომელთა საფლავებთან მოღიან მოწმუნენი, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები მათი ცხოვრების ჩაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის, დიდი საქმის წამოწყების, მოგზაურობის, სპორტული შეჯიბრების წინ. მოღიან ქალები, რომლებიც ევედრებიან ლმერთს ბედნიე-რად გათხოვებას, დაორსულებას.

თავად ეიიუბი, ვის სახელსაც ატარებს სასაფლაო, ლეგენდარული პიროვნებაა.

შეშვილე საუკუნეში იგი, როგორც ალამდარი, წინ მიუძღვდა არაბთა ლაშქარს კონსტანტინოპოლის აღებისას. ეიიუბი ამ ბრძოლაში დაიღუპა. შემდეგ თურქებს მისი საფლავი აღმოუჩენიათ და იმ ადგილზე ერთერთი უველავე დიდი და ლამაზი მეჩეთი აუგიათ.

ცრუმორშმუნეობაც საკმაოდაა ფეხმოკიდებული. ბევრი ერიდება დანგრეულ სახლებს, მიტოვებულ საფლავებს და აბანოებს, სადაც შეიძლება ავი სულები იყვნენ დაბუღებული.

ერთი უცხოელი მოგზაური იგონებს, რომ მისი გამოჩენა სოფლებში საოცრად აფრიკისობდა მცხოვრებლებს, განსაკუთრებით, ქალებს და ბავშვებს. შემდეგ შევიტუვე, რომ მათ ჩემი თვალები აშინებდათ, რადგანაც ცისფერი „ავ თვალად“ მიაჩინიათო. (მე მეონი, ჩვენთანაც); ამიტომ იგი სოფლელებთან შებვეღრისას შავ სათვალეს იკეთებდა.

მაგრამ თურქთა შორისაც საკმაოდაა ცისფერთვალიანები. მათ ბავშვობაში ცისფერ გდივს ჩამოჰკიდებდნენ, ხოლო მშობლები თავს ამ სიტუაცით იმშვიდებდნენ — „მაშალლა“, ესე იგი, ასე ინება ალაპარა. ასეთივე წარწერაა ბევრ ავტომანქანაზე, ალბათ, ავარი. ის ასაცილებლად, მაგრამ, მე რომ თურქეთში ავტოქაოსი ვნახე, არა მგონია, ამ წარწერამ უშველოს ცისფერთვალება მძღოლებს.

ნასაღილევს ალი იხსანმა მკითხა:

— ხომ არ დაიღალე?

რა თქმა უნდა, დავიღალე, თანაც საღამოს საკმაოდ აცივდა, მაგრამ მაინც მხედვებასუხე:

— არა, არ დავღლილვარ.

— მაშ ზოოპარკში წავიდეთ.

— სად?

— ზოოპარკში.

მხეცები ძალიან მიუვარს, მსოფლიოს ბევრ ზოოპარკში ვყოფილვარ, მაგრამ სახლში წასვლა ახლა უველაფერს მირჩევნია.

— იქნებ შემდეგისათვის გადაგვედო, ახლა ქალაქგარეთ გასვლა...

— აქვეა, სულ ახლოს, — ეს არგუმენტიც გამიბათილა ალი იხსანმა.

რაღას ვიზამდი. წავიდეთ-მეთქი. თანაც მომეჩენა, რომ ალი იხსანს რაღაც ეშმაკურად აუცილებლად თვალები. ვნახოთ ერთი, რა ზოოპარკი აქვთ სტამბოლში ასეთი!

მთავარი ქუჩიდან გადავუსვიეთ და გალათას სიღისკენ დავვეშვით. ალი იხსანი ერთ ვიწრო ჩიხთან შეჩერდა, აქ არის ზოოპარკიო. ჩავუბვიეთ. ქუჩა ხალხით იყო სავსე, სულ მამაკაცებით, უწვერულვაშოებით და სანდაზმულებით. ისინი ჯგუფ-ჯგუფად იღგნენ ვიტრინების წინ. მაგრამ შემინული კედლების იქით მხეცები კი არ მოსჩანდნენ, არამედ—ქალები, ნახევრადშიშველი და თითქმის შიშველი ქალები, ფერად-ფერად საბანაო კოსტიუმებსა და გამჭვირვალე პერანგებში.. ასეთი რამ თითქოს არ უნდა გამკვირვებოდა, გამონია, მინახავს კიდეც რომში, ვენაში, ლათინურ ამერიკაში... პარიზი ხომ საქვეყნოდ განთმულია ასეთი ადგილებით სენ დენის ქუჩაზე, პიგალის ბოედანზე, ელისეის მინდვრებზე და ბულონის ტუეში, მაგრამ პარიზი მაინც პარიზია, აქ კი, მუსლიმანური ასკეტიზმის ქვეყანაში, სადაც ქალებმა არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მოიხსნეს ჩადრი, გამოაჩინეს სახე, მათი ასე დედიშობილად დანახვამ მართლა გამაოცა.

კარების წინ იღგნენ მიმპატიურებლები, რომლებიც აქებდნენ თავიანთ ქალებს, როგორც საქონელს, შეიძლება ფასსაც აცხადებდნენ. თავად ქალები საოცარ გულგრილობას იჩვენდნენ უველასა და უველაფრისადმი, რაც მათ ვარშემო ხდებოდა. ალბათ, სცილდათ. ელექტროლუმელებს ეფიცენტოდნენ, ბანქოს თამაშობდნენ, სივარეტს ეწეოდნენ. მათ შორის იყვნენ სრულიად ნორჩებიც და მოხუცებიც. ახალგაზრდები უფრო დალლილად

გამოიყენებოდნენ. ალბათ, მათზე მეტი მოთხოვნილება იყო და ფასიც მეტი ეჭოთ. უოგჩერ უაზრო, არაფრისმთქმელ მზერას გამოაპარებდნენ მოჯარული მამაკაცებისაკენ. ერთმა შესნიერებულმა ქალბატონმა რატომლაც ჩემზე შეაჩერა მზერა და ალაზანი ჩამიკრა. ფათერაკების მაძიებელ მდიდარ უცხოელად თუ ჩამოვალა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩემი მორალური სიმტკიცე ვერაფრით შეარყია. მამაკაცთა შორის სკარბობდნენ ტურისტები, მეზღვაურები, ჭარისკაცები. როგორც ჩანს, ეს ქუჩა სტამბოლის ერთ-ერთი ლირსშესანიშნაობაა. უოველ შემთხვევაში, ჩემზე ამ სურათმა ამაზრზენი შთაბეჭდილება დატოვა. აქ უოცნით მე უფრო უხერხულად ვგრძნობდი თავს, მაგრამ ეს ქალები უმ ავხორცულ ვნებებს არ მოუყვანიათ აქ, ისინი მუშაობდნენ, ისინი იყიდებოდნენ, როგორც ნივთი. ესეც პროფესია იყო, მსოფლიოში უველაზე უძველესი პროფესია. ორი ათასი წლის წინათ დანგრეულ ქალაქ პომპეიშიც მინახავს საროსკიპოები, რომელთაც ორ-ორი სარკმელი ჰქონდათ, ერთი — ჩვეულებრივი, ხოლო მეორე, — უფრო დაბალზე, ცოლიანებისათვის, მოლარეს მამაკაცის სახე რომ არ დაენახა.

როგორც მითხრეს, თურქეთის პარლამენტში, პრესაში, ბევრჯერ გამართულა დეპარტები პროსტიტუციის, ამ „სოციალური ბოროტების“, ქალის მონური მდგომარეობის ასაკრძალავად. მაგრამ გამოჩენილ დამცველებიც: ისინი ამტკიცებენ, რომ პროსტიტუცია, მართალია, ბოროტებაა, მაგრამ იძულებითი ბოროტება, საზოგადოებისათვის აუცილებელი, თუნდაც მარტოხელა ადამიანებისათვის; ამასთან იგი საჭიროა ახალგაზრდების სექსუალური აღზრდისათვის. არის სხვა პრობლემაც: რა უნდა უყონ ამ ბეჭისაგან განწირულ ქალებს, რომელთა უმეტესობა გაჭირვებამ მოიყვანა აქ და არსებობის სწრა არაეითარი საშუალება არ გააჩნია.

მთავრობა დროებით დათმობაზე წავიდა, მაგრამ სრული წესრიგი მოითხოვა სამედიცინის მეპატრონეებისაგან, აგრეთვე მკაცრი კონტროლი — ქალების ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით შიდსის მოძალების გამო. ამჟამად ამ საჭმეს ემსახურებიან დაჭირავებული პოლიცია, სამედიცინო პერსონალი, აღვოკატები. გარეგნულად თითქოს უცველავერი რიგზეა. წესრიგი არ ირლვევა, დებოშები არ ხდება, ალკოჰოლი აკრძალულია, მაგრამ არავისათვის არაა საიდუმლო, რომ პროსტიტუცია მჭიდროდაა დაკავშირებული ბოროტმოქმედთა იატაკებება სამყაროსთან. უპირველესად ეს ეხება ქალების ახალ-ახალი პარტიების შოვნას. ზოგიერთ მათგანს ბავშვობაში იტაცებენ, ზოგიერთებს კიდევ ლარიბი მშობლები ჰყიდიან. ბევრია ისეთი, რომლებიც სოფლებიდან ჩამოვიდნენ სამუშაოზე მოსაწყობად, ფეხი აუცილათ ცხოვრების მოლიპულ გზაზე, რამაც გალათის საროსკიბოებამდე მიიყვანა.

დღეისათვის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა საქმაოდ აქტიურად მიმდინარეობს. პრესა, ტელევიზია სისტემატურად აქვეყნებენ ცნობებს მაფიოზთა, კონტრაბანდისტთა, ნარკოტიკების, პორნოგრაფიის გამსალებელთა ახალ-ახალი ჯგუფების ლიკვიდაციის შესახებ.

დამნაშავეობის ცენტრად სტამბოლში ითვლება გალათის ხიდის ირგვლივ მდებარე სანაპირო რაიონი, რომელსაც ბეიოლლუ ჰქვია. განსაკუთრებული პოპულარობით ხარგებლობენ ყალთაბანდები, რომელთა ხელოვნებამდე ასულ ხელობაზე ლეგენდები დადის. მათ საქმაო აღგილს უთმობს პრესაც. მთელმა სტამბოლმა იცის ისტორია ვინმე ობიექტისა, რომელსაც ჭრელ-ჭრულა სამოსისათვის მეტსახელად „ხოხობი“ დარქეს. ამბობენ, რომ ამ „სოხობმა“ სტამბოლში პროვინციებიდან ჩამოსულ მდიდარ კომერსანტებს შიპულა ტრამვაი, ტროლეიბუსი, ხოლო ერთ-ერთ მათგნს — გალათის ხიდიც. ალი იხსანი გარწმუნებდა, რომ „ხოხობმა“ რომელილაც გულუბრუვილო კლიენტს მიჰყიდა უნივერსიტეტთან აგებული კოშკი, რომლის საათზეც თავიანთი საათების გასასწორებლად სტამბოლელები გარკვეულ თანხას გადაუხდიდნენ მის მეპატრონეს. ჰქონდა კიდევ სხვა



გრანდიოზული გეგმები, შაგალითად, ბოსფორის ხიდის გაყიდვა, მაგრამ მისი განხორციელება არ დასცალდა. ზუსტად არავინ იცის, სიკვდილმა შეუშალა ხელი, თუ პოლიციამ. როგორც ამბობენ, ოსმანი „ხოხობი“ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა, მაგრამ უშუალო მნახველი მე არ მინახავს. შეიძლება მისი არსებობაც ისეთივე ლეგენდაა, როგორიც ჩვენი კვაჭი კვაჭანტირაძისა, მავრამ უსალა ვალიარო, რომ კვაჭის გაკვაჭული საქმეები მისი თურქი კოლეგის ყალთაბანდობ.. ან ანლოსაც ვერ მივა.

ჩვენს გარშემო ბევრი ფოტოპარატით იყო მაგრამ არ შემიმჩნევია, რომ ვინმეს მოენდომებინოს აქაური პიკანტური კადრების გადაღება. ან ეს აკრძალულია და უველამ იცის, ან კიდევ ეუხერხულებათ. რა თქმა უნდა, არც უსის ისსანს გაუხსნია თავისი „კოდაკი“. მაგრამ დღის განმავლობაში, სადაც არ ვიყავით, ფირი არ დაუზოგავს. ვეხუმრებოდი, ოდესმე თუ მივიღებ ამ ფოტოებს-მეთქი. გამოცდილება მალაპარაკებდა ამას. მიიღებო, მპირდებოდა ის, როგორც უველა მოყვარული, თუ პროფესიონალი ფოტოგრაფი ჩვენში და უკარისით აღი ისსანი ამ საქმეშიც სიტუაციის კაცი გამოდგა. ალბათ, ამატომაც შეიარა მან რამდენჯერმე თავის კოლეგებთან ფოტოატელიებში, ხოლო გამოშეცილებებისას ჩამაბარა მშვენიერი ალბომი, რომელშიც მთელი ჩვენი იმდღვანდელი თავიადასავალი იყო ჩაფოტოგრაფებული.

მათ შორის ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია ბრწყინვალე კადრები აია-ხოციიდან, მეპმეთ მეორის სასახლე — მუზეუმიდან და ცისფერი მეჩეთიდან. დიახ, მოვინახულე მე იმ დღეს ყოველივე ეს, მაგრამ მკითხველმა უნდა მაპატიოს, რომ ვერც ურთი სტრიქონის დაწერა ვერ შევძელი. უველაფერი ეს საკუთარი თვალით უნდა ნახოდა განიცადო ადამიანმა! უველას გისურვებო, გქონდა თ ამისი საშუალება, ხოლო თუ ვერ შესძლებო, გთხოვთ, მეწვიოთ ოჯახში და მე გიჩვენებო ჩემი ახალგაშრდა მეგობრის, ალი ისსანის გადაღებულ შესანიშნავ ფოტოებს.

ამ სტრიქონებს რომ ვწერდი, ბარათი მივიღე თურქეთიდან, ალი ისსანი და ეჭრები მატუობინებლენ, მალე ჩამოვალთ ბათუმშიო. მეც უოცელდებ ველოდები მათ. ასეთი პირობა დავდეთ გამომშვიდობებისას, არ დაგვეკარგა ერთმანეთი. ცხოვრების აურიც სწორედ ესაა, სიცოცხლესაც ეს გიხანგრძლივებს ადამიანს, ვიღაცას ან რაღაცას ძალიან რომ ელი და ეს მოლოდინი მართლდება. სწორედ ამიტომ ითვლიდა პატარა გულნარს: საქართველოში ჩამოსვლამდე დარჩენილ დღეებს. ბარათში ისიც ეწერა, ალი ისსანს ჩამოჰყაცს გულნარა, რომელსაც თანატოლები ელიან თბილისში.

სტამბოლის გარშემო მოგზაურიბიდან რომ დაგბრუნდი, ოთარმა ახალი ამბები დამატვედრა. ზენგინებს დაურეკიათ: ხუთი ძმიდან უფროსი, ბატონი ხასანი, საავად-მყოფოში დაუწვენიათ საოპერაციოდ. ძალიან სწუხს თურმე, რომ ჩვენი შეხვედრა არ შედგა. ექიმები მალე გამომჯობინებას პპირდებიან. ზენგინები დაინტერესებულან, სანამდე ვრჩები სტამბოლში, და ოთარისათვის პირობა ჩამოურთმევიათ, რომ გამგზავრების წინა დღეს მათთან გავატარებ. მანამდე კი ბატონი ხასანის ვაჟიშვილი — ხალითი დღეს სადილად მეპატიუება რუსულ რესტორანში.

კიდევ ერთი ახალი ამბავი: ვახტანგ მალაუმაძეს „ხიდის“ თარგმნა დაუმთავრებია. დღეს ინეგოლიდან ერთი ჩვენებური კაცი ჩამოსულა და იმას ჩამოუტანია, სწორედ დროზე, ვინაიდან ამ დილით შეხვედრაა დანიშნული; თუ სად, სახელწოდება კარგად ვერ გავიგე; კოლეგებთანო, მეუბნება გურამ ხიმშიაშვილი. როგორც ჩანს, ეს ორგანიზაცია თეატრთან და დრამატურგიასთანა დაკავშირებული. პიესაც სწორედ იქ უნდა მივიტანო. ასე მირჩია გურამმა. ცოტა კი მიკვირს, რომ იგი ეს დღეები სულ ჩემს გვერდითაა. არადა, ვიცი, რომ ნავსადგურში მსახურობს, ისეთ ადგილზე, რომ ასე ადვილად ვერ დატოვებს სამუშაოს. ინგლისური იცის კარგად და ბოსფორში შემოსული გემების მოძრაობას არეგულირებს. მოგვიანებით შევიტუვე, ჩემი გულისაოვის

ერთი კვირით ვაუთავისუფლებია თავი, რომ შემდეგ მთელი კვირა, დღიან-ლამიან იმუშაოს. გმადლობთ, გურამ ხიმშიაშვილი!

საპოგადოებაში დაგვხდნენ: მსოფლიოს დრამატურგთა საერთაშორისო ინსტიტუტის აურქეთის განცოცილების თავმჯდომარე რეფიკ ერდურანი და თურქეთის დრამატურგთა ასოციაციის პრეზიდენტი რეჯებ ბილგინერი. ბატონი რეჯების პიესები ფართოდ იჯვმება თურქეთში, ევროპის ქვეყნებში. ამავე დროს იგი ცნობილი პუბლიცისტია. ვაჟეთ „გიუნეშის“ („მზე“) აქტიური თანამშრომელი. აქვს საკუთარი ფირმა, როცელიც თურქეთის, თეატრს, კინოს და ტელევიზიას აკავშირებს მსოფლიოს ცნობილ დრამატურგებთან და სცენარისტებთან. რა თქმა უნდა, მათ ჩემს შესახებ თითქმის არა-ფერი იცოდნენ. მაგრამ დიღად დაინტერესდნენ „ნიდის“ თარგმანით. ბატონმა ბილგინერმა იქცა ჩათვალიერა პირველი გვერდები და მთხოვა, პიესა მისთვის დამეტოვებინა.

რეფიკ ერდურანი ჩვენს კინოსა და თეატრს საკმაოდ კარვად იცნობს, საქართველოში ნამუოფია, შეხვედრია კინოსა და თეატრის გამოჩენილ მოღვაწეებს, კულტურის მინისტრს ვალერი ასათიანს. ამ ორიოდე წლის წინათ სტამბოლში ყოფილა კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ია გამრეცელი.

ძალიან გულთბილად მოიგონა ბატონმა ერდურანმა ჩვენი სახელოვანი კინორეჟისორი თენციზ აბულაძე, მისი ფილმები „მონანიება“, „ნატვრის ხე“. სინანული გამოთქვა, რომ მესამე ფილმი არ უჩვენეს უოვლად უსაფუძვლო რელიგიურ მოსაზრებათა ვამო. მითხა, რომ ვერანდა მოლაპარაკება თენციზ აბულაძესთან თურქულ-ქართული ერთობლივი ფილმის ვადალების შესახებ. (ვიორგი საკაძეზეც ყოფილა საუბარი). ბატონი თენციზი დაინტერესებულა ამ იდეით, თითქმის თანხმობაც მიუცია. არ ვიცი, რამდენად რეალურია ეს შეთანხმება, მაგრამ ერთხელ კიდევ ვიგრძენი თურქეთის კულტურის მოღვაწეთა დაინტერესება საქართველოთი.

პატარი ერდურანი შემცირისა, იქნებ თქვენ გავიჩნდეთ ერთობლივი ფილმისათვის სცენარის, დაწერის სურვილიო. მტკიცე პირობა ვერ მიღეცი, თუმცა გამახსენდა დიდი ხნისწინანდელი იდეა, რომელიც მაშინ საინტერესოდ მიიჩნიეს ჩემმა მეგობარშა კინემატოგრაფისტებმა. ეს ის დრო იყო, როცა ოდნავ გაიხსნა „რკინის ფარდა“, ადამიანებმა იმედით ამოისუნონ ერთმანეთთან მისელა-მოსელის გასაუბრების და დახლოების სურვილი გაუჩნდათ. ერთხელ სარფში აღმოვჩნდი, უურნალისტური დავალებით. ერთ ოჯახში მიგვიწვიეს. მასპინძელმა საზღვრის გამა ვახედა, აი, იმ სახლში ჩემი ნათესავები ცხოვრობენ, იქ კი — ჩემი ცოლისო. თითქმის მთელი სოფელი, ნათესაობა ასე ორად იყო გაუოფილი. შორიდან შეპყურებდნენ ერთმანეთს. მაგრამ ხელს ვერ ართმევდნენ, სიტუაცია ვერ აწვდენდნენ. საერთო სიხარულს ცალ-ცალკე ზეიმობდნენ, მიცვალებულს რომ ასაფლავებდნენ; ორი პროცესია მიემართებოდა სასაფლაოსაკენ, საზღვრის აქეთ და საჭლერის იქით. მაშინ გამიჩნდა სურვილი, დამეწერა ამ თემაზე კინოსცენარი, რომლის სიუცეტი დახლოებით ასე გამოიყურებოდა: ორი ქმა ცხოვრობდა გალმა-გამოლმა, სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ ავბედობის უამს. ცალ-ცალკე დაკაცდნენ და დაოჯახდნენ. როგორც კი უასენდა ერთმანეთის მონაბულების უფლება, გალმელმა ქმამ გადაწყვიტა. მოენახულებინა ვამოლმა მცხოვრიები ქმა. ბევრი ურჩიეს შინაურებმა, კომუნისტები სანდონი არ არიან, რაიმე ფათერაკს არ გადაეყაროთ, მაგრამ გალმელ ქმას ვერაფრით ვერ გადაათქმევინეს განზრასვა. დაიბარა, როგორც კი ჩავალ, თქვენს დასაშვიდებლად აივანზე წითელ საბანს გადმოვატენო. პირდაპირი ვზით ნახევარი საათის სავალი თუ იქნებოდა, მაგრამ სარფის სასაზღვრო კარი მაშინ ჩაკეტილი იყო და გალმელი ქმა დააღვა შორეულ გზას. გავიდა რამდენიმე დღე, ერთი კვირა, ნახევარი თვე, მაგრამ აივანზე გაღმოფენილი წითელი საბანი არა და არ ჩანდა. აქაური ქმის ოჯაბშიც შეშფოთდნენ, რადგან გალმელი ქმა მოსვლას აგვიანებდა. გალმელებს იმედი რომ გადაეწურათ, ოჯაბის



უფროსი დალუპულად ჩათვალეს და კივილი ასტეხეს. გამოლმელებმა ეს უბედურების ნიშნად ჩათვალეს და თვითონაც შეიცხადიდა. ამასობაში კი გაღმელმა ძმამ მთელი თუ-რქეთი, ნახევარი ეკროპა მოიარა, შემდეგ მოსკოვში ჩავიდა, იქედან — თბილისში, თბილისიდან — ბათუმში, ბათუმიდან — სარფში და ძმის ოჯახში მაშინ გამოცხადდა, როცა საზღვრის გაღმაც და გამოლმაც უკვე გამოტირებული ჰყავდათ.

ერთი სიტყვით, ასეთი ფილმის იდეა დამებადა მაშინ, რომელიც განუხორციელებელი დარჩა ისევე, როგორც სხვა ბევრი ამდაგვარი ჩანაფიქრი. მაშინ შეიძლებოდა ამ თემაზე საინტერესო ფილმის შექმნა, ასლა კი უკვე გვიან იყო. სარფელი ძმები და მათი ნაშიერნი, როცა კი მოესურვებათ, ნახევარ საათში მიაღებიან ერთმანეთს.

ეს ვამასსენდა და ძალიან მომინდა, რომ ასე მოკლედ მაინც გამენდო ჩანაფიქრი, ჩემი მკითხველო.

როცა შეიტყვეს, რომ მე სამსახურებრივად დაკავშირებული ვარ თეატრის მოლვაწეთა კავშირთან, მაშინვე გამოითქვა სურვილი, გაგვეცვალა პიესები, რეჟისორები, მოვებულ ვასტროლები, არა მარტო დედაქალაქის, არამედ პერიფერიული ქალაქების, მავალითად. ბათუმისა და ტრაპიზუნის თეატრებს შორის.

გამომშვიდობებისას ბატონმა ერდურანმა მითხრა, რომ სულ მალე კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, როცა სტამბულში ჩამოვა საბჭოთა კავშირის თეატრის მოლვაწეთა კავშირის დელეგაცია.

თითქმის უოელდე ვიღაცას ვბედებოდი რესტორანში. ძირითადად — ჩვენებულებს. არა მხოლოდ სადილად და ვახშმად, საქმიანი საუბრისათვისაც. შეტვედრის დრო და აღგილი რამდენიმე დღით აღრე დგინდებოდა. რესტორნის დონე და პრესტიულ სხვადასხვანაირი იყო. იმის მიხედვით, თუ ვინ გპატიუებდა, რა შეძლებისა და მდგომარეობის იყო მასპინძელი. ერთბეჭ მილიონერთა რესტორანში მიგვიწვიეს ვახშმად. თავიდან უარე დავდექი, არ მინდოდა მასპინძლები ხარჯში ჩამეგდო, მაგრამ არ ჰქნეს, რით ვართ სხვებზე ნაკლებიო! კარებთან მდგომი შვეიცარი ისე შემოგვევება, თითქოს მთელი დღე ჩვენ გველოდა. რესტორანში არ იყო ბევრი სალხი. ამიხსნეს, მოვაიანებით მოვლენ, ძირითადად უცხოელებიო. ჩვენს სუფრას ერთდროულად რამდენიმე ოფიციანტი ემსახურებოდა. თუმცა მომეჩვენა, რომ ერთი კაციც საკმარისი იქნებოდა ამისავის. რესტორნის პატრონმა, ალბათ, ძალიან ცნობილ კაცად ჩამოვალა, რამდენჯერმე მოვაინახულა, რაიმეს ხომ არ ინებებოთ. მაგრამ მაინც მომეჩვენა, რომ გუშინ მე და ალი იხსანმა უფრო გემრიელად ვისადილეთ პატარა კაფეში, რომელსაც ორი კაცი ემსახურებოდა.

ერთხელ თევზის რესტორანში დამპატიუეს. მისმა პატრონმა წიგნისხელა მენიუ დამიღო წინ და ამაუალ განმიცხადა, რომ მათთან უველანაირი კერძია, რაც კი თევზთანაა დაუკავშირებული. მე, რა თქმა უნდა, მისი ნათევამის შემოწმება არ დამიწყია, წვერა და ხრამული არ მომითხოვია, მაგრამ ზოგიერთი თევზის სახელი მართლა არ გამეგონა. სუფრა კერძებით რომ გაივსო, უცებ ძალიან მომინდა, რითიმე მეჯობნა მთელს სტამბოლში განთქმული თევზის რესტორნის პატრონისათვის, პორტფელი გავხსენი და, თითქოს შემთხვევით, შავი ხიზილალა ამოვილე; ეფექტი გრანდიოზული იყო. რესტორნის პატრონის ქილა ხელში სასოებით აიღო, შეათვალიერა, სინათლეზე გახედა და ისე შემაცერდა, რომ ალბათ, მიღიონერად ჩამოვალა. ჩემი ქვეყნის პრესტიული ავწიე ამით. ის რა იცოდა, რომ რამდენიმე ქილა ხიზილალის საშოვნელად თვით ვაჭრობის მინიტრი შევაწყებე.

ძალით ზენგინმა, ალბათ, ჩემს პატივსაცემად, რუსული რესტორანი შეარჩია. შეიძლება ოდესლაც აქ რაღაც იყო რუსული, მაგრამ ახლა მხოლოდ სახელი შემორჩია ძველი და კიდევ ერთი-ორი თავი კერძი. არც რესტორნის პატრონმა, არც ოფიციანტმა ერთი

ლერი სიტუაცია არ იციან რუსულად. ჭერქერობით ქართული რესტორანი არა გვაქმნა, მომიბოდიშა ხალითმა. ჩვენი კონსულის — ენზა სოხაძის ნათქვამი გამახსენდა, გამოგი იქნება,. თუ ჩვენებურ რესტორანს გავხსნით სტამბოლშიო. ხალითმა ზენგინების ფირმის ნაგები შენობების პროსპექტები რომ მიწვენა, ყოველ შემთხვევაში, სიტუაცია ჩამოვალდე, ჩვენს თეატრის მოღვაწეთა კავშირს ქობულეთის ზღვის სანაპიროზე შესანიშნავი აღგი-ლი აქვს დასასვენებელი სახლის ასაგებად, კორტანიძეები ხომ არ მოკიდებენ ხელს ამ საქმეს-მეტვი. საკონსულომ, სტამბოლში ქართული რესტორნის გახსნა რომ შემოგვთავა-ზა, ისიც ვუხსენე. ვნახოთო, მითხრა ხალითმა, ოჯახში რომ გვეწვევით, იქ ვიღოპარა- გოთო.

— Здравствуйте, господа! — გემოვნება.

ტანმალალი მოხუცი მამაკაცი გამოემართა ჩვენსკენ. გრძელი თეორი თმები ეფინა
ვარებზე. ოთხმოცი წლის მაინც იქნებოდა, თუმცა ჯერ კიდევ მხნედ გამოიყურებოდა.
საკმაოდ შელანძლული შავი კოსტიუმი ეცვა, მაგრამ ამ კაცში მაინც იგრძნობოდა ღირსე-
ბა, არისტოკრატიულობა. ალბათ ჩვენმა ქართულმა მიიპყრო მისი უურალლება.

რაკი რუსულად მოგვესალმა, მეც ასე ვუპასუხ.

— Назаров Юрий Петрович, с семидесятилетним эмигрантским стажем!
სუვერასთან მივიპატიუეთ.

— Вы из Кавказа?

მე ავუხსენი, რომ ვარ ქართველი, საქართველოდან.

ძალის გაერთიანდა.

— Знаю я ваших.

როცა გაიგო, ბათუმიდან ვიყავი, სასე შეეცვალა, რაღაც გაძასენდა თითქოს და
სურვილი გაუჩინდა, ჩვენთვის გაეზიარებინა:

— სწორედ ბათუმილან ჩამოვედით სტამბოლში. მაშინ მე სულ ბავშვი ვიცავი.
როსტოკილან გამოექცა ჩვენი ოჯახი ბოლშევიკებს. ასე ვიარეთ ბათუმამდე. მამაჩიმს
კიდევ ჰქონდა იმედი, რომ ოქტომბრის გადატრიალება დროებითი მოვლენა იყო. მაგ-
რამ ბოლშევიკების ჯარმა საქართველოშიც რომ ჩამოაღწია, სხვა გზა აღარ გვქონდა.
ემიგრაციაში უნდა წავსულიყავით. მაგრამ მამაჩიმი ჯიუტი კაცი იყო, კიდევ არ ჰქარგა-
ვდა იმედს, რომ ბოსფორში მდგარი ანტანტის კრეისერები მალე შავი ზღვისკენ აიღ-
ბდნენ გეზს, ნოვოროსიისკა, ოდესას, უმდეგ კი მთელ რუსეთს გაანთავისუფლებდნენ
ამიტომ არ ტოვებდა სტამბოლს, აქედან რუსეთამდე უფრო ახლოა, ვიდრე ჰარი-
დან.

როგორც ჩანს, მაზაროვი რუსული რესტორნის ხშირი სტუმარია. ალბათ, ხალითიც
იცნობს მას; ოფიციანტს ანიშნა და მან კერძი დაუდგა წინ, და კიდევ პიქა არაუი, რო-
მელიც ოდნავ მოსვა და განაგრძო:

— როგორც ყოველ დღეს, იმ დილითაც გავიდა მამაჩემი ზღვის პირას, მჯერით აცი-
ლებდა აღმოსავლეთისაკენ მიმავალ გემებს; რომ შეაგვიანდა, გავედი სანაპიროზე. ცო-
ცხალი აღარ იყო. დედაჩემიც მალე გარდაიცვალა. ჩემი და იტალიელ ოფიცერს გაჲყვა-
რდა მას შემდეგ თვალით აღარ მინახავს. მე სტამბოლში დავრჩი; არა იმიტომ, რომ მა-
მაჩემივით რუსეთში, ჩვენს მამულში დაბრუნების იმედს აღარ ვყარგავდი, არა, უბრა-
ლოდ, არსად არავინ მელოდა, აქ კი, ასე თუ ისე, ნაცნობები მყავდა, როგორმე თავს გა-
ვიტანდი.

ნაზაროვი წალითს მიუბრუნდა, ინგლისურად რაღაც უთხრა. წალითმა სიგარეტი
მიაწოდა, სანთებელით გაუკიდა. ნაზაროვმა კიდევ ერთი ყლუპი არაყი მოსვა და ვან-
გრძო:

— ცხოვრება კირდა, მით უფრო, ჩვენთვის, ვინც ერთ დღეში დავკარგეთ უველა-
ფერი, სამშობლოც, ქონებაც, უფლებაც, ბედნიერებაც. თქვენ, ალბათ, ისტორიიდან
იცით ეს, წაგიკითხავთ, მაგრამ ნანახი და განცდილი სული სხვაა... როცა შენ, გრაფი,
პყიდი სიგარეტებს, უოფილი პოლკოვნიკი შვეიცრად დგას რესტორნის კარებში, მეორე
ქუჩაზე კი მისი ქალიშვილი ვაჭრობს საკუთარი სხეულით...

შევატყვე, რომ მეტრდოტელი უკვე აპირებდა ნაზაროვის გაუვანას, მაგრამ ვანიშნე,
არ გინდათ-მეთქი. რასაც ახლა ვისმენდი, წაკითხულიც მქონდა, თეატრშიც და კინო-
შიც ბევრჯერ მენახა, მაგრამ იმდროინდელი ამბების ცოცხალ მოწმეს პირველად ვხვდე-
ბოდი.

...— იცით, პირველი რესტორნები სტამბოლში რუსებმა გახსნეს, გალათაზე, პერაზე.

— შემდეგ იკითხა: — დრო გაქვთ?

ვუთხარი, რომ დრო ძალიან ცოტა მაქვს, რამდენიმე დღეში უკან მივემგზავრები.

— სამწუხაროა. მე თქვენ გიჩვენებდით იმ ადგილებს, სადაც ჩვენები იმყოფებოდ-
ნენ ოციან-ოცდაათიან წლებში, სახელგანთქმულ რუსულ რესტორნებს — „კარპიჩს“,
„მაქსიმს“, „იაკორს“. იყო კავკასიური რესტორანიც — „ტიგრანა“. მღეროდნენ ბოშები-
სა და კაზაკების გუნდები... სხვათა შორის, მე თქვენებსაც ვიცნობდი, ერთი მათგანი
მინისტრი იყო.

რუსი ნაზაროვი თავისას მისტიროდა, მე კი ჩემი მტკიოდა, იმდროინდელი, რასაც
ასე ივონებს ნიკოლო მიწისშვილი: — „ქართველ კათოლიკეთა მონასტერი აშენებულია
სტამბოლის განაპირა უბანში, რომელსაც ეწოდება ფეირ-იკეი. მონასტერი წარმოადგენს
მაღალი ქვის კედლით გარშემორტყმულ სამსართულიან შენობას, რომელსაც უკან მიღ-
გმული აქვს სამლოცველო, ხოლო შემდეგ პატარა ბალი. ბერებმა ქართველ ემიგრან-
ტებს დიდი დახმარება გაუწიეს იმით, რომ ბინა მისცეს ლტოლვილებს. თითოეულ ოთახ-
ში სამი-ოთხი კაცი ცხოვრობდა, მაგრამ მონასტერში უოფნა მაინც კომფორტი იყო,
ვინაიდან ქართველი ლტოლვილები დღითიდლე ლარიბდებოდნენ... ქართული ჩაიხანე
სასტუმრო „რომას“ გვერდშია, პერას ქუჩაზე, ჩაიხანე წარმოადგენს ქუჩის უბრალო
ჩიხს. ერთ მხარეს მუშაობს ბერძენი, „ჩისტი“ — ფეხსაცმლების მწმენდავი. მეორე
მხრივ თათარი აფუვლებს სამოვარს და მაყალის ცეცხლზე ადულებს თურქულ ყავას.
აქ იყრის თავს სტამბოლის ქართველობა. ესაა მათი კლუბი. სვამენ ჩაის — ვისაც ოთხი
პიასტრი მოეპოვება, ვისაც ოთხი პიასტრი არა აქვს, ის წამოიწყებს ნარდის თამაშს.
თუ მოივო, იქვე შესვამს ნარდში მოგებულ ჩაის. თუ წააგო — წააგო და ისაა. ვერაფერს
უზამ და ოთხი პიასტრი მასზე დარჩება... ქართული საკონსულო პატარა ორსართულიანი
სახლია ნიშანრაშე, მონასტრის ქვევით, ჩვეულებრივი პატარა სახლი. რომელშიც ბი-
ნადრობენ ელჩი გვარგალაძე და კონსული გოგოლაშვილი, ინტერპარტიული კომიტეტი
იყრიბება. პირშავი ნოე ხომერიკი, რომელიც არაფერს არ ლაპარაკობს, მენშეკური პარ-
ტიის მესაიდუმლე ოსმალეთში; შემპარავი კაცი — გენერალი ზაქარიაძე; მუდამ აღშფო-
თებული, როგორც ავარდნილი ქაფი — ლელი ჭავარიძე; საოვალიანი ვალიკო ჭულელი
— მარადიულ ფრენჩიში, იუსტიციის მინისტრი რაუდენ არსენიძე, კოლია ჭუმბურიძე,
კოწია სულაქველიძე.... მოუსვლელება სჭიბდა ჩემს აქ მოსვლას. აბა, რა უნდა ვუთხ-
რა მე ამ კომიტეტს, რომლისგანაც საქართველოში ხსნას მოელის უველა „ელემენტი“.
წამოგცდეს ზედმეტი რამ და, რა გარანტია გაქვს, რომ არ გაგჩეჩავენ აქვე, ქართული
საკონსულოს ბინაზე, ელჩისა და კონსულის თანდასწრებით...“

მეტრდოტელი სულ მე შემომუტებდა, როდის ვუბრძანებდი, გაეყვანა უკვე შემ-
თვრალი ნაზაროვი, რადგან იგი ახლა მისთვის სტუმარის შემწუხებელი აბეზარა იყო,
ხოლო ჩემთვის ტრაგიკული პიროვნება, რომელმაც ოდესლაც ერთ დღეში უველაფერი
დაკარგა, მას შემდეგ კი მხოლოდ მოგონებებით და ილუზიებით ცოცხლობს.

შემდეგ კიდევ შემომთავაზეს რუსულ რესტორანში სადილობა, მაგრამ უარი ვუჟხარი. არ ვიცი, რატომ. შეიძლება იმიტომ, რომ ნაზაროვთან მეორეჯერ შეხვედრას მოვერიდე. თუმცა ჩემთვის არ შემოუჩივლია, მაგრამ მაინც უბედური იყო იგი. რა რეშა უნდა, მას უკვე აღარაფერის იმედი აღარ ჰქონდა.

* * *

ოთარმა ერთხელ კიდევ გამომაწყო საზეიმოდ. მაგრამ ამჯერად შინდისფერი ჰალს-ტუნი გამოიღო გარდერობიდან. ასეთივე ფერის ქსოვილის ნაჭერი აღარ შემოუთავაზებია კოსტიუმის გულისჯიბეში ჩასაჩრელად. შვიდ ნოემბერს საბჭოთა კავშირის ვენერალურ საკონსულოში გამართულ მეჯლისზე ვერ გავუმართლე იმედი.

დღეს ქორწილზე ვართ დაპატიუებული. მეზობლის ქალიშვილი თხოვდება ზედა სართულიდან. შაალუმანმა და ოთარმა გადმომცეს პატარძლის მშობლების ვიწვევა. ხელინთა გადმოვაპირქვავე, დარჩენილ სუვენირებში საჩუქარს დავუწყე ძებნა. თუმცა ოთარი მარწმუნებს, რომ ეს სრულებით არაა სავალდებულო. მაგრამ მე ჩვენს წესსა და ტრადიციებს ვიცავ, რომ ქორწილში ხელცარიელი მისვლა უხერხულია. ბოლოს ბათუმელი მხატვრების სალონში შეძენილი უელსაბამი შევარჩიე, ქართული ორნამენტით. შაალუმანმა შემიქო საჩუქარი.

მდიდრული რესტორანი დაუქირავებიათ საქორწილოდ, ორსართულიანი, მარმარილოს კიბეებით, ბროლის ქალებით გაჩირალდნებული. შავი ლიმუზინებიდან გადმოდიოდნენ ძვირფასქურქიანი ქალები და ელეგანტური მამაკაცები. თვალისმომჭრელად ბრწყინავდა თვალ-მარგალიტი. ირგვლივ იდგა პარიზული სუნამოს სურნელება. ერთი სიტყვით, ვიმუოფებოდი ამა ქვეყნის ძლიერთა შორის. უმეტესობა თაიგულებით მოვიდა. საჩუქრები არსალ სწანდა. აქ არც „წერა“ იქნება, რა თქმა უნდა. იქნებ ოთარი მართალიც იყო. მეც უკვე ვეჭვობ, გამოიჩინება ბათუმის სალონში შეძენილი ოცმანეთიანი საჩუქარი! უოველ შემთხვევაში, ის უელსაბამი გარდერობში არ დამიტოვებია, კიბეში მიდევს.

ირგვლივ არავის ვიცნობ. ოთარი ესალმება ზოგიერთ სტუმარს, შორიდან მაცნობს მათ. უმეტესობა ცნობილი ხალხია, ზოგი — სიმღიდრით, ზოგი კიდევ — მდგომარეობით. მათ შორის ერთი დეპუტატი თუ მინისტრია. მისი მეუღლე, მაღალი, ლამაზი ქალი განსაკუთრებული უურადლებით სარგებლობს. ჩემი აქ უოფნა არავის აკვირვებს და არც აინტერესებს. ასე ენაჩაგდებული ჭერ ქორწილში არ ვყოფილვარ. ოთარი იმით მართობს, რომ რამდენიმე პიკანტურ ისტორიას მიუვება ზოგიერთ მათგანზე. ორი-სამი უცხოელიცაა. ალბათ ისინიც ჩემსავით არიან დაპატიუებული. მაგრამ ჩემსავით მუნჯივით არ დგანან კუთხეში, ინგლისური იციან და სტუმარ-მასპინძლები თავისუფლად ლაპარაკობენ ამ ენაზე. ქართულად მნოლოდ მე და ოსმანი ვსაუბრობთ. ესეც იპყრობს სსვების უურადლებას.

ტაში და მუსიკა გაისმა. მეფე-დედოფალი ამოდის კიბეზე, როვორც ჩვენთან, აქაც დედოფალი თეთრ საქორწილო კაბაშია, მეფე — შავ კოსტიუმში. მშობლები მოჟყვებიან, ასლობლები, მეგობრები. შუა დარბაზში მაგიდა და სკამები დადგეს. გარშემო სიც-პატარძალი და მათი სელისმომკიდენი (ჩვენებურად) შემოუსხლენ. უნიფორმიანი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი წამოდგა, მოკლე სიტყვა წარმოთქვა, სიც-პატარძალს რაღაც შეითხა; მათ დაუდასტურეს, შემდეგ ბეჭდები გასცვალეს და ტაშის გრიალში ერთმანეთი გადატკოცნეს. ერთი სიტყვით, უველაფერი ისეა, როგორც ჩვენთან... სუფრის გარდა. მთელი სუფრა — კედელზე მიღვმული გრძელი მაგიდა, რომელზეც ბუტერბროდებიანი თეოზები დგას. ოციციანტები სათითურისხელა ჭიქებს არყით

ავსებენ. ესაა და ეს. რა თქმა უნდა, ბაჟეს და ჩაქაფულს მე აქ არ მოველოდი, მაგრამ ასეთი შეძლების ადამიანებს უფრო მდიდრული სუფრა ნამდვილად დაშვენდებოდა. არც კონიაკი და შამპანური აწყენდათ. ისიც არ გამკვირვიბია, რომ თამაზა არ აურჩა-ირვიათ, მაგრამ იმან კი გამაოცა, რომ მეფე-დედოფალს თითქმის არავინ აქცევდა უურადღებას, არც შინაური და არც სტუმარი! არავითარი მისალმება, სადლეგრძელო, სურვილი! აქეთ რომ მოვდიოდი, უოველ შემთხვევაში, რაღაც სადლეგრძელოსმაგვარი კი მოვამზადე, მაგრამ უველას ხომ არ დავასწრებ, თქვას ჭერ ვინებ ირიოდე სიტუა! შენც არ მომიკვდე! ოთარს ვეკითხები, ასე დამდურებულებივით სანამდე უნდა ვიჯგო-მეთქი. აქ ასეთი წესია, ბევრს არ ლაპარაკობენო. ვერ გქონიათ კარგი წესი-მეთქი. ოთარი ქართულ სუფრაზე საკმაოდ ხშირადაა ნამყოფი და ამიტომ, ცოტა არ იყოს, უხერხულად გრძნობს თავს. ისევ ჩვენ შევკარით ორკაციანი სუფრა (რა თქმა უნდა, ფეხზე დამდგარებმა), წარმოვთქვით რამდენიმე სადლეგრძელო, რამაც ცოტა სითამამე შემმატა. ღარბაზიც თანდაონ ახმაურდა, ალაპარაკდა. ქალებს ღაწვები შეუფაკლდათ და კიდევ უფრო დამშვენდნენ. ვიღაცები მოვიდნენ ჩვენთან, ერთმანეთი გავიცანით, გამოველაპარაკეთ. ერთი მათგანი უურნალისტი გამოდგა, იმიტომ იყო მოსული, რომ ეს ქორწილი რომელილაც გაზეთში აეწერა! დიდი ამბები კი იქნება დასაწერი!

წასვლის დრო დადგა. შეფე-დოდოფალი კიბის ლაჟში მიმავალ სტუმრებს პელს ართმევდნენ, მალლობას ეუბნებოდნენ. ჩემი რიგი რომ მოვიღა, ოთარმა ახალგაზრდებს რაღაც უთხრა. მათ გამილიმეს და მაღლობის ნიშნალ თავი დაბიჯრეს. უცებ რატომლაც მომეჩენა, რომ ჩემი დღევანდელი პასიურობით საქართველო რამდენადმე დისკრედი-ტირებული აღმოჩნდა და შევეცადე მდგომარეობა დაუყოვნებლივ გამომესწორებინა, უკვე ჩასასვლელად გამზადებულ ოთარს სელი ჩავავლე, გვერდით ამოვიყენე და ჩემი წინასწარ მომზადებული სადლეგრძელო თავიდან ბოლომდე ჩავაბულბულე. ალბათ, ისეთი აღგზნებით ვლაპარაკობდი, რომ ოთარი ძლივს ასწრებდა თარგმნას. ემოციურ მხარეს თუ მოვაცილებ და მარტო სადლეგრძელოს შინაარს დავტოვებ, იგი დაახლოე-ბით ასე გამოიყურებოდა: საქართველო, ალბათ, გაგიგონიათ? მე იქიდან ვარ. (ვინ ვარ ან რა მოხელე ეს ანკეტური მონაცემები გამოვტოვე დროის მოსაგებად, ან ოთარმა საკუთარი ინიციატივით დაამატა), თურქეთში პირველად ვიმყოფები და ამიტომ თქვენი ბედნიერების დღე არასოდეს დამავიწყდება. უველა ქვეყანას თავისი ცხოვრების წესი აქვს და მას სტუმარი უნდა დაემორჩილო. იქნებ ახლა მე ვარლევ ამ წესს, მაგრამ არ შემიძლია ისე წასვლა, რომ არ ვითხრათ ორიოდე სიტყვა, რასაც ჩვენში სადლეგრ-ძელოს ეძახიან. მინდა ვისურვოთ მშვიდობა და ბედნიერება თქვენს ახლადშექმნილ-ოქანში, და კიდევ ბევრი შეიძლი, რომელთაც ექნებათ თქვენშე უკეთესი და ნათელი ცტოვრება... ვარდავდი, რომ პატარძალს მშენიერ სახეზე ჭერ გაოცება გამოხატა, შემდეგ აღტაცება, ბოლოს კი ტაში დამიკრა, როგორც კონცერტზე კარგი ნომრის შემდეგ. სანამ ვლაპარაკობდი, გარშემო სტუმრებს მოეყარათ თავი. სადლეგრძელოს რომ მოვრჩი, სიძეს სავისიტო ბარათი გადავეცი, აუცილებლად გვესტუმრეთ საქართ-ველოში-მეთქი, სელი მაგრად ჩამოვართვი, დედოფალს საჩუქარი გადავეცი, შემდეგ თურქული წესისამებრ ირჩერ ჭვარელინად გადავკოცნე და ქვემოთ სწრაფად დავეშვი. ალბათ, ეს სითამამე დამიფასეს, რადგან უკან ტაში და შეძანილები მომაყოლეს.

სახლში რომ ვბრუნდებოდით, ოთარი კარგა სანს დუმდა. მეც ხმას არ ვიღებდი. მოლად დარწმუნებული არ ვიყავი, მოეწონა თუ არა ჩემი საქციელი, განსაკუთრებით, ბოლო აკორდი, პატარძალი რომ ირჩერ გადავკოცნე. სახლთან მანქანა რომ შეაჩერა, მხოლოდ მაშინ თქვა, ასახელე საქართველო, და მეც თავისუფლად ამოვისუნთქე.

(გაგრძელება იქნება)

ცხოვრება ტქცის

გზის დასაწყისი

ადამიანი, ვისჯედაც ახლა უნდა გიამბოთ, არ არის სოციალისტური შრომის მიზი, არც მრავალი ორდენ-მედალისა თუ რეგალიის მფლობელია, და თუ მაინც ავირჩე მე ჩემს გმირად, მხოლოდ უმთავრესი მიზეზის გამო: მან ამქვეყნად კაცურად ცცოვრა და იმქვეყნად წასულმაც კაცური კაცის სახელი, ადამიანობის ეს უცელაზე დიდი რეგალია დატოვა.

უბრალო კაცი იყო მიხეილ ნაკაშიძე, ქედის რაიონის ერთი ლამაზი ცუკლის, ქოსო-ფლის, მკვიდრის, გლეხკაცობაში გადაგებულ შაქირ ნაკაშიძის შვილი. ჩაიცა ეცნივ იზრდებოდა იგი, უოველგვარი მოქარბებული ყურადღებისა და მოფირების გარეთ. ან კი ის განსაკუთრებული ყურადღება შეხვდებოდა, ისინი ხომ შვილი დელაშვილი იყვნენ და დედის, აიშე კუონიას, გულთბილი ალერსი შვიდად რომ განასალდებოდა, აი, ის ვეშვიდედი თუ მოუწევდა მიხეილს.

1908 წლის 25 ოქტომბერს დაიბადა იგი, (დაიმახსოვრე, მკითხველო, ეს თარიღი, ამ წერილის ბოლოს ამასთან დაკავშირებით ერთ უცნაურ და იშვიათ რამესაც გეტუვი...) ამ წერილის ბოლოს ამასთან დაკავშირებით ერთ უცნაურ და იშვიათ რამესაც გეტუვი...)

ჰოდა, იმას ვამბობდი, ერთად იზრდებოდნენ-მეოქი შვილი დედმამიშვილი: ხუთი ძმა და ორი და. მთელი მისი ბალლობა და ახალგაზრდობა მშობლიურ სოფელსა და ბათუმს არ გასცილებია მიხეილი, და როცა მის ცხოვრებას ეცნობი, გიკვირს, როგორ ჩამოალიბდა, როგორ დაიბადა მასში ასეთი ადამიანური გულის, სიკეთისა და ცოდნის ადამიანი.

მძიმე და ძნელი ბავშვობა ჰქონდა მიხეილს. სკოლა და მასწავლებელი იყო სანატრელი მაშინ. ამიტომ, მისი და მისი და-ძმების წერა-კითხვის პირველი მასწავლებელიც საყვარელი დედა, აიშე, იყო, ის უკითხავდა შვილებს გოგებაშვილის „დედა ენას“ და „ბუნების კარს“. წიგნი რომ შემოელეოდა. ძველ აჭარელთაგან გაგონილ ლეგენდებს, თქმულებებსა და ზღაპრებს უამბობდა, ხალხურ ლექსებს ეტუოდა, რომლებშიც სულ ერთ-თავად სიკეთის გამარჯვებაზე იყო ღაღადი. ალბათ, ამიტომაც არის, რომ შემდგომ მიხეილის ცხოვრებაც სიკეთის სამსახურში, სიკეთეზე ლოცვაში გაიღია და ჩაიფერფლა.

სკოლაში შესაუვანად მამამ ბათუმს რომ ჩამოიყვანა, უკვე საკმაოდ მოზრდილი გიჭუნა იყო. მასწავლებლებმა, გასაუბრების შემდეგ ერთხმად დაასკვნეს, ეს ბიჭი პირველ კლასელებთან არ მიიტოლება, მან უფრო მეტი იცისო. ამიტომ იგი პირდაპირ მესამე კლასში დაუსვამთ, სოლო იანვრიდან მეოთხე კლასშიც გადაუყვანიათ.

წიგნის სიუვარული დედის კალთიდან დაშუვა პატარა მიხეილს. ის კი არა და, შემდგომ სახელოვან პედაგოგს, პროფესიული საქმეც გაცილებით აღრე — თვით ბავშვობაში დაუწყია: ბათუმიდან ქოსოფელში ასული ბიჭი სოფლის ბალლებს, მეტადრე უფროს პიძაშვილებს თავს მოუყრიდა და თვითონ, როგორც უფრო გამოცდილი, ქალაქს ნამაცი უმაწვილი, დაუზარებლად უკითხავდა წიგნებს.

— „ასლაც მახსოვს, როგორი გულმოდგინებით ცდილობდა იგი ჩვენს განათლებას, თვითონ ჩვენსავით პატარა, რატომლაც ნააღრევად დაკაცებულად მეჩვენებოდა. თანატოლებს კი არა, უფროსებსაც მოუსმენიათ მისგან წიგნის ამბები“. — იგონებს დღეს აწყვე იმ შორეულ ამბავს მიხეილის ბიძაშვილი იუსუფ ნაკაშიძე.

ბატონი მიხეილი პატარაობიდანვე ძალზე გულკეთილი, მოყვასი ბუნებისა, რომ იტუვიან, იმთავითვე ლუკმის გამყოფი იყო. ამის დასტურად მისი უფროსი დის ერთი მონათხრობიც გამოდგება:

— იმ დროს ქალაქ ბათუმში ცხოვრობდით, — იგონებს სეფურე სურმანიძე, — ჩემი მეუღლე ხუსნი სურმანიძე მაშინ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ მუშაობდა. მიხეილი პედინსტიტუტში სწავლობდა და ჩვენთან ცხოვრობდა. იგი უკვე კარგი შეღრებული ვაჟკაცი იყო. ამხანაგები ბლომად ჰყავდა. მახსოვს, ერთხელ ზამთარში ჩემმა ქვარჩა ქურთუკი უყიდა. ერთ დღეს მიხეილი სასწავლებლიდან უქურთუკოდ დაბრუნდა. მე შევეჯითხე, ქურთუკი რა უყავი-მეთქი. მითხრა — ამხანაგს ვათხოვე, შეუვარებულთან შესახვედრად მიღიოდა და რა მექნა, ვერ დავუშალე, მართალია, ძალიან ხელმოკლეა, მავრამ ძალიან კეთილია და იმიტომო.

რამდენიმე დღის შემდეგ ის მისი ამხანაგი და თვითონ ქუჩაში შემჩვდნენ, იმ ბიჭს ისევ მიხეილის ქურთუკი ეცვა. საღამოს მიხეილს რომ ვკითხე, რად არ იბრუნებ შენს ქონებას მეთქი, მითხრა — გაჭირვებულია ცოდნაა და ვაჩუქრებ, მით უმეტეს ახლა, სატრუქოს თავს აწონებს და როგორ გამოვართმევდიო? ასეთი იყო იგი, როცა თვითონაც კი პევრი არაფერი გააჩნდა, მაინც უველავერი სხვისოვის ემეტებოდა — მოიგონა მოყვარული ძმის ამბავი დამ.

ბათუმის პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ ქედის რაიონის სოფელ ძენწმანს მიაშურა. შვიდ წელს იმუშავა დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად, შემდეგ უჩხითის დაწყებითი სკოლა. ეს ორმოციანი წლების დასაწყისი გახლდათ, ქვეყანას ომის სუსტი რომ უახლოვდებოდა, ის პერიოდი. 1940 წლის აგვისტოდან მიხეილ ნაკაშიძე ქოსოფლის დაწყებით სკოლაში გადაიყვანეს და გამგე-მასწავლებლად დანიშნეს. აქედან მოყოლებული, პენსიამდე მოელი თაობები 35 წელზე მეტ ხანს უსმენდნენ მიხეილ ნაკაშიძის გაკვეთილებს ქოსოფლის დაწყებით სკოლაში. მოსწავლეთა შვილები, შვილიშვილები... ეს წლები ამ სოფლის და, საერთოდ, აჭარის განახლების გარდაქმნის, აღმუნებლობის წლები იყო. სიძნელეებთან, უცოდინარობასთან, უმეცრებასთან, ჩამორჩენილობასთან ზრუნვა, ახალი ცხოვრების დამკვიდრება-გამარჯვებისათვის პრძოლა — აი რა წლები იყო.

მიხეილ ნაკაშიძე არასოდეს ყოფილა ცხოვრებისაგან, სოფლის საქმისაგან იზოლირებული კაცი, როგორც იტუვიან, მხოლოდ ჰალსტუხიანი პედაგოგი. აჭარის მთიანი სოფლების სოციალისტურად გარდაქმნისა და აღმუნებლობის სიმძიმემ სხვებთან ერთად მის მხრებზეც გადაიარა. იგი აქტიურად ებრძოდა სოფელში უსინათლობას, შიმშილს, სიღარიბეს, შრომობდა ფიზიკურად, რა თქმა უნდა, ერთი წუთითაც არ ივიწყებდა მის მთავარ მისიას — სოფლის განმანათლებლის მისიას.

ქვეყანას უჭირდა, დიდი სამამულო ომი დიდ საერთო ხარჯსაც ითხოვდა, სოფლის ერთი პატარა სკოლისათვის ვისლა ეცალა, მაგრამ სკოლაც ფრონტი იყო. მაშინ, ხომ ქვეყანას ერთგული და განათლებული, სამშობლოსათვის თავდადების გრძნობითა და რწმენით ფრთაგასწორებული შვრლები სჭირდებოდა! იცოდა ეს მიხეილმა და არც თუ იშვიათად შესვდებოდით იმხანებში მაშინდელი ქოსოფლის უმანქანო, მტვერიან შარავზებზე ურგში წიგნებაკიდებულ მიხეილ ნაკაშიძეს. სახელმძღვანელოებს საკუთარი ფულით იძენდა და ქალაქიდან ეზიდებოდა. ის კი არა და, რამდენჯერ მერხი და დაფა შეუძენია, სხვა წვრილმან ინვენტარზე ხომ ლაპარაკიც არ ლირს.

ლევან პოგალაძე — უჩხილის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, აჭარის ასსრ დამსახურებული მასწავლებელი:

მე ბედმა მარგუნა ვყოფილიყავ მიხეილ ნაკაშიძის მოსწავლე, სოლო შემდეგ მისი კოლეგა. ასე რომ, მანსოვს მისი გაკვეთილებიც და მისი, როგორც გამოცდილი კოლეგისა და ხელმძღვანელის, ზრუნვაც. დღეს სოფლად მასწავლებლებს თავისი პრობლემები აქვთ. უწინდელ პრობლემებს კი ისიც ემატებოდა, რომ მასწავლებელი იყო სოფლის პირველი აქტივისტიც, ჩვენ ვკრიმდა, რასაც ვაკეთებდით, მასსოვს, რა გატაცებით კითხულობდა ლექციებს (არ მეშინია, ასე ვუწოდო მის მაშინდელ საუბრებს) მიხეილ ნაკაშიძე საკოლმეურნეო მინდოორში, თამბაქოს საშრობში თუ პირდაპირ ჭალა-სათიბში ხალხთან. ეს იყო სიბრძნის, გონიერების და ცოდნის გაკვეთილები, მაგრამ ამჯერად უფრო-სებიან ჩატარებული, და მიხეილიც იმის მიხედვით, თუ ვინ იყო მსმენელი, ცვლიდა საუბრის თემას, ხმას, კილოს, მაგრამ არ იცვლებოდა ერთი: მისი უოველი სიტუაცია, დიდთან იყო ნათქვამი თუ პატარასთან, აღსავსე გახლდათ შინაარსით, ცოდნით, სიბრძნე-გონიერებით, პროგრესით. უან უაკ რუსო და დენი დიდრო, კომენსკი და უშინსკი, ჭავჭავაძე და გოგებაშვილი, იმათი უკვდავი ქმნილებები პირდაპირ, რომ იტუვიან, ხელის გულზე ედო და თავის მართალი აზრების დასტურად მუდამ მიმოაბნევდა ხალხში, რაც მსმენელში წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა, ატავევებდა... ისე, სიბრძნე მაინცა და მაინც წიგნიდან არ უნდა ისწავლოს კაცმაო, — უუვარდა თქმა, — სიბრძნე მიწასა და ცაჟე დაკვირვებით, აღამიანებზე, თითონ ცეკვრებაზე დაკვირვებითაც უნდა შეიძინო. ცხოვრების ცოდნა კი, იცოცხლე, მისი საქმე და ხელობა იყო....

ახლა სკოლებში ცშირად გაიგონებ, დისციპლინა მოიშალა, დისციპლინა აღარ არის... და ეს თითქმის ერთნაირად ეხება მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც. მაშინ კი სულ სწავა იყო, მასწავლებელს ლმერთის ტოლა კაცად მიიჩნევდნენ. ეს მიხეილ ნაკაშიძეზეც ითქმის...

ლეიიშვილის გასილაძე — მათემატიკის მასწავლებელი:

მასსოვს, 1949 წლის იანვარი იყო. იმ წელს აჭარაში დიდი და მეტად მკაცრი ზამთარი დაიჭირა. ყინვა 13 გრადუსამდე აღწევდა. მაშინ მიხეილი ჩვენი დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებელი იყო. დილაა, სკოლაში სულ რამდენიმე მოსწავლე და მასწავლებელი გართ. გავისედეთ და, მოვიდა მიხეილი, შევიდა კაბინეტში, გამოიტანა პატარა სელის ზარ-უფანი (მაშინ სკოლაში ზარს ამით ვრეკავდით ხოლმე), გაიარ-გამოიარა დერეფანში და ააწერუნა. ჩვენთან იმ სანებში ერთი გოგელია იყო, ისიც მასწავლებელი, ფოკა ურქვა სახელად. რკინის დისციპლინის კაცი და წესრიგიანობის მოყვარული, რომ იტუვიან, ნამდვილი ფანატიკოსი იყო. პოდა, იმასაც კი გაუკვირდა და თქვა: — შესედე, შეხედე, ამ ყინვა-ქვეუნის დაქცევაშიც კი ზარს ჩეკავს მისეილი, ნამდვილად შეშლილა და ეგ არის, ამ სიცივეში ენა არ მოგიბრუნდება კაცს გაკვეთილი რომ ახსნა, მოსმენაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტიაო...

* * *

ასეთი იყო მისეილ ნაკაშიძე, თავისი საქმის დალატი არც აზრად მოუცილოდა და ცერც წარმოედგინა.

სკოლას რომ მორჩიებოდა, ისევ მეურნეობას, მიწას, ყანა-ბაღისას, გლეხის ნაშედვის მიუბრუნდებოდა. თესავდა სიმინდს, რგავდა თამბაქოს, უვლიდა პირ-

უტუვს... და მოგვიანებით, როცა წამოზრდილი შვილები, ოჯახი საცხოვრებლად გლვისპირა სოფელ ხელვაჩაურში გადავიდა, თვითონ მთის სოფელს მაინც ვერ შეელია, და დიდსანს, ღრმად მოხუცებულობამდე, დარჩა მერცხლის ბუდესავით მთის ფერდობზე მიუუულ ამ პატარა სოფელში.

საქმე კი, იცოცხლე, გულიანი იცოდა! რასაც გააკეთებდა, ლამაზი და სარისხიანი იყო. ის, როგორც პედაგოგი, სხვასაც ასწავლიდა და თვითონაც ასე სჭეროდა, როგორც ანტონ ჩეხოვი იტუოდა ხოლმე: აღამიანს ყველაფერი ლამაზი უნდა ჰქონდეს, — სახეც, ტანსაცმელიც, სულიც და აზრებიცო.

სიკეთის ქმა მისი სულიერი მიწოდება იყო. არც ფარავდა: კაცმა ამქვეყნად იხეუნდა იცხოვროს, თავის თანამედროვეებს სიხარული და სიამოვნება არგუნოს, ხოლო მომავალს ამ გზით სიარული მოწოდებად, რწმენად და მოთხოვნილებად უქციოს. სიკეთის თესვაში ხედავდა საკუთარი ყოფა-ცხოვრების აზრსაც. იტუოდა კიდევც: თუ კაცი თავისთავს არ არგია, იგი ვერც სხვას გამოადგებაო. საკუთარი ქცევის საზომად მიაჩნდა ბრძნული ფორმულა: თუ გინდა ბედნიერი იყო, სხვათა ბედნიერებისათვის იზრუნეო...

და მაინც, მიხეილ ნაკაშიძე ბავშვების, მომავალი თაობის, სიცოცხლის მსახური იყო. ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ემსახურა მასწავლებლობის რთულ, საპასუხისმგებლო და, მე ვიტუოდი, დაუფასებელ საქმეს, რასაც აკეთებდა იგი უხმაუროდ, უპრეტენზიოდ, უანგაროდ. სხვათა შორის, მას ცხოვრებაში ერთხელაც კი ვინმეს მიმართ და რაიმეს გულისთვის პრივილეგია არ მოუთხოვია, არა იმიტომ, რომ არ იცოდა პრივილეგიის ფასი, უბრალოდ, არ გახდეთ იგი პრივილეგიის სულისკვეთებაზე აღზრდილი კაცი. იქნებ ამიტომაც იყო, რომ ზოგისთვის პრივილეგიად ქცეული პარტიული მანდატი მას არ ჰქონია. იგი არ იყო პარტიის წევრი, მაგრამ მისი ქცევა, მისი უმწიკვლო პატიოსნება უფელა პარტიულს ეტალონად გამოადგებოდა და გამოადგება დღესაც. დაულალავ, პატიოსან, ნამუსიან შრომაში გალია წუთისოფელი. სიხარულს კი ის ანიჭებდა, რომ შეგნებული ჰქონდა და სწამდა, ფუჭად არ მიღიოდა და არც ჩაივლიდა მისი ამაგი, რომ მისი შრომა ქვეყანას ყველაზე დიდ ნაყოფს — კარგად აღზრდილ ნამოწაფარებს შესძენდა, ნამოწაფარებს, რომელთაგან დღეს მრავალი ალიარებული სპეციალისტი მოღვაწე და მუშა კაცია. მარტო იმის თქმა რად ლირს, რომ ქოსოფლის მკვიდრთაგან უოველი მეორე თუ მესამე უმაღლესი განათლებითაა. ეს არ ნანავთ მათ რიცხვში, ინუინერს, უქიმს, აგრონომს, მაგრამ უველაზე მეტი მაინც მათ შორის პედაგოგობას გაუტაცნია. იქნებ პირველი მასწავლებლის გვის გამკვალავი მიხეილ ნაკაშიძის მიბაძვით მოხდა ეს? ვინ იცის... და ბარემ აქვე ისიც ვთქვათ, რომ მისმა შვილებმაც მამის პროფესია აირჩიეს, მამა იყო მათთვის პირველი მასწავლებელიც, დამრიგებელიც და მაგალითის მიმცემიც...

მაინც რა იყო მიხეილ ნაკაშიძის პედაგოგიური ხელოვნება? საქმე უყვარდა, თავისი საქმე, აი ეს უველაზე დიდი საიდუმლო, საიდუმლო კი არა და, უცელა საქმეში წარმატების, უველაზე უბრალო და ნათელი კეშმარიტება.

პვლავ რაც იმი მოგვიანება პორტრეტის შესავსებად

უშანგი გვარიშვილი — უჩინოთის საშუალო სკოლის ქართული ენისა დალიტერატურის მასწავლებელი:

მე და მისეილი დიდსანს ვიყავით კოლეგები, ჩვენი ურთიერთობა მუდამ კეთილი, უშუალო და თბილი იყო. ამიტომ, რასაც ანდა გეტავით, ყველასათვის დასაქერებელი და სარწმუნო უნდა იყოს, სარწმუნო ისევე, როგორც ვთქვათ და დავუშვათ, მას მოსწერდა ჩემს შესახებ და მისი მოვინებაც სარწმუნო იქნებოდა. თავაზიანობა, მორიდება,

ჭიდი შინაგანი კულტურა, ადამიანური სითბო, დისციპლინა, — აი, თვისებები, რომლი-
თაც გვხიბლავდა იგი ჩვენ. იყო სპეტაკი, უანგარო, ზედმიწევნით მცოდნე თავისი საქმი-
სა. ნებისმიერი მისი წამოწყება მუდამ მხარდაჭერას პოულობდა, ამაში მას ხელს უწყო-
ბდა კეშმარიტი ორატორული ნიჭი, ხოლო რაც შეეხება გაკვეთილებს, რომლითაც მას
მოსწავლეები, პირდაპირ რომ იტყვიან, მოკადოებული ჰყავდა, მოუწყინარი, ნათელი
და მუდამ ღრმა კვალის დამაჩინეველი იყო. მისი უმდიდრესი ბიბლიოთეკა მუდამ ხელ-
მისაწვდომი გახლდათ როგორც ჩვენთვის, კოლეგებისათვის, ისე მოსწავლეებისათვის,
ივი ბშირად ურჩევდა ბავშვებს მათთვის საკირო ლიტერატურას, ხოლო შემდეგ კიდეც
ესაუბრებოდა წაკითხულის შინაარსზე, აძლევდა მოზარდის აზროვნებას სწორ ორიენ-
ტაციას, ეხმარებოდა სირთულეთა დაძლევაში.

წინათ, როცა პედაგოგ-მასწავლებელი გვაკლდა (და ეს მთის სოფლებში უფრო
მწვავედ იგრძნობოდა) სშირად, იმ საგნების სწავლებაც გვიწევდა, რაც ჩვენ უშუალო
პროფესიით არ მოგვეთხოვებოდა. ასეთ დროს მიხეილი ჩვენთან შედარებით იოლ დღე-
ში იყო, მას თავისი ფართე განათლებისა და, რა თქმა უნდა, ხალასი ნიჭის წყალობით
შეეძლო ერთნაირი პროფესიონალიზმითა და ხალისით ჩატარებინა ბოტანიკის, გეოგ-
რაფიის, რუსულის, თვით უცხო ენის გაკვეთილებიც კი. ქართულ და რუსულ ენებთან
ერთად ფლობდა გერმანულ. თურქულ და არაბულ ენებს, ერთი სიტყვით, ის მეტად
ფართო ჰორიზონტისა და ცოდნის კაცი იყო, კაცი, რომელიც ყველა კონკრეტულ ვი-
თარებაში ამ ცოდნას მარჯვე იარაღად აქცევდა.

ბუნებით მომადლებულ აღმზრდელობით ნიჭს მოხერხებულად უხამებდა კლასი-
კურ პედაგოგიკის ღრმა და საფუძვლიან ცოდნას. იცოდა გამოჩენილი პედაგოგების
კომენსკის, უშინესკის, გოგებაშვილის, მაკარენკოს აღმზრდის ხელოვნება, პრაქ-
ტიკაში იყენებდა მათ, როგორც გამოცდილებას, როგორც გზამკვლევს, როგორც
სიბნელეში ანთებულ ცოდნის პატრუქს.

იგი არ იყო ცოდნის დაზეპირების მიმდევარი. მოსწავლეთა შემეცნებითი უნარ-
ჩვევების განვითარებისათვის ცოდნის ათვისების უველა საფეხურზე დამოუკიდებელი
საქმიანობის გამოყენების მომხრე იყო. მასწავლებელი კი მოსწავლის უპირველეს მრჩე-
ვლად, იმედად და, თუ გნებავთ, სულიერ მეგობრად ეგულებოდა. იგი ვერ იტანდა ცივ
დისტანციას, უგულო ბარიერს მოსწავლესა და მასწავლებელს შუა, მათ შორის დისტა-
ნციური ურუ კედლის არსებობის აუცილებლობას. და, ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მის
ალსაზრდელებს საკუთარ მშობლებშიც კი არ გაერჩეოდათ ეს საოცრად თბილი და მო-
ლერსე, მშობელივით მოსიუვარულე კაცი.

სულიკო გასილაძე — უჩინოთის საშუალო სკოლის დირექტორი, ქართული ენისა
და ლიტერატურის მასწავლებელი:

თუ რამ არის ჩემში და, ალბათ, ჩემი თაობის ლიტერატორობაში მოსაწონი, და მე
უპირველესად სიტყვის ფლობას, ენას, ლიტერატურის ცოდნას ვგულისხმობ, უველა-
ფერ ამაში დიდია მიხეილ ნაკაშიძის, ჩვენი აღმზრდელი მასწავლებლის ამაგი. სიტყვის
ფლობა-მეტე, ვამბობ... ახლაც მახსოვს მის მიერ ჩატარებული წერა თავისუფალ
თემაზე. თემას თვითონ არჩევდა. უმეტეს წილად ბუნების სურათებზე იცოდა უურადლე-
ბის მიქცევა. საერთოდ, მუდამ გვარიგებდა, საკუთარი თვალით ნასულზე, საკუთარი
გრძნობით განცდილზე წერეთო. მერე ჩვენს იმ მოწაფურ, უსუსურ შემოქმედებას
საგულდაგულოდ გაარჩევდა, გაასწორებდა და შეუმცდარი ალლოთი შეგვიფასებდა. ყო-
ველი ასეთი გაკვეთილი ჩვენთვის მაშინ მეტყველების, წერის კულტურის გაკვეთილიც
იყო. აი, რატომ არის, რომ ასე წარუშლელად აისახა ისინი ჩემს მეტსიერებაში.

მიხეილ მასწავლებელმა მარტო წერა კი არა, წიგნის კითხვაც შეგვაუვარა, წიგნის
სიუვარულსაც გვაზიარა. ახლაც მახსოვს და არც მომავალში დამავიწყდება, ალბათ,

მისი პირადი ბიბლიოთეკიდან წაკითხული საბავშვო ნაწარმოებები: „ერთი წვეთი უფასებელი ფლი“, „ბუბა და ლელა“, „ოცი ძმა“ და სხვა. მეხსიერებას სიკვდილამდე შეჩრჩება ისინი, რადგან მიხეილ მასწავლებელს ჩვევაზე ჰქონდა, როცა ნაწარმოებს წავიკითხავდით, მასთან აზრის გაზიარება სავალდებულოდ მიაჩნდა. ეს კი წიგნის საფუძვლიანი წაკითხვის გარეშე არა და არ მოხერხდებოდა.

საერთოდ, ბატონი მიხეილი სოფლის საუვარელი კაცი იყო, თუ რამ თავურილობა
ა5 პურის გატესა იქნებოდა. მუდამ იქ უნდა გვეოლოდა, თუ გვაკლდა, თვალი სულ
კარისკენ გვეჭირა, ჰა და ჰა, მოვაო.

სოფლის მაშინდელი მასწავლებელი სოფლის ერთგვარი მეისტორიეც იუო და
კრება თუ იუო, სიტყვა მას უნდა ეთქვა, სხდომა იუო და ოქმი მას უნდა დაეწერა.
მისეილი ხომ მაინც სსვა იუო. დღეს ერთ ადგილზე კაცის დიდხანს მუშაობა რატომლაც
საძრახ საჭმელ ითვლება. მითუმეტეს, თუ ის თანამდებობის პირია. მისეილ ნაკაშიძე
იმდენხანს იუო დირექტორი და გამგე, რომ თანამდებობა ლამის სახელადაც ეჭდა და
სასელის ნაცვლად პირდაპირ იტყოდნენ — დირექტორიო. ჰოდა, გულში არავის წყენია,
არავის უეშურებია მისი გამგეობა, არც ეჭვი შეპეპარვია ვინმეს მის პატიოსნებაში, და ეს,
იცით, რატომ? იგი თავის საჭმეს მამა-პაპური ნამუსით, სინდისითა და რწმენით ეკიდე-
ბოდა, მართალი, ალალი კაცი იუო, უანგარო და სპეტაკი.

ერთგულ ბატონ მისეილს ალალაძ ვკითხე, ამოდენა დამსახურების კაცს სოფელზე
გაწეული ლვაწლის შესაფერისი დაფასება ვერ მოგაგეთ-მეთქი ...იცით, რა მითხრა მაშინ?
სჯობს, მეყითხებოდნენ, რად არ დაგიდგეს ძეგლი, ვიღრე ის მკითხონ, რად დაგიდგესო
იგი... დამერწმუნებით ეს აფორიზმულის ძალით ნათქვამი სიბრძნე უველა მათგანმა თა-
ვის თავს რომ უნდა მიუსადაგოს, ისეთი ნათქვამია, რათა თავმდაბლობამ, საერთოდ,
ფასი არ დაკარგოს ამ ქვეყანაზე...

* * *

დაუძალებლად, ისე ბუნებრივად ივონებდა უოველივე ამას უჩხითის სკოლის ატე-
მინდელი დირექტორი, კაცი, რომელმაც წინამორბედის თუ წინაპრის ღვაწლის დაფასე-
ბა იცის, მუშაობა მისი გულწრფელობისა. ალბათ, ამიტომაც არის, რომ მას პატარია
რვეულში უკვე უცდია სკოლის მატიანის აღდგენა. სკრუპულოზური სიზუსტით შეუძლია
ჩამოგვითვალოს ამ სკოლის ყოფილი მასწავლებლების თუ დირექტორების — იზეთ, მი-
ხეილ ნაკაშიძის, ჩიტო წილოსანის, უუკუნა ჩხარტიშვილის, ილია ხახუტაიშვილის, და-
რეჯან ქვარცხავას, უშანგი გვარიშვილის, ანიკო კალანდაძის, ანგელინა ხიტირის, ისკენ-
დერ ბელინაძის, თინა კაცაძის, ანტონ გვარიშვილის, მარგალიტა შუბლიაძის, შოთა ნაჭუე-
ბიას და სხვათა მუშაობის წლები.

* * *

მიხეილი ჩემი ბიძა, დედაჩემის ძმა იუო — იგონებს ბატონი მიხეილის უფროსი დისშვილი აკაკი.

დაწყებითი განათლება ჭოსოფელში მივიღე. მაშინ იქ მე ბებიასთან და ბაბუასთან ვცხოვრობდი. ჩემი პირველი მასწავლებელი და დამრიგებელიც მიხეილ ბიძია იყო. თუ რამეს ვერ გავიგებდი, სახლში მამეცადინებდა. სიზარმაცეს და სიცრუეს ვერ იტანდა. რა დროც უნდა ყოფილიყო, თუგინდ გაკვეთილების შემდეგადაც, უგვეძლო მიგვე- მართა მისთვის. შეგვეძო კარები და შევსულიყავით.

ერთხელ დაგვიანებული მივეღი კლასში, მგონი მე-4 გაკვეთილი იყო, ბოდიშის
მოხდით შევალე საკლასო ოთახი და შევეღი. იგი დაფასთან იდგა. მის გაკვირვებულ-

მუხრას რომ შევხედე, რაც ადრე განჯრახული მქონდა სათქმელად, დამავიწყდა და მხოლოდ ეს ამოვლულლულე — მაპატიეთ პატივცემულო მასწავლებელო, დაგვიანებისა თვის-მეთქი. გვერდით რომ ჩავუარე, მის გასაგონად ჩავილაპარაკე — ქალიშვილი შეგეძინათ ბიძია-მეთქი. ამაზე სახე გაეპადრა, თავზე თბილად ხელი გადამისვა და დააყოლა, გავის, აი ეს მწამს, ასეთი კარგი ამბის მაპარობელს დაგვიანებაც შეიძლება აპატიოს კაცმაო, — თქვა და შემდეგ მთელ კლასს ხმამაღლა გაუზიარა თავისი სიხარული: ბავშვებო, ეს წუთია, თქვენმა ამხანავმა ახალი ამბავი მომიტანა, ქალიშვილი შეგეძინაო! ასეთი იუ იგი სიხარულშიც ბავშვივით ალალი, გულწრფელი და კეთილშობილი. სანთელ-საკმევლი თავის გზას არ დაჰკარგავსო. აი ამაზე უთქვამს ბრძენს...

პროცესი, რომელიც სიბრძეა

მიხეილს თავის ალსაზრდელებთან მუდამ უშუალო დამოკიდებულება პქონდა. მოს-წავლეს ისე ესაუბრებოდა, გეგონებოდა, თანატოლებს ებაასებაო. და ეს ისე, რომ არასოდეს ერთი წუთითაც კი არ დავიწყნიათ არც ერთ მხარეს, რომ პირველი მასწავლებელი ბრძანდებოდა, მეორენი კი მისი მოსწავლენი, ალსაზრდელები, ბულის შეგირ-დები იყვნენ.

ბატონი მიხეილი მოსწავლეთა ცოდნისა და ქცევის სამართლიანი და ობიექტური შეფასების მომხრე იუ. იგი ამ პრინციპის ერთგული იუ მაშინაც კი, როცა სკოლის, მასწავლებლის ღვაწლის შეფასების კრიტერიუმად მხოლოდ მოსწავლეთა მაღალი აკადე-მიური მაჩვენებლები ითვლებოდა. ისე კი, მისივე სიტუაციით რომ ვთქვათ, ამან ფორმა-ლიზმის მორევში შეაცურა სკოლაც და ბევრი პედაგოგის წმინდათა წმინდა საქმეც, ზევი-ჯან საუცედურის შიშით ცრუ მიღწევებს გამოდევნებული, თავის გამოჩენის სურვილით შეპყრობილი პედაგოგიური კოლექტივები მასში დიდ სიბრალულს იწვევდნენ. — იგი თავისი საქმის ერთგული ბოლომდე დარჩა და კიდევაც ამაუობდა ამით, ამიტომაც იუ, ალბათ, რომ მის ხელში ალზრდილი მოსწავლეები ცოდნის დონით, მონდომებით, სწავლითა და შრომით უოველთვის გამოირჩეოდნენ.

შეფასების მისეული ჩვევის გამო უსიამოვნებანიც ახსოვს. ერთხელ განათლების განკუთვილებაში სასწავლო წლის შედეგები არ მოუწონეს, საუცედურიც უთხრეს, ობიექ-ტურობაზე კი არავის არაფერი უკითხავს. მის ხვედრობებული კოლეგების დაჩივლებაზე: — რად გვინდოდა ეს უსიამოვნება, ხომ შეგვეძლო მოსწრების პროცენტი გაგვეზარდა და სხვებივით შეგვაჭებდნენ, შენიშნა: დაუმსაბურებელ ქებასა და ჭილდოებს სამართ-ლიანი საუცედური გვერჩივნოსო.

უუკარდა და იტაცებდა აზალგაზრდულ წრეში ყოფნა, საუბარი, გართობა. მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილებით, ისტორიულ-ფილოსოფიურ თუ პედაგოგიურ საკითხე-ბში ღრმა ჩაწვდომით მის საუბარს უოველთვის პქონდა დიდი აზრი და დამაჯერებლობა. ხოლო შესანიშნავი მესსიერების წყალობით, რომელიც მას სიცოცხლის ბოლომდე გაპუვა, ვსმენელთა უურადღებასა და ინტერესს იწვევდა მუდამ.

ერთხელ მეზობელი ქორწილს უხდიდა თავის სტუდენტ შვილს, რომელსაც თბილი-სიდან ამხანავები და ანლო მეგობრები ჩამოჰყვნენ. კარგადაც მოილხინეს და როგორც უეელა ქართული ნადიმი, ეს სუფრაც სიყვარულისა და მშევრმეტყველების ასპარეზად იქცა. ბატონი მიხეილის საღლეგრძელოებს თავისი აზრითა და სილამაზით სტუმართა დიდი უურადღება და ინტერესი გამოუწვევია. მერე კიდევაც კითხულობდნენ თურმე. ეს კაცი რომელ ინსტიტუტში მუშაობსო, რა ხარისხი აქვსო და რა სპეციალობით კითხუ-ლობს ლექციებსო. მიხეილს ამაზე ბევრი უცინია და მოკლედ მოუკრია, ჩემი სპეცია-ლობა ჩემი აღამიანობაა და ხარისხიც კაჯურ კაცის სახელია.

ერთხელ ერთი მეზობლის საქმე იხილებოდა სასამართლოში, განსასჯელს საკმაოდ მკაცრი სასჯელიც ელოდა. ამბობდნენ, ციხე არ ასცდება. ეს კაცი მატერიალური პასუ-
ხის შეგებელი პირი იყო და მისი დაუდევრობით თუ არცოდნით, რომლის დამტკიცებაც
ახლა ნაგვიანევი იყო, დიდი მატერიალური ზარალი მიაუენა კოლმეურნეობას. შეწუ-
ხებულმა მეზობლებმა მოწმედ და დამხმარედ ბატონ მიხეილსაც უხმეს თურმე.

ეტყობოდა, მოსამართლეც გულგრილი არ იყო ამ კაცის მიმართ და ფაქტების შე-
ლამაზებით ფიქრობდა საქმის წარმართვას. ამიტომაც მოწმეები წინასწარ იხმო და
დაარიგა, ასე და ასე უნდა თქვათ, რომ ყველაფერი რიგზე იყოსო.

— ეგ ხომ დიდი სიცრუე იქნება? — გაჯავრებულა მიხეილი.

— ახლა საქმეს ასე სჭირდება და მეტი გამოსავალი არ არისო, — უთქვამს მოსა-
მართლეს.

— სიმართლის თქმამ საქმეს როდი უნდა ავნოს! — იყო პასუხი, — უდანაშაულო
კაცის ღირსებას თქვენ კი უნდა გაუფრთხილდეთ, მაგრამ თუ კაცმა შეცდომა დაუშვა
და უსური სასჯელი შეუმსუბუქოთ, იმის საშუალებაც მივცეთ, თავისი სიალალმართლე
პატიოსანი შრომით გამოისწოროს. ახლა რომ ტყუილი ვთქვათ, შეიძლება, საქმეს წა-
დგვეს, მავრამ საკუთარ სულს ჯიანს მოუტანს და სინდისის ქენჭნას სად გავექცეთო.

მართლაც, ყავლაფერი იოლად დამთავრებულა, კაცი ციხეს გადარჩენილა, იძულე-
ბით მუშაობა და სახელმწიფოსადმი მიუნებული ზარალის ანაზღაურება დაკისრებია.

გამოთხოვებისას მოსამართლეს უთქვამს:

— სინდის-ნამუსიან ხალხთან რომ გექნება საქმე. ბოლოც ნამუსიანი უნდა იყოს.
არ შეიძლება კაცი სულიერად კმაყოფილებას არ განიცდიდეს, როცა ხედავ, რომ ასეთი
აღაშიანებიც არიან ქვეყანაზეო.

ბატონი მიხეილი ბავშვის სწავლა-აღზრდასა და განვითარებაში გადამწყვეტ
პნიშვნელობას ანიჭებდა მის ინტერესებსა და მიღრეკილებებს. ამასთან დაკავშირებით
ერთ ამბავსაც მოშუვებოდა: მდიდარმა და შეძლეულმა კაცმა გადაწყვიტა შვილი უ-
კველმხრივ განსწავლული კაცი გამოეყვანა და რამდენიმე მასწავლებელი უქირავა, მავ-
რამ პიჭის მალე მოსწყინდა ერთი მასწავლებლიდან მეორესთან სიარული და კირვეულიც
შეიქმნა. უოველგვარი ცდა უშედეგო აღმოჩნდა, შეწუხებულმა მამამ ბრძენკაცს მიმარ-
თა რჩევისათვის.

ბრძენმა, როცა უოველივე დაწვრილებით მოისმინა, ციონა: ნუთუ ბავშვს არაფე-
რი აინტერესებს და არავისთან არ მეგობრობსო. კი, არის ასეთი, ერთი მოსამართლე
მყაცეს, სულ მუდამ მთა და ბარში დაეხეტება, სოფელში არცერთ საქმეს არ დაკლდე-
ბა. მისი ზღაპრები და მონათხრობები ურჩევნია იმ ნასწავლი ხალხის გაკვეთილებსო.

— ვინ გინდა გამოვიდეს შენი შვილი, სწავლული თუ ადამიანი? — კვლავ შეეკითხა
გრძენი.

— ერთიც და მეორეც... — იყო პასუხი.

— მაშინ ნუ შეიღუდავ, დაე იმეგობროს იმ თქვენ მოსამსახურესთან, ხოლო მასწავ-
ლებლები დაითხოვე და მხოლოდ ერთი დაიტოვე, ის, ვინც უფრო აღიარებს მის
ნიჭისო... ბავშვი ზედმეტად აღარ დაიტვირთება, ასე უფრო სალისით მოეკიდება სწავ-
ლას და შენც არ დაგვირდება ზედმეტი და ფუჭი ხარჯის გაღებაო... ეს ნათქვამი თუ
მაგალითი აღზრდაში მრავალმეურვეობის უარსაყოფად მოშეაცდა ხოლმე მას.

ბატონი მისეილი წინააღმდეგი იყო მოსწავლისადმი უხეში მოპყრობის, გაჯავრების,
დატუქსვის, ჯოხის პოლიტიკისა. იტყოდა, როგორი მეთოდითაც ვიმოქმედებთ ბავშვზე,
იმასვე ვასწავლით მასო; „ბავშვისადმი კეთილი მოპყრობა, ალერსი, დაუვაცება მასში
აღაშიანობის დაფასებისა და პუმანურობის გრძნობის აღზრდის საწინდარია, ცემა და
დატუქსვა კი უხეშობისა და სიმკაცრის, რეზილი და სიცრუე კიდევ სიფლიდისა და გაიძვე-



რობისამ. თუ კარგად დავაკვირდებით ბავშვს, მის ქცევას, მის ხასიათს, მის საუბარს, ჩვენ ამოვიცნობთ, რა გარემოში იზრდებოდა ან იზრდება იგი, როგორ იქცევიან, როგორ აზროვნებენ, როგორ საუბრობენ მისი უფროსები.

თუ ვერ მოვიცალეთ ჩვენ შვილების სიახლოვისა და სითბოსათვის, უესაძლებელია, მათგან გულგრილი და ცივი აღამიანები მივიღოთ, რაც სამწუხაროდ ეგრერიგად მოგვიმრავლდა ბოლო პერიოდში.

ბატონი მისეილი თავისი საოუთი და მგრძნობიარე გულის გამო მუდამ ჭავრობდა, როდესაც ბავშვებს უწყრებოდნენ, თუ ოჯახში მსგავს რამეს შეამჩნევდა, რომ არ მოესმინა, ვარეთ ვალიოდა და ნერვიული ნაბიჯებით ბოლოთასა სცემდა თურმე. თვითონ მისგან ხომ შვილებს ხმამაღალი დალაპარაკებაც არ ახსოვთ. სამაგიეროდ, მამის უდიდესი რიდი და პატივისცემა ჰქონდათ მუდამ. ხშირად განმარტოებული იდგა და რაღაცას ჩურჩულებდა. ამ დროს იგი გონებაში ამტკიცებდა ძველსა და ახლად მიღებულ ცოდნას. ამიტომაც შეილიშვილებს სულ იმას ეუბნებოდა — „გამეორება ცოდნის დედაა“.

დაუღლელი კაცი იყო, მისთვის სიზარმაცე წარმოუდგენელი გასლდათ. არ დაითვლებოდა, ალბათ, დღეში რამდენჯერ ავიდოდა და ჩამოვიდოდა კიბეებზე ოთხმოც წელს მიტანებული კაცი. სულ უბრალო საქმესაც კი სხვას არასოდეს დაავალებდა, ცლილობდა თვითონ თავისი ხელით მოესწრო და გაეკეთებინა. ზამთარში ბუხრის პირას იშვიათად ცასავდით. შეშას ეზიდებოდა, რომ სხვისთვის სითბო და სიამოვნება მიენიჭებინა. შეშა შინ მოელი დღის მარაცხაც არ შემოიტანდა, იტუოდა: სიცოცხლე მოძრაობაშია, ჯდომითა და უძრაობით აღამიანი გაზარმაცილება, ხალისი დაეკარგება და ჭანმრთელობაც გაუუარესდებათ.

დროთა სკლაპე ჩამორჩენა არ უჟღარდა ბატონ მიხეილს. უველა რომ დაიძინებდა, თვითონ მაშინ ჩაუჯდებოდა გაზეთებს და შუალამემდე კითხულობდა. სოფელში, სადაც ის ადრე ცხოვრობდა, განთქმული იყო მისი ლამაზი, სუფთა და აკურატული საქმის კეთება.

სიცოცხლე უჟვარდა-მეოქი ბატონ მიხეილს. იტუოდა: გაჟირვებაც მინახავს, ლალ-ხინებაც, მწარეც და ტკბილიც, მაგრამ გული არასდროს გამრესიაო. არა, რაღ უნდა ვიყო უკმაყოფილო. შვილები, შეილიშვილები ცუდი როლი მყვანანო, ყველაზე ლიდი ბედნიერებაა, რომ შეილიშვილებმა კი არა, მათმა შვილებმაც დამიძასონ ბაბუაო...

გატონი მიხეილი დიდ პატივს სცემდა ოჯახს. მის ტრადიციებს, განსაკუთრებით უფრთხილდებოდა ოჯახის სინდისსა და ბაშუსს. მშრომელი, გამრჩე და პატიოსან ოჯახში აღზრდილ აქალგაზრდისაგან ჯანსაღ მოქალაქეს უნდა მოეელოდეთო იტუოდა. დიდ მციშვნელობას ანიჭებდა გვარს, ჯილაგს, ოჯახის შვილობას, დასძენდა — კაცმა საკიშე თესლი თუ ნერგი საუკეთესო უნდა შეარჩიოს, თუ უნდა, რომ მოსავალი კარგი ჰქონდეს... რიცხვმრავალი შთამომავლობა ჰყავდა და, სხვათა შორის, ამავე პრინციპით ხელმძღვანელობდა, როცა საქმე სასიძოსა თუ საპატარძლოს შეფასებაზე, ანდა უბრალოდ, რომელიმე კაცის ლირსება-ნაკლოვანებაზე ჩამოვარდებოდა სიტუა. ქართული ანდაზა უჟვარდა — „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე-ო“. ხშირად ოჯახურ ტრადიციებსა და ოჯახურ აღზრდასაც ამ ანდაზით ამოწმებდა ხოლმე და აფასებდა.

თავის ნაცნობებთაგან თუ ვინმეზე ჩამოუგდებდენ საუბარს, იგი პირველად გვარს გაიხსენებდა, მერე იტუოდა, ეგ ამა და ამ გვარის კაცია, ენდეო. ანდა, თუ ამის ლირსი არ იყო, დაუფარავად იტუოდა, ამა და ამ გვარის კაცს სულ მოლად ნუ დაეყრდნობიო... ლირი და გირვება, გამოცდილება და აწონილ-დაწონილობა იყო მუდამ მის ამნაირ შეფასებაში და არც არასოდეს გამტყუნებულა მისი სიტუა თუ შეფასება.

(გაგრძელება იქნება)

იბრაილ გორგაძე

ცუდაში საღ წაიყვან...

როცა ადამიანი ასაკში შედის, სურვილი ებადება გადახედოს განვლილი ცხოვრების გზას, მოიგონოს და გაიხსენოს ბევრი რამ, გაააღიზოს კარგი და ცუდი. მოუთხროს თავის გვერდით მყოფს, შვილს, შვილიმვილს თუ გარეშე მკითხველს. ვგონებ, ეს სასარგებლოცაა, რადგანაც მსმენელი თუ მკითხველი ამ მონათხრობიდან ჯერ მთხრობელის ტანჯულ ცხოვრებას ეცნობა და მეორეც, რაც ჩემი აზრით მთავარია, აღიქვამს კარგსა თუ ცუდს, თანამედროვეობას იმ წლებს ადარებს, რომლებმაც 1932-37 წწ. გზა გამიმრუდა და განუზომელი ტკივილები მომაყენა, ოცდაათიანი წლები მაქვს მშვიდველობაში.

თავგადასავალი იმ ადამიანისა, რომელიც 25 წლის ასაკში მთელი ოჯახით გადაიხვეწა უცხოეთში და იქ ცხოვრობდა ოთხი ათეული წელი, შემდეგ კი ისევ დედა-სამშობლოს დაუბრუნდა, მგონი, ბევრ დანამებარულეს დააინტერესებს ალბათ, მოსაყოლადაც ღირს. საცქმელი უნდა ითქვას. სამშობლოს სიყვარულიც უნდა დაიწეროს. ვწერ კიდევაც და გიყვებით. ახლა რომ დაბრუნებული ვარ ჩემს საყვარელ საქართველოში, აი, ეს მასრებს მხოლოდ...

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სამი შვილი და ვაოვანე, შვილი-შვილები გამიჩნდნენ, ისინიც ხომ საქართველოს მოქალაქეები არიან და ეს მახარებს. ნაწილობრივ მაინც ამისრულდა დიდი ხნის ნატვრა.

როვორც ვითხარით უცხოეთში კუცხოვრობდით და მინდა ჩემს ქართველ მკითხველებს ვუამბო ის, რაც თვალით მინახავს, რაც თავს გადამხდენია, როგორ და რა მიზეზებმა მაიძულა მიმეტოვებინა სამშობლო, ნაამაგარი ოჯახი. აი, ეს მინდა აღვწერო და თვალწინ გადაგიშალოთ სწორედ, აი, ეს არის ჩემი მიზანი.

მოსაყოლი ძალიან ბევრია, საიდან დავიწყო, არ ვიცი, გულში ვამბობ: ღმერთი, მომეცი ძალა და შეწევნა, დამაწერინე ისე, რაც შეეფერება სიმართლესა და ჭეშმარიტებას.

ბავშვობის ხანიდან მინდა მოგიყვეთ ყველაფერი, როგორ აღვიზარდე და რა იმედებით მიგვეავდა ცხოვრება წინ და ბოლოს... როგორვ აგვიწიო-კდა ოჯახი, როგორ გავეყარენით სახლ-კარს, რამ გვაიძულა და როგორი



ყიაშეთი დაგვატრიალეს თავს. მხედველობაში მაქვს 1932-1937 წლების
ხანა, ყველაფერი ისე უნდა დაიწეროს, როგორც იყო და თავს გადაგვხდა...
ვწერ კიდევაც.

* * *

ტკბილი ცხოვრება გვქონდა ოჯახში. ჩემი მშობლები გულისხმიერი,
კეთილი, წყნარი, შრომისმოყვარე ადამიანები იყვნენ. შრომა და გარჯა
მათთვის მოთხოვნილება იყო. გაჭირვებითა და დალხინებით. რვა შვილი
გავაწარდეს, წამოგვჩიტეს და დაგვაყენეს ფეხზე. ამდენი შვილის ჯანმრთე-
ლად გაზრდა აღვილი საქმე როდია, მით უმეტეს იმ დროისათვის, როდესაც
ძალზე ჭირდა ცხოვრება.

მე, შვილებში უფროსი, როგორც ითქმის, მოსწრებული შვილი ვიყავი,
ჩემი მეუღლეც პირველი რძალი იყო ამ დიდ ოჯახში და გარკვეული. პრი-
ვილეგითაც ვსარვებლობდით. მშობლებიდან დაწყებული, ყველანი პა-
ტივსა გვცემდნენ.

პირველად ვაჟი შეგვეძინა, მეორედ – ქალიშვილი. როგორც ზემოთ
მოგახსენეთ, ბევრი რამ საჭირო და აუცილებელი გვაკლდა, მავრამ მაინც
კრაფტილი ვიყავით და ბედნიერად მიგვაჩნდა თავი. არავითარი იძულება
არ გვაწუხებდა, რაც გავვაჩნდა, რაც გვქონდა, ის გვყოფნიდა და ცხოვრე-
ბას აუგად არ ვიხსენებდით, მომავალს იმედით შევცეროდით და გვწამდა,
მალე ყველაფერი, რაც გვსურდა, უეჭველად გვექნებოდა.

დედაჩემი და ჩემი მეუღლე კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს. ერთხელაც
არ თქმულა „გადაქანებული“ და ზმამაღალი სიტყვა მათ შორის. რაკიდა
საუბარი ჩვენს ოჯახზე ჩამოვარდა, არ შემიძლია ორიოდე კეთილი სიტყვა
დედაჩემზე არ ვთქვა. არა იმიტომ, რომ იგი დედა იყო ჩემი. იუ ნამდვილად
ღირსია კუთილი სიტყვით მოხსენიებისა. დიდი ოჯახის საქმე მის მხრებზე
გადაღიოდა. ადრე დილიდან გვიან ღამემდე ციბრუტივით ტრიალებდა,
შინაურ საქმეებსაც ასწრებდა და საგარეოსაც. ძალზე ჯანმრთელი გალი
იყო და, დასვენება თუ შეიძლებოდა, ალბათ ვერც კი წარმოედგინა. არ მა-
ნავს, ერთხელ მაინც ეთქვას, დაეწუწუნოს, დავიღალე, მეტი აღარ შემიძ-
ლიაო.

მხოლოდ ის იყო, წისქვილი გვქონდა ძალიან შორის და უჭირდა. ზურგ-
ზე მოგდებული ვეება ტვირთით აღმართ-დაღმარის გავლა არ იყო აღვილი
საქმე. გადავწყვიტე, მისთვის როგორმე ეს ტვირთი შემემსუბუქებინა, ამის
საშუალებაც გვქონდა. ჩვენს სახლთან ახლოს, მოხერხებულ ადგილას, სა-
კუთარი ხელით, წაბლის ფიცრული წისქვილი ავაშენე, რომელიც რამო-
დენიმე ოჯახს თავისუფლად ეყოფოდა. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ და,

ასეთი პატარ-პატარა საქმეების გაკეთება მეხერხებოდა და არასოდეს ზაჟირებისა. ზარდებოდი არავის, სიამოვნებით წავეშველებოდი მეზობელსა თუ მოკეთეს. წისქვილი ახლა ყურისძირას გვქონდა და დედაჩემს შრომა შეუმსუბუქ-დებოდა, ცხადია, ძალზე უხაროდა ეს, უფრო კი მე მიხაროდა, რადგან დედას რაღაცით მაინც შევეხიდე.

დრო კი თავისი გზით გარბოდა, ვცხოვრობდით ასე, ყოველდღიური საქმიანობითა და ზრუნვით. ამასობაში ჩვენს კუთხეში კოლმეურნეობის ჩამოყალიბება დაიწყო. ჩვენს მახლობლად მდებარე ორი მცირეკომლიანი სოფელი გააერთიანეს, კოლმეურნეობა უნდა ჩამოყალიბდეს, რა თქმა უნდა ჩვენი ოჯახიც მონაწილე იყო ამისა, მეც საბუღალტრო კურსებზე მომამზადეს და მოანგარიშედ დავიწყე მუშაობა.

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მამაჩემი კრებაზე დაიბარეს. სამი სოფლის ხალხი შეკრებილიყო, ხორცის, მატყლის, ერბოს ჩაბარებისა და ობლიგაციების გავრცელების საკითხზე იყო მოხსენება. ყველა ოჯახს 100-200 და მეტი მანეთის ობლიგაცია უნდა შეეძინა. ჩვენს ოჯახს, როგორც მესაქონლეს, ყველაზე მეტი ობლიგაცია შეგვაწერეს. ეს ყველაფერი ძალიან მძიმე ტვირთად დაგვაწვა ზურგზე.

ყოველ კვარტალში ხორცი უნდა ჩაგვებარებინა, წელიწადში ერთჯერ მატყლი და ერბო, ჩვენთვის ეს მართლაც მძიმე გადასახადი იყო, ეს იმიტომ, რომ ბაზარზე ჩვენი საკუთარი პირუტყვის გაყადვას უფლება არა გვქონდა. საქონლის გაყიდვის უფლება რომ გვქონოდა, ობლიგაციების შეძენაც არ გაგვიჭირდებოდა.

ხორცის, მატყლისა და ერბოს ჩაბარებით იმდენ ფულს ვერ ვღებულობდით, რომ ობლიგაციების ფული მიგვეცა. პირველ რიგში შერჩეული საქონელი ჩავაბარეთ. შემდეგში მეწველი და მატყლიანიც მივაყოლეთ. ასე დაიწყო ჩვენი გაჩანაგება.

იმ კრებაზე უფრო მეტად ობლიგაციების გასაღებაზე იყო მსჯელობა. გვაწერდნენ ასი-ორასი მანეთის ობლიგაციებს, რისი შეძენაც არ შეგვეძლო, ეს თქვენი სურვილით უნდა შეიძინოთ, გვეუბნებოდნენ, მაგრამ თან ძალდატანებაც იყო. ხელფეხშებოჭილივით არავითარი გასაქანი აღარ გვქონდა.

ამ დროს მამაჩემი წამოდგა და სიტყვა ითხოვა.

— ჩემო ბატონო, მე ერთ მესაქონლე ოჯახად უითვლები ამ სოფელში, საქონლიდან რა პროდუქტსაც ვღებულობთ, მთავრობას ვაბარებთ — ხორცის, ერბოს, მატყლს... აუწეველი ტვირთია ეს გადასახადები. ამხელა გადასახადის გადახდა გვიჭირს, საქონლის გაყიდვის უფლებას არ გვაძლევთ, რომ იმ ფულით ობლიგაცია შევიძინოთ. კვარტალში ხორცის ჩაბარებლად სამი თხა ჩავიყვანე, ჩავაბარე და იმდენი ფული მომცეს, ერთი ზოლი ქალამანი ძლივს ვიყიდე სპეცულიანტისაგან. ქალამნის გარდა, სხვა



ფეხსაცმელი არ იშოვება, რამდენიმე წყვილი კალოში თუ მოიტანეს მაღაზიაში, ვის უნდა მოუწიოს? ბაზარზე საქონლის გაყიდვის უფლება მოძებულებეს, ობლიგაციას შევიძენ და არც გამიჭირდება, თუ საქონლიდან რაიმეს ვერ გავყიდი, ფული საიდან მექნება? როგორ შევიძენ ასმანეთიან ობლიგაციას, რომ შეგიწერიათ ჩემზე დაუკითხავად და, საკუთარი სურვილით შეიძინეო, ამბობთ. ჩემი სურვილი რომ იყოს, ამდენ ობლიგაციას ვერ შევიძენ. ეს მძიმე გადასახადია. აյ სხვა მეზობლებიც არიან, მათ საქონელი არ ჰყავთ და ასეთი მძიმე გადასახადი არ აწუხებთ. რადგან ჩემი საქონლის პატრონი მე არა ვარ, საჭიროებისას მისი გაყიდვა და მისგან სარგებლობა არ შემიძლია, მირჩევნია, მთლიანად ჩაიბაროთ, რაცა მყავს საქონელი და გადამარჩინოთ მისი მოვლისაგან. ამდენი საქონლის მოვლა-პატრონობა არ არის ადვილი საქმე, მწყემსს ქალამანსაც არ აძლევთ. განა ჩვენ არ გვინდა ცხოვრება?

მამაჩემის სიტყვა რომ მოისმინეს, ასე უპასუხეს:

— თქვენ, ესე იგი, ჩვენი ობლიგაციის გავრცელების წინააღმდეგი ხართ? ხორცის, მატყლისა და ერბოს ჩაბარება არ გინდათ? ყოველივე ამას მძიმე გადასახადს უწოდებთ. ობლიგაცია სესხია. ხორცი და ერბო უნდა მიჰყიდოთ მთავრობას. ამ კანონს სახელს უცვლით და გადასახადს უძაბნით. ასეთი ამბავი ხელს არ გაძლევთ, ხომ?

მამაჩემი: მე წინააღმდეგი არა ვარ, ბატონო, მხოლოდ ჩემი საქონლის ბაზარზე თავისუფლად გაყიდვის უფლება მომეცით, ამას მოვითხოვ, ვაჭყიდი რაიმეს და ობლიგაციებს შევიძენ, არ გამიჭირდება. რაც შეეძება ხორცი, ერბოსა და მატყლის ჩაბარებას, ამაში რამდენსაც ვდებულისთ, ამით ვერაფერს ვერ შევიძენთ. მრავალსულოვანი ოჯახი ვართ, ჩატმადახურვა არ გვინდა? ამასაც იძულებითი წესით მართმევთ. ჩემი სურვილით რომ იყოს, ერბოსა და მატყლს, ჯერ ოჯახისათვის საკმარისს ავიღებ, დანარჩენს ჩავაბარებ. ეს იძულებითი წესები გვაწუხებს, ამიტომ გორծოვთ, რომ მთლიანად ჩაიბარეთ ჩემი საქონელი და გადამარჩინეთ ამ წვალებას... რით ვარ წინააღმდეგი? საქონელი ჩაიბარეთ-მეთქი, რომ ვთქვი, იმით?— ეს კი თქვა, მაგრამ იმ სიტყვებით თავისი დასაკლავი დანა თვითონვე გაიმზადა...

გავიდა დრო და ჩემი ერთი „კარგი“ მეგობარი მურად ეფენდი ვაჲ-ტუმრა. მამაჩემი გაიხმო გვერდით და უთხრა:

— ჩემო კარგო, შენს შესახებ ცუდი დადგენილება მიუღიათ. ხომ ზედავ, რა აპბები ხდება? სხვა რაიონებიდან რამდენი ხალხი ჩამოუყვარიათ, არ გაგიგია? ჩვენ არ გვაცხოვრებენ ამ ქვეყანაში, თავს უნდა ვუშველოთ. უნდა წავიდეთ იქით. კრებაზე მომხსენებელს შენი თავი მოწინააღმდევედ გამოუცხადებია... ამდენი ხალხი დაპატიმრეს, მე და შენ განა დაგვტოვებენ?

შენ რომ სიტყვით გამოდი კრებაზე, შენი დაპატიმრებისათვის ეს კმარა, ისეთი დრო დაგვიდგა, რომ სულ ცოტაოდენი მიზეზი საკმარისია. დაგი-ჭერენ, გადაგასახლებენ ციმბირში, ანდა აქვე მოგკლავენ. სასამართლოში არავის ასამართლებენ, სად უნდა იმართლო თავი? ვინ მოგისმენს და ვინ შეგიბრალებს?

— კი მაგრამ, მე რა წინააღმდეგობა ჩავიდინე? წაიღეთ ყველაფერი-მეთქი ვუთხარი. ჩემი საქონლით მე თუ ვერ ვისარგებლებ, რატომ უნდა მოვუარო ამდენ პირუტყვს. და ვიწვალო, განა არა ვარ მართალი? — უთხრა მამაჩემმა.

— მე იმას გეტყვი, თავს უშველეთ, თავს! — მიუგო კიდევ მურად ეფე-ნდიმ.

— ამდენი ბალნით, ამოდენა ოჯახით სად უნდა წავიდე? გზა-შარაში გავ-წყდებით. მაგას როგორ ვიზამ, ჩემო მურად! — თქვა მამაჩემმა და მცირე დუმილის შემდეგ დაუმატა, — ალბათ, შეცვლიან ამ წესებს, თვარა, ასე თუ წავიდა საქმე, მართლაც უფრო ვარესად წაგვივა ცხოვრება. გავკოტრდე-ბით კიდეც. შენი თქმისა არ იყოს, მართლაც არ უნდა გვაცხოვრონ.

— ახლა მიწები მთლიანად უნდა ჩამოგვართვან, ეს ხომ იცი? ამ დღეებში დაიწყებენ მიწების აზომვას. თითო ჩეთვერი მიწით იცხოვრება განა? — შეეკითხა მურად-ეფენდი. ის ჩვენი მეგობარი გვეგონა, გვიან გა-ვიგეთ, რაც იყო... იმ დღიდან სახლში აღარ დაწოლილა მამაჩემი. ტყეს შეაფარა თავი, რემდენჯერ დაიბარეს, მაგრამ არ გამოჩენილა. ორი წელი იმალებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ მართლაც აზომეს მიწები და სახლკარიანად თი-თო ჩეთვერი დაგვიტოვეს საკუთრებაში: — 2500 კვადრატული მეტრი, იმ მიწაზევე იდგა სახლი, ნალია და ბოსელი.

ასეთ მდგომარეობას შეუჩეველ ხალხს მართლაც გაუჭირდა ცხოვრე-ბა, მშიერი გავწყდებითო, ფიქრობდნენ. მურად-ეფენდის თქმისა არ იყოს, თავის გადარჩენის საშუალების ძებნა დაიწყო მამაჩემმა, მაგრამ ვე-რაფერი გადაეწყვიტა, როგორ უნდა მოქცეულიყო, რა უნდა ეღონა, ჯერ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, ტყეში იმალებოდა. ყოველ კვირას აკითხავდნენ სახლში და ეძებდნენ. ამასობაში გადიოდა წლები. ერთ მშვენიერ დღეს გვეწვია ისევ ის „მეგობარი“ მურად-ეფენდი. მე სახლში ვიყავი. ქზოში, თუთის ძირას სკამებზე დავსხედით. ოჯახი მოიკითხა და მამაჩემზე ჩამო-აგდო საუბარი.

— მამაშენი უნდა მანახო. მასთან სალაპარაკო მაქვს. მეც დიდ გაჭირ-ვებაში ვარ ჩაერდნილი, როგორც ჩანს, ჩვენ არ უნდა მოგვასვენონ, — მუუცნება სტუმარი. მისი გუმანი არ ვიცოდი, მაგრამ მაინც დაჭვეჭვდი, შემე-შინა, ის „კეთილი“ ახლობელი თუ ისეთი ბოროტი და ჩვენი ოჯახის გამყი-ღველი იყო, ვერ წარმომედგინა, უბედურება თავზე რომ გადაგვაწვდა, მერა

მივწვდით ყველაფერი. ჯერ ჩვენ ოჯახს აქეზებდა, ალაპარაკებდა მამაჩემს, ბაბუაჩემს და ზოგსაც თვითონ დაამატებდა და ჩაუკაკლავდა მის გამოშენა/ ვნელებს.

მამაჩემი სადაც იმაღებოდა, მხოლოდ დედაჩემმა იცოდა. სტუმრის სულის მიზეზი კუთხარი დედას. მამაჩემის ნახვა ნდომებია-მეთქი.

დედაჩემი ჩაფიქრდა და შითხრა: — მაგ კაცის გაწბილება არ შეიძლება, შენ მასთან იყავი, უხერხულია სტუმრის მარტოდ მიტოვება, მე წავალ, მამაშენს ვნახავ და ამბავს მივუტანო.

უსიტყვოდ გამოვბრუნდი უკან და იმ ჩვენს „მეგობარს“ ყველაფერი ავუხსენი. გაეხარდა, საუბარი გავნაგრძეთ, კარგა ხნის შემდეგ დედაჩემიც გამოჩნდა, მის დანახვაზე ჩვენმა ნათესავმა მაშინვე შეწყვიტა საუბარი და მოუთმენლად იკითხა:

— ინახულე ახმედი, ბიცოლა?
— კი, ვინახულე და ყველაფერი გადავეცი.
— სად არის? რა გითხრა, უნდა მოვიდეს?
— ზამთრისათვის შეშას ამზადებს, იგერ, ზედა ღელესთან. საღამოს უნდა მოვიდეს და ისაუბრეთ!

— კაი. ქენი, ერთი მოვიდეს. მეც ჩემი დარდი და გაჭირვება მაქვს. იქნებ, ორივემ ერთად გამოვნახოთ რაიმე საშველი, მგონია, მეც დამიჭვრენ. იქნებ ერთად შევაფაროთ თავი სადმე.

მაშინ, როგორც მოგეხსენებათ, არ ვიცოდი, ეს ჩვენი ნათესავი რომ არ იყო წმინდა წყალი. ამაში მოგვიანებით დავრწმუნდი.

დედაჩემმა საოჯახო საქმეს მიაშურა, ჩვენ კი საუბარი გავნაგრძეთ.

— მე და მამაშენს ისეთი ნათესაობა და მეგობრობა გვაქვს, ჩვენს შორის ცუდი-ბრუნდი არაფერი იქნება, ჩვენს სიყვარულსა და მეგობრობას ვერავითარი ძალა ვერ წაშლის. ვინ იცის, რა იქნება მომავალში, მოვა, მოვილაპარაკებთ აგერ, ყველაფერს საფუძვლიანად ავწონ-დავწონით და, ვინ იცის, იქნება ერთად წავიდეთ იქეთ... ამ სიტყვებზე მან ხელი სამხრეთისაკენ გაიშვირა და მივწვდი, რომ თურქეთს გულისხმობდა.

— ეს როგორ იქნება? — გამიკვირდა მე. — შენი კუთხის, შენი მიწის მიტოვება როგორ შეიძლება?

— რას იზამ, როცა გაიძულებენ?

— ვინ გაიძულებს? — ვერ მივუხვდი მე.

პასუხად მან ორაზროვნად გაიღიმა, მხარზე მომიცაცუნა ზელი, რა გითხრა, როგორ აგისნა, როცა ყველაფრის თქმა და ახსნა არ შეიძლება...

კიდევ მინდოდა რაღაც მეკითხა, მაგრამ ამ დროს სამზადიდან დედაჩემი გამოვიდა.

(გაგრძელება იქნება)

ქათევან იძროვილიძე

ჭოეტის სულის ელექტრუმი

ვიქტორიანული ეპოქის (1837-1901) ერთერთი უცელაზე გამოჩენილი ინგლისელი პოეტი ჯერარდ მენლი ჰოპკინსი ფინანსისტის შეძლებულ ოჯახში დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება მიიღო პრივილეგირებულ სკოლაში, შემდეგ კი, როგორც საუკეთესო მოსწავლემ, სწავლა განაგრძო ოქსფორდში. ჯერარდს მისმა ტალანტმა პროფესორების დიდი სიყვარული შესძინა. მას „ბელიოლის ვარსკვლავი“ უწოდეს (ბელიოლი ოქსფორდის ერთერთი კოლეგთაგანია). უცელა ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ კათოლიკიზმში გადასვლამ, უფრო მოგვიანებით კი იეზუიტთა ორდენში შესვლამ მას საერთო კარიერის შესაძლებლობა წაართვა.

ჰოპკინსის მგრძნობიარე, პოეტური ბუნება ვერც იეზუიტების ორდენის მკაცრ დისციპლინას შეეგუა. მისი ხატოვანი, უჩვეულო ქადაგებები უფრო პოემებს წააგავლნენ და მრევლის გაოგნებას იწვევდნენ. არც დუბლინის კათოლიკურ უნივერსიტეტში მისი პედაგოგი არ აღმოჩნდა ილბლიანი. წარუმატებლად დამთავრდა ორივე ცდა საკუთარი ლექსების გამოქვეყნებისა. რედაქტორებს აფრთხობდა ჰოპკინსის რთული, „ბნელი“ პოეზია, სავსე უცნაური მხატვრული ხატებითა და მეტაფორებით, ლექსის ზომა, რომელიც უარყოფდა ტრადიციულ სილაბო-ტონიკურ ლექსონიტებას და უახლოვდებოდა ვერლიბრს.

ჰოპკინსის უცნაური ბედი ხვდა წილად. ბოლო წლებში მასში სულ უფრო ძლიერდებოდა საშინელი რწმენა განვლილი წლების უმიზნობისა და უნაყოფობისა, სიკვდილი ესახებოდა ხსნად და კიდევაც შეხვდა მას სიტყვებით: „მე ბედნიერი ვარო“. მხოლოდ 30-იან წლებში მოდერნისტებმა, რომლებმაც ომი გამოუცხადეს ბურუუაზიული ვიქტორიანული ინგლისის თვითდაჭრებულ ხელოვნებას, „აღმოაჩინეს“ ჰოპკინსი და გამოაცხადეს იგი თავის წინამორბედად და მასწავლებლად, ერთადერთ ნამდვილ პოეტად ვიქტორიანელთა შორის.

ომის შემდეგ ვიქტორიანული კულტურის მიმართ მკვეთრი მიუღებლობა შეცვალა ნოსტალგიამ დაკარგულ ფასეულობათა გამო, მოდერნისტთა ბევრი შეფასებანი ახლა არასწორად და უსამართლოდ ჩანდა. მაგრამ ჰოპკინსის დიდებას საზოგადოებრივ შეგნებაში მომხდარი ტრანსფორმაციით არაფერი დაკლებია. იგი იზრდებოდა. ამის დამადასტურებელია თუნდაც ასეთი ფაქტი: 1975 წელს, ჰოპკინსის შესანიშნავი პოემის „გერმანიის დაღუპვის“ 100 წლისთავზე, პოეტის ნეშტი გადაიტანეს ვესტმინსტერის სააბატოს „პოეტთა კუთხეში“. ასეთი პატივი ეგებოდათ მხოლოდ ინგლისის უცელაზე გამოჩენილ მწერლებს. ან თუნდაც ეს ფაქტი რად ლირს; დიდ ბრიტანეთში გამოდის 5 აკადემიური უურნალი, თითოეული მიძღვნილია ერთი მწერლის შემოქმედებისადმი. აი ეს შესანიშნავი ხუთეული: ჩოსერი, შექსპირი, დიკენსი, კოინი და ჰოპკინსი. თითოეული ეს სახელი ეპოქაა ინგლისის ლიტერატურის ისტორიაში. მაგრამ რატომა ჰოპკინსი ამ მწერიები? მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა წომ ძალუე მცირეა. მაგრამ

თ. ს. ელიოტი წერდა, „მისი დიდება, სრულყოფილება ვთრგუნავს. შეუძლებელია შექმნა რაიმე ახალი, უნდა ესწრაფოდე შექმნა, მხოლოდ მისი შესაღარისი“.

მე-20 საუკუნის თვალსაწიერიდან ვიქტორიანული ეპოქა წარმოგვიდგება, როგორც სიმბოლო რწმენისა, სიმყარისა და სიმშვიდისა, მაგრამ თვით ვიქტორიანელებისათვის ეს იყო დრო სწრაფი და ულმობელი გარდაქმნებისა. სამრეწველო რევოლუციის შეტევა იწვევდა „კეთილი ძველი ინგლისის“ გაქრობას. საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო აღმოჩენების მძლავრმა ნიალვარმა წალეკა რომანტიკული ილუზიები. უველავე ძვირფასი ილუზია კი ადამიანია. პიროვნება, „მე“ წარმოსდგა როგორც შედეგი ელემეტარულ ძალთა ურთიერთქმედებისა. მეცნიერების სამყაროში, სადაც სუფევს ფაქტი და ბრმა აუცილებლობა, ადამიანი უმნიშვნელო ერთეულია, ბუნებისათვის მიზნების მიღწევის საშუალებაა, დროის უსასრულო მორევში ქვიშის ნამცეცია.

ადრინდელ დღიურებში, ესეებში ჰოპკინსის სამყაროს შეგრძნება იდენტურია მისი თანამედროვეების მსოფლმხედველობასთან. უველგან განუწყვეტელი ცვლილებაა, მოძრაობა. — ჰერაკლიტეს „პანტა რეი“ (უველავერი მიედინება, უველავერი იცვლება) უსახოდ გვევლინება სამყარო ჰოპკინსის ადრეულ პოემებში. ლექსში „ჭერ კიდევ არა“ ვარსკვლავიანი საღამო პოეტს აგონებს „განათებულ ცარიელ ოთახს“. მას აძრწუნებენ „ცარიელი სამყაროს ნათურები“. მეორე ლექსის („ალქიმიკოსი ქალაქში“) გმირი თვის ოთახიდან უთვალთვალებს ადამიანების კიანკველისებრ ფუსფუსს, წლის დროთა ცვალებადობას, ცხოვრების უსასრულო, უაზრო ტრიალს. უველავერი არსებული წუთიერია, წარმავალია, ხრწნადია, და ამ წარმავლობას, მოკვდავი ადამიანის ხვედრს ჰოპკინსი ომს უცხადებს.

ადრეული პოეტური მცდელობის შემდეგ დგება ხანგრძლივი (შვიდწლიანი) დუმილის ჰერიოდი. ამ დროის მანძილზე ჰოპკინსი ქმნიდა სამყაროს განკვრეტის საკუთარ სისტემას. ძველბერძნული ფილოსოფია, ნეოპლატონიზმი, ეკლესიის მამათა მოძღვრება, შუასაუკუნეების ფილოსოფია, კათოლიკური დოქტორინა — უველავერი ეს წარმოადგენდა აგურებს, რომელთაგანაც იგი აგებდა ახალ სამყაროს, რომელშიც იმეცებდა აზრი, მიზანი, პარმონია, მშვენიერება. სწორედ მაშინ გადაიქცა ჰოპკინსი საშუალო დონის პოეტიდან ნამდვილ ოსტატად. შემთხვევითი არ იყო, რომ ფლობერი წერდა: „არის რაღაც ისეთი, რომელიც თვით პიროვნებაზე მაღლა დგას. ესაა მისი წარმოდგენა საგნების ერთობლიობაზე; ხოლო ის ხერხი, რომლითაც პიროვნება გამოსახავს ამ თავის წარმოდგენას, არის ქმნილება, რომელიც თვით ბუნების შექმნის დარია ან მასზე უფრო აღმატებული“.

ჰოპკინსმა პლატონის დახმარებით დაძლია ჰერაკლიტეს „ცვალებადობა“. გრძნობადი სამყარო ისევ არამყარი რჩება მის მომწიფებულ პოეზიაში. აქ უველავერი იცვლება და ერთმანეთში გადადის. ესაა სამყარო განუწყვეტელი ქმნადობისა, მაგრამ საფუძვლად მას უდევს მარადიული, იდეალური, უცვლელი სამყარო ღმერთისა. ის, რაც უოველთვის არის და არასოდეს იბადება. ულმერთოდ მატერია მკვდარი და პასიურია. სამყაროს სული იძლევა ცხოვრების, მოძრაობის, ყოველივე არსებულის შეცნობის უნარს. წარმავალ საგნებში ელვარებს შუქი კოსმოსის სულის ცეცხლოვანი ნივთიერებისა, როგორც ნალვერდალი თიბის ჭურჭელში. ამიტომ მარადიული მეტაფორიზმები ბუნების საგნებისა აღარ იწვევს უიმედობისა და სასოწარკვეთის გრძნობას, რაღაც იგი დასტურია ლვთიური შემოქმედებითი საწყისისა.

ნათელია ჰოპკინსის პოეზიის სიხარულით აღსავსე მრავალფეროვანი სამყარო. მასში პოეტმა შესძლო დაემარცხებინა ტრაგიკული გრძნობა, რომელიც გაბატონებული იყო მთელ ვიქტორიანულ პოეზიაში — მარტოობისა და იზოლაციის გრძნობა, ურთიერთ უცნობ, ურთიერთ მკვეთრად განსხვავებული საგნების მირიალების სამყაროში.

სწორედ განსხვავებულობა, რომელიც ერთადერთი საერთო მახასიათებელი თვისებაა

საგანთა, იქცევა მათი ცრობიანობის საფუძვლად. უკელა ისინი უნიკალური და განუმეორებული არიან და ესაა მათი ღირებულება. „ეს მე ვარ—აცხადებს თითოეული მათგანი თვით თავისი არსებობით — ამისათვის მოვედი მე ამ ქვეყნად“ (ლექსი „როვორც ცეცხლით მოცული ალკუნი“). ვარსკვლავიანი ცის ხედვა ბადებს გულუბრუვილობლაპრეზე ზღაპრების ბატს ცეცხლის კაცუნებისა, რომლებიც ბნელ ტყეში სხედან.

წარმოსახული ასოციაციით ხატება ტრანსფორმირდება, უკვე არა ზღაპრულ, არამედ დიდებულ ზმანებაში: ვარსკლავების ნათება, ესაა სინათლე, ზეშთაგონება, რომელიც აღწევს იმ ბელლის კურკუტანებში, სადაც იმყოფებიან ქრისტე და მისი მოწაფეები. არსკვლავები უკვე აღარ წარმოადგენ „ცარიელ, შიშისმგვრელ სამყაროს ნათურებს“, არამედ სიმბოლოა მაცოცხლებელი ჭეშმარიტებისა (ლექსი „ვარსკვლავიანი ცა“).

დიდებულია კირკიტა ფრენის დროს, მაგრამ ასევე მშვენიერია უბრალო საგნები — ნაკვერცხალი, სახნისი, მიწის კოშტი (ლექსი „კირკიტა“). უკელა ეს საგნები ქმნიან ყოფიერების დიდებულ ჯაჭვს, რომელიც მიემართება თვით ღმერთისაკენ. მსოფლიოს სულის სიცოცხლის მფრქვეველი ცეცხლი წარმოადგენს ლერძს უკელი არსებულის ყოფიერებისა. ბუნება პოეტს წარმოუდგენია როგორც ცეცხლოვანი ფეიერვერკი — ღვთაების სიდიადის განსაზიერება (ლექსი „ღმერთის სიდიადე“.)

კონფლიქტი თითქოს დაძლეულია. მაგრამ გამარჯვება დროებითია. ჰერაკლიტესული „პანტა რეი“ ყოველთვის რჩებოდა ჰოპკინსის პოეზიაში.

ჰოპკინსმა თავის პოეტურ განვითარებაში გაიმეორა ბევრი პოეტის ბედი. ფრეიდი წერდა, რომ ღმერთის და ბუნების ცნებები — უკელაზე სენტიმენტალური და ხანმოკლე ილუზიები — ნუგეშად ევლინებიან ადამიანს, რომელსაც გააზრებული აქვს წარმავლობა და ამაოება საკუთარი არსებობისა.

თანდათან ქრება მრავალფეროვანი მგრძნობიარე სამყარო, ქრება რწმენა ბუნებაში ღმერთის არსებობისა. ის ისევ ხდება ბნელი და უენო, ხოლო ბუნების „ენა“ — ადამიანის ცხოვრება — საცოდავი და სასაცილოა. ჰერაკლიტესული ცეცხლის განვითარების ფაზები იწყებენ ჰოპკინსის მხატვრული ხედვის განსაზღვრას.

ლექსში „სიბილას ხელნაწერიდან“ მზის ჩასვლის აღწერა იქცევა სიმბოლოდ როგორც ადამიანის არსებობისა, ისე გრძნობადი სამყაროს ბედისა. ნაცრისფერი საღამო (სიკვდილი) თავისი ერთადერთი ულიმლამო ფერით განუწყვეტლივ ცვლის სამყაროს მრავალფეროვნებას. ჰოპკინსი — მხატვრული სიტყვის დიდებული ოსტატი — ბრწყინვალედ გადმოსცემს პროცესის გარდუვალობას ერთადერთი ზმით, რომლის უკელა მნიშვნელობის აქტივიზირება ხდება ტექსტში: ეს ფიზიკური ძალის ხარჯვაცაა, ნებისუოფისაც, გულში ჩაკვრაც, თანდათანობით შელწევაც, შებუდრვაც. პოეტისათვის უკვე მიუღწეველია მისი უფრო აღრინდელი ლექსების მტკიცე რწმენა და თვითდაჭრებულობა. იმისათვის, რომ დაიბრუნოს ეს რწმენა, აუცილებელია ხანგრძლივი, მტანჯველი მუშაობა. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს გვიანდელ საპროგრამო ლექსში, სადაც ჰერაკლიტეს „პანტა რეი“ ჩნდება თვით სათაურში: „ბუნება ჰერაკლიტეს ცეცხლია და აღდგომის მარადიული იმედი“. სონეტი იწყება ნათელი ხატებით, რომელიც გამოწვეულია ავტორის შემეცნებაში ქარიანი, მზიანი დღის ხედვით. ესაა ყოველ წუთს ღრუბლების ფორმათა ცვლა და შუქჩრდილის ციმციმი. მოუსვენარი ქარი შლის გუშინდელი ქარიშხლის უკელა კვალს. უკელაფერი იცვლება, უკელაფერი მოძრაობაშია. ბუნების მარადიული მოძრაობა იწვევს ჰერაკლიტეს ცეცხლის ასოციაციას. „ცეცხლი არსებობს მიწის სიკვდილით, პაერი არსებობს ცეცხლის სიკვდილით, წყალი არსებობს პაერის სიკვდილით, მიწა — წყლის სიკვდილით“. უკელაფერი ჩაინთერება ამ ცეცხლით, რომ ადგილი დაუთმოს ახალს, რომელიც თავის მხრივ იღუპება მასში.

უკაფედად პოეტი ამჩნევს, რომ ქარი მზესთან კავშირში შლის წინმიმავალი ადამიანის კვალს. ეს კვალი ჰოპკინსისათვის იქცევა ადამიანის არსებობის სიმბოლოდ. ადამიანი ჩატრეულია ცვალებადობის, ბრძოლის მარადიულ პროცესში. ის მხოლოდ წაერჩიალია ბუნების მარადიული ცეცხლისა, რომელიც შთაინთქმება სიკვდილის წარმატების ადში. ბუნება ართმევს ადამიანს პრეტენზიას რაიმე ღირსებაზე და მუდმივობაზე.

განწყობილების ცვალებადობა გადმოიცემა რიტმის შეცვლით: ენერგიულიდან ხდება მძიმე, შენელებული, ისინი აძლიერებენ უიმედობის, სიცარიელის გრძნობას.

და მაინც, პოეტი უეცრად აწყვეტინებს თავის თავს: „კმარა!“ ის ხედავს სინათლის მარადიულ სხივს, მანათობელ ვარსკვლავს, ფიქრი იმის შესახებ, რომ ქრისტემ მნევერ-პლად მიიტანა თავისი თავი ადამიანებისათვის, ახსენებს მას ადამიანის არსებობის მნიშვნელობას. ჰოპკინსი ოსტატურად გადმოსცემს სულის გრძნობათა გრადაციას. დასაწყისში იმედის ხმა ჰგავს მწყემსის საყვირის ხმას, რომელიც გადაიზრდება ბუკის ხმად. ის ბრძოლაში იწვევს სიკვდილს, თუმცა მოკვდავი მარსი წილად ხვდება ჭია-ლუებს და ბერძნული ცეცხლი მის შემდეგ ტოვებს ფერფლს, მარადიულად რჩება ადამიანის სული, რაც ადამიანს ლმერთების დარად აქცევს.

სონეტის ბოლოს ადამიანის დამამცირებელ თვისებებს რომ ჩამოთვლის, ვკითხულობთ: „ეს ყმაწვილი სასაცილოა, თიხის ქოთანია, სულელია, ნაფოტია, უკვდავი ალმასია...“ სონეტის ბოლო ბწყარი იმეორებს ამ სიტუას, თითქოს ხელახლა ადასტურებს, აძლიერებს მის დაბოლოებას: „უკვდავი ალმასია“.

ადამიანის სული უკვდავი, უცვლელი ალმასია ბუნების ცეცხლში. მიუხედავად ფინალის საზეიმო დაბოლოებისა, სონეტი ამბივალენტურ, ერთმანეთის გამომრიცხავ განწყობილებას ტოვებს: იმედისა და სასოწარკვეთილებისა. უკანასკნელი უფრო ძლიერია გვიანდელი დროის სხვა ლექსებში.

ცივი და უნაყოფოა „ზამთრის სამყარო“, რომელმაც შეცვალა ადრინდელი ლექსების მარადიული გაზაფხული. ასევე უნაყოფოდ და ფუჭად მიაჩნია ჰოპკინსის თავისი ცხოვრება. მაგრამ საჭმე სულ სხვანაირად წარიმართა: სიკვდილმა ვერ შესძლო ჩაექრო ჰოპკინსის სულის ელვარება. პოეტის სიტუაციით რომ ვთქვათ, მისი „სულის ნათელი ანათებს უკუნეთში, რომელიც გარს გვახვევია“.



ჯეგულ ჯაფელი

«იქნება გახსოვანი თ...»

ლალი თოთაძის პოეტურ ხილვათა სამყაროში ორი საწყისი შეეხალა ერთმანეთს. რა არის ეს ორი საწყისი? პირდაპირ რომ ვთქვათ, ეს არის შინაგანი წინააღმდეგობანი. ერთი თავისთავიდან გასვლას ესწრაფვის, ხოლო მეორე თავისთავში დარჩენას, რამდენადაც პირველი მეტისმეტად სასიამოვნო ოპტიმიზმით ხასიათდება, იმდენად მეორე ილ-ტვის თავისთავში ჩაკეტვისაკენ და როგორმე აღწევს კიდევ. იგი ამბობს, „მე აღარ მინდა თავისთან დავრჩე, გავუმასპინძლდე ტკივილს და ვარამს“.

ამ სტრიქონების დაუდეგარი, მებრძოლი სული უმაღლეს დუნდება სტრიქონებში, რომელიც პოეტურად მეტად საინტერესოა, მაგრამ შინაგანად მომეტებული სევდიო ხასიათდება. „...დამსვი შენს გულთან მწუხარე და შავით მოსილი, როგორც წაჭალულ წმინდა ხეზე მოზარე შაშვი“, ან: „დაჩაგრულ სისხლში, როგორც ქართლში მონლოლის ცხენი, სასოწარკვეთა შემორბის და ვერავინ მშველის“. როგორც ჰემოთ ვთქვით, ეს სტრიქონები პოეტური თვალსაზრისით მშვენიერია, მაგრამ ფერფლგადაცლილი, გაშიშვლებული ბოჭემურ-რომანტიული დარღით მეტად მძიმეა ისეთი ახალგაზრდა და თანაც გამორჩეულად ნიჭიერი პოეტისათვის, როგორიცაა ლალი თოთაძე. ლალი თოთაძეს მხოლოდ ლექსებით ვიცნობ, მაგრამ მისი შემოქმედება მაძლევს საშუალებას დავიკრო, რომ იგი მთელი პოეტური და მოქალაქეობრივი შეგნებით აღიჭურვება და ახალი ძალით, რწმენითა და იმედით აღივსება ისევ და ისევ საყვარელი სამშობლოს სამსახურად. იგი საყურადღებო პოეტი რომ არ იყოს, მოცემულ ალტერნატიულ საწყისთა უორის რომელიმეს გამორჩევას არ შევუდგებოდი. საკმარისია თვალი გადავავლოთ მის ახლახან გამოცემულ კრებულს „ტაძარ-ჩიტებს“, ამაში დავრწმუნდებით. მაინც რა არის მასში მთავარი? — პოეტური ინდივიდუალობა, მეტაფორული აზროვნება და მხა-ცრულ სახეთა დახვეწილობა. მისი პოეტური შემართებისათვის უცხოა „საპარო ორმოები“, სადაც კურსის მოწყვეტილი „ლაინერი“ წუთით „ვარდება“. მართალია, იგი მაღე აღიღენს სიმაღლეს, მაგრამ მცირე სწიო დაბლა მაინც ეშვება. ასეთი საპარო ორმოები არ გააჩნია ლალი თოთაძის პოეტურ აზროვნებას. მისი ლექსები უოველთვის ამაღლებული კურსით მიღის და თითქმის ყველა რეგისტრში ისე უდერს, როგორც ჩაუთქვა. იშვიათად, რომ სიტყვა, ფრაზა ან სტრიქონი გაეურჩოს და არ დაემორჩილოს. იშვიათად, რომ მეტაფორა აუკოჭლდეს, მხატვრულმა სახემ ვერ აითვისოს საჭირო სიღრმე ან პოეტურმა წარმოსახვამ და შემეცნებითმა ნაკადმა ბინდი მოიბუროს. ჭეშმარიტი სელო-ვნება შემეცნებითს გარდა აღმზრდელობითს, საკომუნიკაციო და ესთეტიკურ პრინ-ციპებსაც უნდა ემსახურებოდეს. მოცემულ კრებულში აღმზდელობითი და საკომუნიკაციო თუ მოისუსტებს, სამავიეროდ, შემეცნებითი და ესთეტიკური მსარე სრულად მოწესრიგებულია. მით უფრო გასაკვირიცაა, რომ ლალი თოთაძე სალშური სიბრძნის მირონით არ ნათლავს თავის ლექსებს. და თუ ოდესმე ეს ლექსები მკიონებულამდე გრძას ნელი გაიკვლევენ, მიზეზი სწორედ ეს იქნება. არადა, წიბლიან მეტაფორებთან ეს „მირო-

ვრამა.

ახლა მშენიერ მეტაფორებსა და მხატვრულ სახეებს გადავხედოთ:


„...და ალუბალი ორთქლის ტკბილი უფსკრულებიდან გულის სისხლივით შედედულ მზეს ამოიღებს“, „ჩამოვარდნილი ვარსკვლავივით ჩაიფრენს ჩემში სილამაზე და მისი შუქის წინაშე ვტირი“, „ამ ბაღში მხოლოდ შაშვი გალობს, ვით ნაღვერდალი, მისი ხმა ხშირად ნაცარწაყრილ უელიდან კვესავს“, „ჭერ ვარდის ბუჩქი, მაისის მზით ვალალებული, ანათებს სისხლის გაქვავებულ შადრევნებივით“, „თითქოს წითელა ბატონები შეჰყუროდეს მინდორს, გამოყრილი აქვს ტანზე უხვად ნამი და მარწყვი“, „ხანდანან გული ისე ლალად, ამაუად მიცემს, თითქოს დიდგორით დაბრუნებულ ლაშქარს ცუცქერდე“, „მიუკრავს მკერდზე მოკრძალებით ბოლო სიმწვანე, როგორც იესო ნაღვლიან და შემკრთალ მარიამს“, „შიშის ალმძვრელი საყვარელი ზამთრის ტყეები მიცერდნენ სიზმრად მგლის დიდი და ცხელი ხახიდან“, „რა მტანჯველ სურნელს გამოსცემს გული ფეხდანადგამი მწიფე მარწყვივით“, „წარმართულ ტაძარს მოპგავს შინდი ვაჟაფხულობით“.

ლალი თოთაძის მხატვრული არსენალი მდიდარი და მრავალფეროვანია. იგი გამორიცხავს სისადავესა და პრიმიტივიზმს. პრიმიტივიზმი უველგან აუტანელი და მოუთმენელი ალმოჩნდა, გარდა კადოქარი ფერმწერის ნიკო ფიროსმანისა, რომელმაც თავისი მიმართულება შექმნა... მაგრამ უბრალოება კარგი საქმეა. იგი ძნელად მისაღწევიცაა. პოეზიას არ უყვარს სილოგიზმები და ლოგიკური წინამძლვრებით დაგვირგვინებული დასკვნები, იგი მხატვრული სახეებით აზროვნებაა, მაგრამ ამ მხატვრულმა აზროვნებამ არ უნდა შექმნას ხელოვნური ბარიერი ლექსის თავისუფალი, დაუბრკოლებელი აღქმისა. ამიტომ საჭიროა ზრუნვა ლექსის სიცხადისათვის, რასაც ავტორი, იმედია, ხალისი ნიჭის წყალობით მომავალში გადასწვდება და გაითავისებს.

კარგი კრებულია „ტაძარ-ჩიტები“. იქნებ ვინმემ თქვას, ამავე სათაურის ლექსი, დაბეჭდილი კრებულში, არაფრით გამოირჩევა სხვა ლექსებისაგან, ვაი თუ — პირიკით! და რატომ მაინც და მაინც ეს გამოვიტანეთ კრებულის სათაურადო. უველას თავისი მოსაზრება აქვს. ავტორსაც, და ეს მისი საქმეა. სიტყვამ მოიტანა და, კრებულში არის ერთი საინტერესო ლექსი „პოეტი-ჩიტი“. მასში ვკითხულობთ: „ნუ გათათრდები! დასძასოდა ტუვეთა ქარავნებს“. შემონახულია გადმოცემა, რომლის მიხედვითაც „შისირის“ ჩიტი მუპაჭირებს მიაცილებდა და ჩამოსძახოდა: „ნუ გათათრდები“. ზედმეტი არ იქნება მკითხველმა იცოდეს. რომ ხსენებული ლექსი ამ გადმოცემით არის შთაგონებული.

საინტერესო კრებულია „ტაძარ-ჩიტები“. თუ წაიკითხავთ, თვითონ დარწმუნდებით.





გე, ავტოინსპექტორი და ალკოჰოლი

— წამოხვალ ქორწილში? — მკითხა მეგობარმა და მანქანას ხელი გადაუსვა.

— აბა არა! — ვუპასუხე მე.

თამადამ სუფრას გადახედა და თვალი პირდაპირ მე დარადგა.

— ახალგაზრდა! — მომმართა მან.

— ბრძანეთ, — ვთქვი მე.

— ალავერდი შენთან...

— არა ვსვამ, ბატონო, მძღოლი ვარ.

— მენს დანგრეულ „მოსკვიჩზე“ უკეთესი არაა ჩემი „ფოლცვაგენი?“

— რა თქმა უნდა, ბრწყინვალეა, მაგრამ...

— დაუსხით! — ბრძანა თამადამ.

ავტოინსპექტორმა გამაჩერა.

— საბუთები!!!

— ვერ ხედავ, პირადობის მოწმობაა!

— დიდი კაცი ყოფილხარ.

— ჰოდა, დიდ კაცთან პატარა კაცსა...

— ლიახ, ბატონო.

— და, საერთოდ, მე ლიტერატორი ვარ... იუმორისტი.

— ესე იგი, მწერალი, მაგრამ კითხვაც ხომ იცი?

— ვიცი!

— ჰოდა, წაიკითხე, როდესაც გამოფხიზლდები, — მითხრა და ქაღალდი გამომიწოდა.

უცებ გონს მოვევე. ეს ის ქაღალდი იყო, რომელსაც „აქტი“ ჰქვია და მართვის მოწმობის სამი წლით ჩამორთმევას რომ ითვალისწინებს.



გასულ რჩ თვეში

„დავით აღმაშენებლის“ სტუმრები

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ფლოტს ახალი ხომალდი შეემატა. მას ერთიანი საქართველოს დიდი მეცის დავით აღმაშენებლის სახელი ეწოდა. გემის კურთხევის დღეს გამოითქვა მოსაზრება, რომ ეკიპაჟის შეფობა ეყისრა რომელიმე შემოქმედებით ორგანიზაციას. ამ საინტერესო წამოწყებას მხარი დაუკირეს მწერალთა კავშირის აქარის ორგანიზაციამ, უურნალისტთა კავშირმა.

დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს. გემზე გაიმართა შეხვედრა, რომელზეც გემის კაპიტანს ზურაბ პატარიძეს გადასცეს დავით აღმაშენებლის პორტრეტი, მისი ავტორია აქარის დამსახურებული მხატვარი ზურაბ ხაბაძე. ეკიპაჟს სამახსოვრო საჩუქრები გამოუვისავნეს ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ, ხილეულის წყლეპისა და ლუდის ქარხანამ, ქალაქის სხვა ორგანიზაციებმა.

რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, პოეტმა ფრიდონ სალვაშმა ეკიპაჟს საჩუქრად მიართვა ქართველი მწერლების წიგნები. საკუთარი ნაწარმოებები მოიტანეს მწერლებმა შოთა როუზამ და ჭემალ ქათამაძემ.

კულტურის ფონდის ბათუმის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარემ, დოცენტმა იური ბიბილეიშვილმა ეკიპაჟს გადასცა ალბომი „აქარა“, აგრეთვე სხვა წიგნები.

უურნალისტმა ნუგზარ ჭაფარიძემ აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ გემის ეკიპაჟი გამოთქვამს სურვილს, გახდეს კოლექტიური წევრი დავით აღმაშენებლის საზოგადოებისა. ამ საზოგადოების წევრობის სტატუსი მეზღვაურებს საშუალებას მისცემს უფრო მეიდრო კონტაქტები დაამყარონ ჩვენს საზღვარგარეთელ თანამემამულებთან, იღვაწონ ჭარბოველი ერის კუთვნილი ისტორიული

ლირებულების მქონე ნივთების სამშობლოში დასაბრუნებლად.

შეიცვნა ლიტერატურული გაერთიანება

ბათუმის რკინიგზელთა კლუბთან შეიქმნა ლიტერატურული გაერთიანება, რომელშიც ახალბედა ავტორებთან ერთად გაერთიანდნენ ბათუმში მოღვაწე ცნობილი მწერლები. გაერთიანებას სათავეში ჩაუდგა პოეტი შოთა ზოიძე.

გაერთიანების სამუშაო გეგმაშია აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის 150 წლისთავის, 9 აპრილის ტრაგედიისადმი მიძღვნილი სალამოების მოწყობა. განიხილავენ აგრეთვე ახალბედა ავტორების ხელნაწერებს, გამომცემლობა „საბჭოთა აქარის“ მიერ დასტამბულ პოეტურ და პროზაულ კრებულებს, განზრაბულია ხელნაწერი უურნალის დაარსება და ბევრი სხვა.

გაერთიანებამ საქართველო განიხილა პოეტ დავარ გიგინეიშვილის ლექსების წიგნი „ჰერმესის ლირა“. მოხსენებით გამოვიდა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი პოეტი ჭემალ ჭაუელი. წიგნის ავ-კარგზე ისაუბრეს უუშუნა ხაჭიშვილმა, ნოლარ მოღებაძემ. რამაზ სურმანიძემ, რუსულან ჭინჭიხაძემ, ჭემალ ქათამაძემ, დავარ გიგინეიშვილის ლექსები წაიკითხეს კლუბთან არსებული ჭრა-კერვის სკოლის მეორე და მესამე კურსის მსმენელებმა მაგული ბერიძემ და ნუნუ თავდგირიძემ, ნორჩმა მკითხველმა მაია რუხაძემ წაიკითხა საბავშვო ლექსები. დასასრულს სიტყვით გამოვიდა პოეტი დავარ გიგინეიშვილი.

„მგეთი“ თურქეთში

შასუნ ფირმა „შასუნ ტურიზმის“. მიწვევით თურქეთში იმყოფებოდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ტბეთი“.

ბათუმელმა სტუდენტებმა პირველი კონცერტი გამართეს ქალაქ სამსუნის სპორტის სასახლეში, რომელიც ორი-ათას კაცს იტევს. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე თვით ადრე ამ დარბაზში მა-ყურებლების წინაშე წარსდგა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. ბუნებრივია, ეს სტუდენტებს დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აუ-ნებდა. სამსუნში ბოლო კონცერტი უნი-ვერსიტეტის საქტო დარბაზში გაიმართა. აქაც დიდი წარმატება ხვდათ. კონცე-რტის ბოლოს დელეგაციის და ანსამბლის ხელმძღვანელები ნ. ვერძაძე და ჭ. ჩიქიტა მიიღო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა მ. საგლამმა და გულითა-თი მაღლობა გადაუხადა მათ. სტუმრე-ბმა და მასპინძლებმა გაცვალეს სუ-ვენირები.

მეორე ქალაქი, საღაც ანსამბლი „ტბე-თი“ გამოვიდა, იყო ფათსა, საღაც მოსა-ხლეობის უმრავლესობა ქართველობაა. მართალია, აქ კონცერტი არ იყო დაგე-გმილი. მაგრამ იქაური ქართველების თხოვნით იმპრესარიომ ალი გოგიტიძემ უდელაური იღონა. რათა „ტბეთი“ მათ წინაშე გამოსულიყო. კონცერტს დიდი წარმატება ხვდა. სცენაზე გამო-ჩა უვავისები გოგიტიძეებისაგან. ინა-იშვილებისაგან, ფუტკარაძეებისაგან, მგე-ლაძეებისაგან და ა. შ.

შემდეგი საგასტროლო ქალაქი უნივ იყო. კონცერტები გაიმართა სპო-რტის სასახლეში. აქაც ბევრი ქართველი დაესწრო. ბათუმელებს წარმატება ხვდათ ასევე ქალაქ ოჩიუში. ამ ქალაქიდან დაიგევმა ექსკურსიები ტრაპიზონსა და რიზეში, საღაც დაათვალიერეს ლირსე-სანიშნავი ადგილები.

„ტბეთმა“ ბოლო კონცერტი გამა-რთა ქალაქ ხოფაში.

იგერიელების წარმატება

თბილისში ჩატარდა კინომოუვარულთა ფილმების რესპუბლიკური კონკურსი. იგი მოაწყო საქართველოს პროფსაბჭოს კინომოუვარულთა კლუბ-ლაბორატორიაშ. კონკურსში მონაწილეობდნენ საქართვე-

ლოს სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის მოყვარული კინოსტუდიები და ცალკე-ული პირები.

უიურის შემადგენლობაში შედიოდნენ რეჟისორები ნელი ნენოვა, ოთარ კობე-რიძე და სხვები.

აჭარის პროფესიონების კულტურის სასახლის კინომოუვარულთა საბალბო სტუდიაშ „იბერიაშ“ (ხელმძღვანელი თე-მურ ბეუანიძე) ამ კონკურსზე ორი ფი-ლმი წარადგინა. „ჩემი წლები ჩემი სი-მღლილე“, რომელიც 132 წლის უ-სეველ მევლუდ დავითაძეზე მოგვითხ-რობს და „იქმნენ ნათელი“, რომელიც ღვთისმშობლის უკლესის კურთხევას მიეძღვნა. მათი რეჟისორი და სცენა-რისტია თემურ ბეუანიძე, ხმის ოპერა-ტორი — სპარტაკ ანთაძე. ფილმის შექმნაში მონაწილეობდნენ კინომოუვა-რულები გამბულ კალაძე და ოლეგ კრო-პაჩივი.

იბერიელებმა საქართველოს კინომო-უვარულთა ცენტრალური სტუდიის დიპლომი და 2000 მეტრი კინოფირი დაიმსახურეს.

ახლახან გამოვიდა

„ნაკადულმა“ გამოსცა მწერალ ვა-ნტანგ ახვლედიანის საბავშვო მოთხრო-ბების კრებული „ბომბო“. მასში წარ-მოდგენილია 13 მოთხრობა, რომლებიც ასახავს ბავშვების სულიერ სამყაროს, მათს ფიქრსა და ოცნებას.

— „რამდენი ხანია მინდოდა თქვენთ-ვის მომედლვნა წიგნი, — წერს ავტორი. — არ დაგიმაღავთ, მეშინოდა, ვაითუ ვერ შევძლებ-მეთქი. ამიტომ, დიდებისათვის რომ დავწერდი, შიგადაშიგ საბავშვო მო-თხრობას და ზღაპარსაც გამოვურევდი ბოლმე.

თანდათან შევუთამამდი...

ასე შეიქმნა ეს პატარა კრებული.

თქვენ გაიცნობთ ბიჭუნას, რომელსაც ძალიან უყვარს სიმღერა, ფიქრიან გო-გონას ქეთევანს, ანცხა და მამაც თხა კიკოს, გულითად ძალლს ბომბოს. წაი-კითხავთ, რა ფათვრაკები შეემთხვათ

ბადურსა და ეკატერინეს ქვეყანაში,
 რომელსაც ერქვა მეტად უცნაური სა-
 ხელი — ჯანდაბა...

ჩემო კარგებო, თუ მოგეწონათ ეს
 წიგნი, ჩემშე ბელნიერი არავინ იქნება
 მოღვაწე ქვეყანაზე.

მაშინ მეც დამიმეგობრებო, ალპათ...

მე კი ძალიან მინდა თქვენთან მევო-
 ბრობა“.

წიგნის რედაქტორია რ. ჩირაძე, მხა-
 ტვრულად ვააფორმა ჭ. ლეისაძემ.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-
 ტის გამომცემლობამ მკითხველს მიაწო-
 და ბათუმის შოთა რუსთაველის სახე-
 ლობის სახელმწიფო პედაგოგიური ინ-
 სტიტუტის პრორექტორის დოცენტ ნური
 ვერძაძის მონოგრაფია „ლექსის ენა და
 თარგმანი“. ნაშრომში შეპირისპირებით
 ანალიზით ვანსილულია ნ. ბარათაშვი-
 ლის, ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას ენო-
 ბრივ-სტილისტურ თავისებურებათა უ-
 დატანის საკითხი უკრაინულ ენაში. ავ-
 ტორი თანმიმდევრობით გვაცნობს უკრა-
 ინელი მთარგმნელების ი. კულსკის, მ.
 ბაჟანის, ი. კარსკის, დ. პალამარჩიუკის,
 ე. ვიგრანოვსკის, ო. გონჩარის, ო. ნო-
 ვიცკის, ა. მალაშვილს დამსახურებას ამ
 საქმეში.

ქართველი და უკრაინელი ხალხების
 ლიტერატურული ურთიერთობის შესწა-
 ვლაში დიდი ღვაწლი შეიტანეს ლ. ასა-
 თიანმა, ა. ბარამიძემ, ო. ბაქანიძემ, თ.
 ბუაჩიძემ, ვ. იმედაძემ, ბ. ულენტმა, ი.
 ლუცენკომ, ტ. რუხაძემ, ნ. აბესაძემ.
 უკრაინაში საბჭოთა ხალხების ლიტერა-
 ტურულ თარგმანთა შორის მნიშვნელო-
 ვანი აღვილი უკავია მე-19 საუკუნის
 ქართული პოეზიის უკრაინულ თარგმა-
 ნებს, რომელთა შესწავლასაც ეძღვნება
 ნური ვერძაძის შრომა.

მონოგრაფია დიდ დახმარებას გაუწევს
 ლექსის ენისა და პოეტური თარგმნის
 შესწავლით დაინტერესებულ მკითხველს.

ნაშრომის რედაქტორია ო. ბაქანიძე,
 რეცენზენტები — ს. ფალავა და ნ. ვა-
 დაშანიძე.

* * *

საქართველოს სსრ სახალხო განათ-
 ლების სამინისტროსა და ესთეტიკური
 ალზრდის რესპუბლიკური ცენტრის გრი-
 ფით გამომცემლობა „განათლებაში“ და-
 ბეჭდა აკარის ასსრ მასწავლებელთა და-
 ხელოვნების ინსტიტუტის განუოფილების
 გამგის აკაკი ჭოიძის ნაშრომი, რომე-
 ლისაც „კვალი ნათელი“ ჰქვია.

ნაშრომი მოგვითხრობს ქ. ბათუმის
 პირველი საშუალო სკოლის პედაგოგ-
 ქტივის და მათი უოფილი ხელმძღვანე-
 ლის, საქართველოს სსრ სკოლის დამსა-
 ხურებული მასწავლებლის დავით მახა-
 რაძის ცხოვრებასა და პედაგოგიურ მო-
 დვაწეობაზე.

უეცელია ოზურგეთის თეატრში

ამ რამდენიმე ხნის წინათ ოზურგეთის
 რაიონის ექადიის საქალაქო კულტურის
 სახლის დირექტორის ნურუ მემარნიშვი-
 ლის ინიციატივით ა. წუწუნავას ხახე-
 ლობის სახელმწიფო თეატრში შესვიდა
 მოუწყეს აკარის ასსრ კულტურის უა-
 მსახურებულ მუშაკებს გრიგოლ ვარ-
 კოვს, შალვა ღარიბიასა და იური თავ-
 ბერიძეს.

შესვედრაზე სიტყვით გამოიდინენ
 ოზურგეთის კულტურის განუოფილებას
 გამგე ლენერი გოგუა, საქართველოს
 სსრ დამსახურებული არტისტი ალექსა-
 ნდრე ჭიჭეიშვილი, მწერლები ჭეშალ-
 ქათამაძე და ნოდარ მოდებაძე.

კოაცერტში მონაწილეობლნენ ბათუმის
 განათლების მუშაკთა სახლის მეჩინგუ-
 რე გოგონათა ანსამბლი „ციცინათელა“,
 მეხანძრეთა ანსამბლი, თავბერიძეთა
 ოჯახი, ოზურგეთის კულტურის სახლის
 ანსამბლი „შვიდკაცა“, „წყარო“ და, რა-
 საკვირველია, სტუმრები — გ. გრეგორი,
 შ. ღარიბია და ო. თავბერიძე.

შესვედრას, რომელმაც ძალა საი-
 ნტერესოდ ჩაიარა, ბევრი მაყურებელი
 დაესწრო.

ვასი 40 პარ.

6228 / 78



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
„ЧОРОХИ“
ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118